

# მ ი ჯ ნ ა

№2 (5) ოქტომბერი, 2016 წელი



გამუდმებით იფიქრე იმაზე, რომ ყველაფერი, რაც იხადება, ცვლილების ძალით იხადება ამქვეყნად, და შეაჩვიე თავი იმ აზრს, რომ დედაბუნებას არა უყვარს რა ისე, როგორც არსებულის ცვლა და მისსივე მსგავსის ახლად შექმნა-შენება.

ავრელიუსი

# თავისუფალი ანბნოსთვის




მოვალეობის კარიბჭესთან



„საზოგადოებრივი  
ხელშეკრულება“



გონების თვალით  
შემეცნებისკენ



ამ გლობალურ სტიქიასაც  
მოვათვინიერებთ



ჩვენ მოვდივართ!

# მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, №2(5) ოქტომბერი, 2016 წელი

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:  
თაყაიშვილი შემოქმედთა გაერთიანება და შპს „გამომცემლობა „მიჯნა“, რეგისტრაციის

№ B12127840

რედაქტორ-  
გამომცემელი  
მურმან ზაქარაია

რედაქტორი  
ჯემალ შონია

მისამართი:  
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.  
№25, ბ. 1, ტელ/ფაქსი  
2-38-03-11

ISSN  
მიჯნა 1512 - 4703 –



---

---

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## კლასიკოსი

### დავით გურამიშვილი

სწავლა მოსწავლეთა.....3

## განათლება

### მურმან ზაქარაია

ასწავლეთ აზროვნება, რათა ისწავლოს  
ცხოვრება.....4

## პეზია

ბიორბი სიჰინავა.....7

ზაურ მოლაშხია.....11

## პრეზა

### ბია ხუბუა

ფუძის ანგელოზი.....16

კვერცი ბირმინგემულად.....19

„სადღაც გადარგული ბავშვობა“.....22

## ნანა ჯეჯეია

გუთო.....23

## „ცადაღვლენილი ლეგენდები“

### ნათია ჯგუშია

ქართული პოეზიის ზეიმი, სცენაზე

გაცოცხლებული.....26

## ლაშა გვასალია

ახალი წიგნიდან.....35

## კრიტიკა

### ჯემალ შონია

ძიებისა და პოვნის გზა.....38

## ზაალ ჯალაღონია

ღირსეული გამგრძელებელია ქართული  
პოეტური ტრადიციებისა.....47

## მურად ჰანტუშია

ის, რაც ზუგდიდში ლაშა გვასალიას წიგნის  
პრეზენტაციაზე უნდა მეთქვა.....49

## ბობრონ ჯახია

„ცადაღვლენილი ლეგენდების“  
აღმაფრენა.....51

## ნათია ჯგუშია

ცადაღვლენილი ლეგენდების რაინდი.....53

## უახლესი ისტორია

### მურმან ზაქარაია

ეს დამოუკიდებელი საქართველოს  
ლეგიტიმური ისტორიაა.....55

## მკითხველის სიტყვა

### ცისანა კვინინაძე-მიქაძე

ვარ მადლობელი!.....64

## წიგნის თარო

„ინეზა“.....67

## განხილვა

### ლაშა გვასალია

მამაზე.....68

**ღაპრით გურამიშვილი**

(1705-1792)

**სწავლა მოსწავლეთა**

ისმინე, სწავლის მძებნელო!  
 მოყვე დავითის მცნებასა,  
 ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი,  
 თუ ეძებ გემოვნებასა;  
 თავს სინანული სჯობია  
 ბოლოჟამ დანანებასა,  
 ჭირს მყოფი, ღხინში შესული,  
 შვებად მიითვლი ვნებასა.

სწავლა სიკვდიმდე შენია,  
 მუდამ შენთანა მყოფელი;  
 მას გეცილებს ვერაფერს,  
 არ არის გასაყოფელი.  
 სხვას ყველას მახე უგია  
 თავისა გასაყოფელი,  
 თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,  
 გასტანჯავს წუთისოფელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა,  
 რაზომსაც დაეცარების,  
 აქვს უხილავი საუნჯე,  
 ხელი არ შეეცარების;  
 არც ცხადით ძალით წაერთმის,  
 არც ძალვით მოიპარების,  
 ჭკუვა უხმართ არს ბრიყვთათვის,  
 ჭკვა ცოდნით მოიხმარების!

ვით უსაჭურვლოდ მამაცი  
 ომშიგან გულად ღომობდეს,  
 გაცოფებული გულ-ბრაზად  
 ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,  
 ვერ აღასრულოს საწადი,  
 რაც ნებას, მისთვის ღონობდეს,—  
 ეგრეთ ჭკვიანი უწვრთელი  
 ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

ვსძებნე და ვერა ჰვპოე რა  
 მჯობი ამ სწავლა-მცნებისა:  
 ბრძენსა აქვს თავის უფლება  
 სოფელში ყოფნა ნებისა;  
 ბრძენი სადაც არს, დარჩების,  
 საუნჯე თან ექნებისა:  
 ბრძენი პურთათვის ჩემსავით  
 მუხლთ არვის მოექნებისა!

ბრძენი სიტყვითა დარჩების,  
 ოსტატი – თავის ხელითა,  
 ხუცესი – წირვით, ვაჭარი –  
 შორს წასვლით – მოსვლით ძნელითა;

მოლაშქრე – სისხლის ქცევითა,  
 მხენელი – ოფლითა ცხელითა,  
 გლახა – კარის-კარ თხოვნითა,  
 – შენა გწადს აწ რომელითა?

უწვრთელი ძალდი მიხვდების  
 გარეთ სიცივით თრთოლასა,  
 საჭმლითაც არვინ განაძლებს,  
 პილწად დაიწყებს წრწოლასა;  
 გასწავლებული პატივით  
 შტაქუნზე შეიქს წოლასა,  
 სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა  
 უწვრთელის შვილის ყოლასა.

ძალდი უწვრთელი პატრონსა  
 ასეთს რას დაუშავებსა,  
 რომ შვილი ბრიყვი, უცები,  
 დედ-მამას განათავებსა?  
 უცოდინრობით ასეთსა  
 საქმეებსა იქს ავებსა,  
 გვარსა და ნათესავებსა  
 სირცხვილით სჭრიდეს თავებსა.

პატრონსა ძალდი უწვრთელი  
 მეტს ვერას ჰკადრებს წყენასა:  
 ან პურს მოსტაცებს, ან ხორცსა,  
 ან წყალს ამოჰკრავს ენასა;  
 მშობელთა შვილი უწვრთელი  
 აროდეს მისცემს ღხენასა,  
 სულთა წარწყმედას და ხორცთა  
 მოუთხრობს მით შერცხვენასა.

უსწავლელი ძალდი კარში  
 ყეფს და გარეშამოს ჰფარავს,  
 ნადირს აფრთხობს, ქურდს აშინებს,  
 ძნელად რასმე მას მოპარავს;  
 ბრიყვი კაცი წამოწვების,  
 ღამით კარსაც არ მისჯარავს!  
 თვით იქნების გასაკმარი,  
 ვინც ამ სწავლას გამიკმარავს.

ყრმა სწავლაში მომშვიდების,  
 რკინა ცეცხლში გარბილდების,  
 უსწავლელი ვაჟიკაცი  
 სიბერის დროს გაწბილდების;  
 რიკ-ფაინის დრო გარდუა,  
 ვეღარ გაჰკრავს, ჩაჰბილდების,  
 სწავლის ძირი მწარე არის,  
 კენწეროში გატკბილდების!

**მშრმან ზაქარაია**

**ასწავლეთ აზროვნება, რათა ისწავლოს ცხოვრება**

ჩვენი მარჯი და გომორძგუა ყველა იმათ, ვინაც პირველად შედგა ფეხი განათლებისა და სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე, რათა ისწავლოს ცხოვრება და გახდეს უფლისმიერი სიყვარულის მატარებელი ადამიანი. მიიღოს უფლის ყველა მცნების შემკრები მცნება: „გიყვარდეთ ერთმანეთი“.

განსაკუთრებულად მოვიკითხავთ და ღვთისმიერ ღოცვა-კურთხევას ვუძღვნით იმ „სიყვარულის ყვაილებს“, ვარსკვლავ-ბიჭუნებს და თვალციმციმა გოგონებს, რომლებიც ეს-ესაა გამოვიდნენ იაენანას ტკბილბურანიდან, დატოვეს დედის კალთა და მინდობილად გაუწოდეს პაწაწინა ხელები სხვას – მასწავლებელს, ვინაც ამის შემდეგ, ოჯახთან ერთად, უნდა წარმართოს მათი სულიერად და ზნეობრივად ჩამოყალიბების პროცესი საზოგადოებრივ მოთხოვნათა შესაბამისად.

მასწავლებელმა უნდა გაუღოს ცოდნის კარი ამ პატარებს, აზიაროს მშობლიური ენის დიდებულებას; ასწავლოს მისი ანაბანა, წერა-კითხვა, გამოუმუშაოს აკადემიური უნარ-ჩვევები; **ასწავლოს აზროვნება**; აზიაროს სიყვარულის ღვთიურ არსს და კეთილისა და ბოროტის მარადიული ბრძოლის საზრისს ისე, რომ ამ მაღალ და ღვთიურ ცნებებზე სიტყვაც არ დაძრას, ვიდრე ამისთვის მზად არ იქნება ბავშვის უმანკო გონება.

როცა ვამბობთ ბავშვის უმანკობაზე, უნდა გვესმოდეს, რომ უმანკოა მისი გონება – ღვთითბოძებული ნიჭი, რომელსაც ისევე სათუთად სჭირდება მიდგომა, გაფრთხილება, მოვლა, როგორც ამ უმწეო არსების ფიზიკურ არსებობას. თუკი ამ მეორისთვის ზრუნვა, ღვთის ნებით, თავისუფლად შეუძლია დედ-მამას, ოჯახს, გარემოცვას, გონების წვრთნა და მისი სწორი გზით წარმართვა ზემადალი ზნეობრივი პროცესია, რომლის წარმართვა არა მარტო სპეციალურ ცოდნასა და განსწავლულობას მოითხოვს, არამედ ღვთითბოძებულ ნიჭსა და ტალანტს, იმ სულიერი სისავეს, რომლის ძალითაც ის – მასწავლებელი, შეძლებს ამ უმანკო გონების ისე წარ-

მართვას, რომ გარედან შემოტანილმა სწავლებამ არ დააზიანოს ის **ღვთიური ენერჯია**, რომელიც წარმართავს მის ცხოვრებას. ამის მიღწევა კი შეუძლებელია აღსაზრდელსა და აღმზრდელს შორის სრულფასოვანი კავშირის გარეშე, რაც ჭეშმარიტად პედაგოგიური ტალანტის გამოვლენის გარეშე წარმოუდგენელია. ეს უკანასკნელი კი ღვთით ბოძებული ნიჭია, **ნიჭი** ბავშვის, მოსწავლის, ზოგადად, ადამიანის **ჭეშმარიტი სიყვარულისა**.

ამ ნიჭის ცხოვრებაში განხორციელება ხდება უფლის მცნებების დაცვით, როგორც იესო ეტყვის მოციქულთ: „გიყვარდეთ ერთმანეთი; როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი“ (იოანე, 13, 34) ამ უფლისმიერ სიყვარულზე უნდა იყოს აგებული აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობა, რათა შევიძლოთ „ვიყოთ უშიშრად ჩვენი მტრებისგან თავდასხნილნი“ (მათე, 1, 74), უნდა ვაშენოთ ჩვენი თავისუფალი ცხოვრება, სიმართლით, „ვინაიდან ცხადდება ზეციდან ღვთის რისხვა ადამიანთა ყოველგვარი უღმერთობასა და უსამართლობაზე, უსამართლობით რომ აბრძოლებენ ჭეშმარიტებას“ (მათე, 1, 74).

ამდენად, მოწაფისა და მასწავლებლის ამ ურთიერთგაწვდილი ხელებით იდება ის საზოგადოებრივი ხელშეკრულება, რომელიც შემდეგში წარმართავს ამ უმანკო ყმაწვილის მთელ შემდგომ ცხოვრებას. ის ამ წუთიდან იდგამს უფლება-მოვალეობის იმ მძიმე უღელს, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა ატაროს და რომელმაც უნდა განსაზღვროს არა მარტო მისი აწმყო და მომავალი, არამედ, ქვეყნის, სახელმწიფოს ბედიც, მოდგმის ეროვნული იდენტობა.

ვერავითარი პედაგოგიური ტალანტი, პიროვნული კავშირები აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ვერ მიაღწევს მიზანს, თუკი განათლების საზოგადოებრივი სისტემა არ იქნება თავისუფალი ყოველგვარი არასაგანმანათლებლო-სააღმზრდელო გარეშე გავლენებისაგან, ეს იქნება იმპერიულ-

ანტიეროვნული გადმონაშთები თუ შიდა პარტიკულარული თუ პარტიულ-პოლიტიკური გავლენა, რომლებიც ხრწნიან ჩვენ განათლების სისტემას.

სწავლა-განათლების თავისუფლებისათვის ზრუნვა ისეთი ცივილიზაციისათვის, როგორც კოლხურ-იბერიულია, მისი არსებობის თანამდევ პროცესია შუმერულ სამყაროსთან კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირებიდან მოყოლებული. დასავლური კულტურის ფუძემდებლურ ელინურ ცივილიზაციასთან ოქროს საწმისის ქვეყნის საყოველთაოდ აღიარებული ურთიერთობით დამთავრებული ადასტურებს იმას, რომ ის ქრისტეშობამდე ათას ორასი წლით ადრე ფლობდა არა მარტო დამწერლობას, არამედ უნივერსალურ ცოდნას სამყაროზე, კაცობრიობაზე. რაც მთავარია, ისინი სულიერი სამყაროს ტრეკითი შემეცნების უბადლო მცოდნენი არიან.

ამდენად, ცოდნა და განათლება, ჩვენი კულტურის თანამდევ პროცესი იყო, რაც ნათლად იკვეთება, არა მარტო ზეპირსიტყვიერებაში, მითოლოგიაში, მწერლობაში, ზოგადად, აკადემიურ და ლოგიკურ მეცნიერებებში, არამედ, ამის უდავო დადასტურებაა ის ძველთაძველი არტეფაქტები თუ ამ ბოლო დროს აღმოჩენილი დამწერლობის ნიმუშები.

ქართულმა სწავლა-განათლებამ გამოიარა საკაცობრიო ცივილიზაციათა ქარტეხილები და მიაღწია უმაღლეს საფეხურს, ზნეობრიობისას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართულ საგანმანათლებლო სისტემას ფესვები გადგმული აქვს იმ ძველთაძველი კონსერვატიული მუხტის მატარებელ სწავლებასთან, რომელიც ერის გენეტიკაშია მოცემული.

\* \* \*

სწავლა-განათლება არის უმთავრესი საშუალება ჩვენი ეროვნული იდეის ფორმირებისა. ის იმთავიდანვე აკმაყოფილებდა მისადმი თანამედროვეობის მიერ წაყენებულ მოთხოვნილებებს, რომ იყოს „ადამიანის სულიერ-გონითი განვითარების მაჩვენებელი“ (კ. ქეცბაია, „განათლების სოციოლოგია, გვ. 46“). მიუხედავად ღრმა კონსერვატიზმისა, ის მუდამ ერთვებოდა ინოვაციურ-საზოგადოებრივ პროცესებში და თაობიდან თაობას

გადასცემდა ცოდნასა და უნარებს.

ჩვენი ეროვნული განათლებისა და კულტურისათვის ჭეშმარიტად ინოვაციური გარდაქმნის პერიოდი დაიწყო მოციქულთა ხანიდან და დაგვირგვინდა კოლხურ-იბერიული მოდემის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევით, როგორც იოანე-ზოსიმე მეტაფორულად იტყვის, „და ახალმა ნინო მოაქცია და პელენე დედოფალმა“. ასე იქცა უძველესი კოლხურ-იბერიული წარმართული კულტურა, ძველი კირბებისა და ფაზისის აკადემიის განათლება ქრისტიანულ სწავლა-განათლებად, „რომელიც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა“ (ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოსი, ედ. გიორგაძის გამოცემა, გვ. 40).

ეკლესია იღებს თავის თავზე, არა მარტო სარწმუნოებრივი სწავლების, არამედ განათლების საეროვნებო ფუნქციებსაც. ის წარმართავს ერის ზნეობრივი და გონებრივი განვითარების პროცესებს, სრულყოფს არა მარტო მის კულტურას, არამედ გენეტიკასაც. ეს უწყვეტი პროცესია.

ამდენად, ქართულმა საგანმანათლებლო სისტემამ, სწავლა-განათლებამ გამოიარა საკაცობრიო ცივილიზაციის ქარტეხილები და მიაღწია უმაღლეს საფეხურს ზნეობრიობისას, როცა „მასში ცხადდება ღვთის სიმართლე რწმენიდან რწმენაში, როგორც წერია: „მართალნი იცოცხლებს რწმენით“ (რომ. 1,17).

მან ისე გამოიარა ეს ურთულესი პროცესი ქრისტიანულ სულიერებად და ზნეობრიობად მეტამორფოზისა, რწმენიდან რწმენაში გადასვლისა, რომ არ უარუყვია მეტეკვიდრობითობა და კონსერვატივიზმი სულიერებისა და გონითი ჭვრეტისა. ამ მეტეკვიდრობითობაზე გვიგალობს ბერი ზოსიმე, როცა წერს: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამინ ენითა“. ენა ამ შემთხვევაში მთელი ერია, მისი განათლებაა, მისი კულტურაა, გენეტიკასთან შერწყმული სარწმუნოებაა.

ქართული ქრისტიანული სწავლების ძველ მისიაზე წერს ზ. გამსახურდია: „მან შეარიგა სამკვიდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ქართველური და ინდოევროპული

მოდგმის ხალხები,დაამყარა მათ შორის ჰარმონია“ (ზ. გამსახურდია,წერილები,ესსეები, გვ.39) და აქცია ის ევროპული ჰუმანიზმის მატარებელ სწავლა-განათლებად, კულტურად ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე.

ქართულმა ქრისტიანულმა სწავლა-განათლებამ გამოიარა სქოლასტიკისა და მისტიკის ურთულესი საფეხურები, კაცობრიობის კულტურული ისტორიის ურთულესი პერიოდები. მან სრულად მიიღო სქოლასტიკური სწავლების სიკეთეები, რომ სქოლასტიკაში ჩაისახა აღორძინების ჰუმანისტური იდეები. ის, რაც განმანათლებლებისთვისაც მიუწვდომელი იყო,თითქოს სრული სისავსით იქნა მიღებული ქართული ქრისტიანული განათლებისა და კულტურისთვის. მან, სრულად მიიღო „დიდი თეოლოგიის“ მემკვიდრეობა, რომელიც მეორე საუკუნიდან მოყოლებული ამკვიდრებდა წმინდა სწავლებათა ზნეობას.

ეკლესიის მამათა ეპოქა,რომელიც იწყება ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნიდან, სინამდვილეში არის ეკლესიის შესახებ იოანე მახარობლის სწავლებათა გაგრძელება. ის გრძელდება მეორე საუკუნემდე, მისი გამორჩეული წარმომადგენლები: ტერტილიანე (160-220 წწ.), კლემენტ ალექსანდრიელი (გარდ. 217 წ.),ორიგენე (184-25 წწ.),რომელმაც ფილოსოფიას თეოლოგიის მსახური უწოდა, აყენებდნენ ცოდნისა და რწმენის მიმართულების საკითხს. რელიგიური მოძღვრება იქცა ადამიანური შემეცნების, მისი ცოდნისთვის შინაარსის მიმცემად. რწმენამ მიიღო ყოველგვარი ცოდნის აუცილებელი წყაროს საზრისი. თეოფილე ანტიოქელი აღნიშნავდა ყოველგვარ მოქმედებაში რწმენის პრიმატს: რომელი ავადმყოფი განიკურნება, თუ ჯერ ექიმს არ ენდო, ვინ მიიღებს მოსავალს, თუ ჯერ მიწას თესლი არ ანდო? (შ/ს ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწ. 3. თბ. 1981 წ.).

ასე მიმდინარეობდა ორი ეპოქის მსოფლმხედველობათა თავისებურებების ურთიერთშეთანხმება. ამ გზით წარიმართა ქართული განათლებისა და კულტურის განვითარებაც. ეს იყო ნამდვილად ინოვაციური მიმდინარეობა,რომელიც ქრისტიანული მფოფლმხედველობის საფუძველზე გარდაიქმნიდა ძველ ანტიკურ განათლებას. დღის წესრიგში იდგა საკითხი ძველის სათანადოდ გადაამუშავებისა და ქრისტიანობისათვის

მისაღები შინაარსისა და ფორმის მიღებისა, იდგა ალტერნატივის საკითხი: „ან დამორჩილება,ან განადგურება“.

ამ გზაზე,უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა აეროპაგიტულმა წიგნებმა . მათ საეკლესიო აღიარება მოიპოვეს. ის დიდი თეოლოგიის პროკლეს (410-885 წწ.) იდეების გავლენას განიცდიდა, ამიტომ არ შეიძლებოდა მისი დამწერი,პეტრეს მიერ მოქცეული დიონისო აეროპაგელი ყოფილიყო, რაც კიდევ დაადასტურა 532 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ. დღეისათვის მიღებულია ერნასტ ჰონიგმანისა და შალვა ნუცუბიძის თეორია, რომ აეროპაგიტული წიგნების ავტორი არის მეხუთე საუკუნეში სირიის ქართულ მონასტერში მოღვაწე პეტრე იბერი, რომლის თანამოკალმე და აღმზრდელი იყო იოანე ლაზი.

ამგვარად,ქართული ქრისტიანული სწავლა-განათლება,ანდრია პირველწოდებულის ქადაგებიდან მოყოლებული. უწყვეტად იღებდა ქართული სარწმუნოებიდან უმრეტ წყაროდ მომდენარე ცოდნას. სრულად მიიღო მისტიკურ-ჰერმეტიტი ირაციონალური ტენდენციები და მიაღწია სკოლური აზროვნებით წესრიგს. ამ გზაზე ყალიბდებოდა უდიდესი ქართული საგანმანათლებლო სისტემა, რომლის სათავეებთან იდგნენ: პეტრე იბერი, იოანე ლაზი,იოანე ქართველი,აეროპაგიტული კორპუსი,მთარგმნელები ექვთიმე მცირე,პეტრიწი,მთელი სირიულ-პალესტინური და ათენურ-ელინური ემიგრანტული სკოლები, არაფერი რომ არ ვთქვათ ქართულ აგიოგრაფიულ ლიტერატურაზე,ეს უწყვეტი პროცესი გვირგვინდება ზნეობრივად სრულყოფილი განათლებითა და კულტურით, რომელიც რუსთაველის ეპოქის სახითაა ცნობილი და სრულად შეესაბამება მაშინდელი განვითარებული და მაღალკულტურული საზოგადოების (რომელთა რიცხვი არცთუ დიდი იყო) მდგომარეობასა და მოთხოვნილებებს. მაშასადამე,ისტორიულად ქართული საგანმანათლებლო სისტემა პირნათლად ასრულებდა „პირდაპირი სწავლების გზით ერთი თაობიდან მეორე თაობაში ცოდნის გადაცემის“ ფუნქციას (კ. ქეცბაია,დასახ. ნაშრ. გვ 48).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



**ბიორბი სიჭინავა**

**სხვა სიცოცხლე  
ანუ  
საფლავიდან ამოძახილი**

აქ ყოველივე თოვლივით დნება, –  
რაც კი შემომყვა უცხო კარებით  
და ახლა მინდვრის ყვავილებს კვებავს  
ჩემი სხეულის მინერალები.

ზემოთ ვიღაცა წვიმაში დადის,  
დაცვარული აქვს შუბლი და კეფა,  
აღტაცებული ბუნების მაღლით  
ჩემი მკერდიდან გვირგვინებს კრეფავს.

**წვეთი**

წვიმის წვეთი რომ ჩავარდა ზღვაში,  
გული ძალზე დამიღონდა მაშინ.  
სანამ მარტო მოფრინავდა ციდან,  
ბუნებაში ის რაღაცას ცვლიდა.  
სად სასრული უსასრულოს ერთვის,  
საკუთარ თავს ვეღარ იგრძნობს წვეთი.  
როცა სული სხეულიდან გადის,  
მასაც ახლავს ამნაირი დარდი,  
წვიმის წვეთი რომ ჩავარდა ზღვაში,  
გული ძალზე დამიღონდა მაშინ.

**წუხილი**

ყველა რაღაცას მპარავს ან მართმევს,  
შენ რომ წახვედი, ბევრი ვინანე,  
სული ობოლი – გუგულის მართვე,  
ვცადე და ვერსად დავაბინავე.

არის კლება და არა მატება,  
ღმერთო, უძლური რად გამაჩინე,  
გადაარჩინეს რომი ბატებმა,  
მე ვერაფერი გადავარჩინე.

დარი იყო და უცბად გაწვიმდა,  
სოფლის ბილიკზე მივალ ნაგვემი,  
სადღაც, ხის ტოტზე, მიცდის ნარჩიტა,  
მაგრამ ვერაფრით ვერ მივაგენი.

გაშეშებული დგანან ვერხვები,  
მე კი მივყვები დროთა დინებას,  
სადმე, გზის ბოლოს, როცა შემხვდები,  
ორივეს მწარედ გაგველიმება.

არის კლება და არა მატება,  
ღმერთო, უძლური რად გამაჩინე,  
გადაარჩინეს რომი ბატებმა,  
მე ვერაფერი გადავარჩინე.

**ავტოპორტრეტი**

ვეღარ ვსწავლობ ამ ცხოვრების წესებს,  
აქამომდე უბედობა მსდევდა  
და სადაც კი გვირილები ვთესე,  
ყველგან უმალ ამოვიდა სევდა.

ნაპირიდან აღარავინ მლოცავს  
და ზვირთებმა დამიღეწეს ნავი,  
ვის სჭირდება გვირილები, როცა  
ქვეყანაზე ბოროტება ყვავის.

და სიკეთის უმწეობის ცვარით  
დამისველდა დაღალული თვალი,  
რას მიშველის დაჟანგული ფარი,  
თუ მოძულემ კვლავ აღმართა ხმალი.

ან რა მერგო მოთმინების წილად, –  
პატიებას გამეტება მოჰყვა,  
მეგობარმა კვლავ გამაწნა სილა,  
მეორედ რომ მივუშვირე ლოყა.

მაინც ვცდილობ, არ დაუდგეს რთველი  
ეჭვებს, მუდამ სიბნელეში მცოცავს,  
მე წყლულების გამრთელებას ველი  
და იობის მოთმინებას ვლოცავ.

## სიკეთე

უდაბნოში მიმავალი,  
მხოლოდ შენ შემიცოდე,—  
მწყუროდა და ჭიქა წყალი  
უხმოდ გამომიწოდე.

ეს სიკეთე ახლაც მშველის,  
თუმცა წლები გავიდა...  
ხსოვნას შერჩა სული შენი,  
სახე გადამავიწყდა.

## შემოდგომა

ტოტებს არხევს ნიავი და  
აგერ წვიმას იწყებს უკვე,  
ვერ გავიგე, სად წავიდა  
ასე უცბად სიჭაბუკე.

აღარ შერჩათ ქარებს ძალა,  
გაუხუნდა დრო-ჟამს ფარდა,  
ყველაფერი შეიცვალა  
ქვეყნად კაცის გულის გარდა.

რომ გვხიბლავდა ატმის ვნება  
ტანზე ცეცხლის მოდებითა,  
ახლა სევდა იმზირება  
გაძარცული ტოტებიდან.

რიგითობას ვერვინ შეცვლის,—  
მარტის შემდეგ აპრილია,  
გზის გაგნება, თუკი შეცდი,  
არცთუ ისე ადვილია.

დღე ვერ არის ხვალის მცოდნე,  
დაფარულის არ სურს წვდომა,  
ვერ შეხვდება ვერასოდეს  
გაზაფხული შემოდგომას.

ასე შორს და ასე მარტო  
ლაღად რომ ფრენს, არწივია,  
თუ არ გაჩნდა კითხვა „რატომ“,  
ყველაფერი მარტივია.

უმწეობის მწარე დარდი  
ჩამარხულა გულში ნაღმად,  
მწამდა, აღმა მივცურავდი,  
წყალს მივქონდი თურმე დაღმა.

ახლა მინდვრებს გადავყურებ,  
რა ხანია, შინ მეღიან,  
სული რწმენით დავაპურე,  
გული მაინც მშიერია.

ტოტებს არხევს ნიავი და  
აგერ წვიმას იწყებს უკვე,  
ვერ გავიგე, სად წავიდა  
ასე უცბად სიჭაბუკე.

## ქაღალდის ყვავილები

სიხარული ყვავილს ჰგავდა,  
ზოგჯერ სევდაც ყვავილია,  
ქვეყნად ერთგულების გარდა  
ყველაფერი ადვილია.

შემოდგომა დადგა მშვიდი,  
ჩაცხრა მცხუნვარება მზისა,  
აქვე ვიღაც ქალი ყიდის  
ფერად ყვავილს ქაღალდისა.

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს,  
მაგრამ ელტვის შორ მანძილებს,  
თურმე სადღაც ერთდებიან  
სიცრუე და სინამდვილე.

ვიღაც უნუგეშოდ კვნესის,  
ქარი ქრის და სიცივეა,  
იქით ყალბი ფიცი მესმის  
და აქ ყალბი სიცილია.

მე ეჭვებით დავიღლები,  
გამკლავება მიჩანს ძნელი ...  
იქ ქაღალდის ყვავილებით  
გამაცვილებს ეს სოფელი.

## მთვარის მოტაცება

ველარა ვწერ ლექსებს,  
ტვინი დაიკვტა,  
მოდის წერტილებად  
მასხოვრობის წყვეტა.

რას მიშველის ლექსი,  
გული თუ გრძობს ჩხვლევას,  
ჩემი თეთრი მტრელი  
სად გაფრინდა ნეტავ?

ძველი უამი თითქოს  
ხსოვნამ ამიმწვანა...  
ვინც მიყვარდა, ყველა,  
საფლავებში წვანან.

ვერ ვპოულობ მოძმეს,  
უშურველს და ერთგულს,  
ვუმზერ უპატრონოდ  
მიტოვებულ ენგურს.

ღალატით და შურით  
ჩახერგილა შარა...  
მეც მომტაცეს მთვარე  
ემხვარების დარად.

## ზოგჯერ არც კი მძულხარ

მტერი თუკი მომივარდა  
და დაპყრობას ღამობს,  
უნდა მოვკლა ჩემი ქვენის  
სიყვარულის გამო.

მჯერა, ღმერთი მაპატიებს  
(დიდად არც მე ვღარდობ),  
თუ გამიჩნდა სიძულვილი  
სიყვარულის გამო.

ჩუმიად თვალში შევხედე და  
ორჭოფულად ვუთხარ:  
სიძულვილო, შე უღმერთო,  
ზოგჯერ არც კი მძულხარ.

სადაც მღუპავ შენი ხელით,  
თურმე იქვე მიცავ ...  
წუთისოფლად არსი შენი  
ბოლომდე ვერ ვიცან.

## არაფერი ერთნაირი

უკვე აღარაფერს ვებრძვი,  
გავებუტე ამ ბუნებას,  
რაც კი მიდის, იმავე გზით  
არაფერი არ ბრუნდება.

ახლა გზაზე თოვლი დნება  
(უცნაური სევდა მახლავს),  
გული ჩუმიად მეუბნება:  
ამ თოვლს ვერასოდეს ნახავ.

სადღაც შორით სხივი ჩაქრა,  
ეს დღეც ბნელში ჩაინთქმება,  
სოფლად კვლავაც მოთოვს, მაგრამ  
თოვლი იგი სხვა იქნება.

არ მოტყუვდე, როგორც ბავშვი  
(შეცდომებზეც არ თქვა ძვირი),  
არ არსებობს ბუნებაში  
არაფერი ერთნაირი.

## ჩემი ლურჯი გემი

ღმერთმა იცის, ოცნებები  
აღსრულდება როდის,  
ქვეყნად ბევრი ველარ უძლებს  
გაურკვეველ ლოდინს.

ბედისწერა ერთნაირად  
აღარ სწყალობს ყველას,  
ზოგს ეძებს და ზოგიც თვითონ  
მიდის საძებნელად.

სიკეთისთვის გულისკარი  
მუდამ მქონდა ღია,  
რასაც მაშინ განვიცდიდი, –  
იმედები ჰქვია.

მერე წლები გავიდა და  
სულს დაეტყო დაღლა,  
ყველა იმედგაცრუებას  
ტკივილები ახლავს.

ზმანებებში ჩაიძირა  
ჩემი ლურჯი გემი,  
არარსებულს დავეძებდი  
და ვერც მივაგენი.

## მარტოსული

გულო, რად ხარ ამაყი,  
რატომ მეჭიდავები,  
ბევრჯერ შენი კარნახით  
მე მახეში გავები.

თუ ყრუ კედელს ასკდება  
სიტყვა, თქმული ვედრებად,  
მე გონების დასკვნებიც  
აღარ შეიმედება.

დროს არ ესმის გოდება,  
მძარცვავს, როგორც მეკობრე,  
გულისთქმა და გონება  
ველარ დავამეგობრე.

ჭრილობები არ მტკივა,  
გაქრა ფიქრთა ამაღაც,  
დავაბიჯებ მარტივად,  
მარტო სულის ამარა.

შორს რომ მოჩანს, თოვლია,  
მომდევს ქარი მკვნესავი,  
თავი ბერი მგონია,  
ჯერაც აღუკვეცავი.

## პანთეონი

სულს შეყვრია აგონია  
სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრით,  
ზოგს სამოთხე აქ ჰგონია,  
პანთეონის ღობის იქით.

აღარ ცხრება დიდებისთვის  
ჯგლეუთა, კამათი და დავა,  
მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის,  
სული რომელ მხარეს წავა.

გვამი საფლავს მიეჩვენება,  
სულს კი განსჯის მამაჩენი,  
ზოგჯერ ერთურთს არ ემთხვევა  
ცის და მიწის განაჩენი.

რაც სოფელმა დააწესა,  
თურმე სიზმარ იყო მიწის ...  
გვამი პანთეონში წევს და  
სული ჯოჯოხეთში იწვის.

## მე და ჩემი ბელურა

თითქოს ოდნავ აცივდა,  
დღეა ფერისცვალების,  
სამხრეთისკენ დაიძრნენ  
ჩრდილოეთის ქარები,  
მიდის ცხელი ზაფხული,  
ჩუმად მიიპარება,  
სადღაც გაიჭრიალეს  
შემოდგომის კარებმა.  
აწ სხვაგვარი ტკივილის  
შეგუებას ვეცდები...  
ხეს ფოთლები დაცვივა,  
დაგვტოვებენ მერცხლებიც,  
მაგრამ არსად არ წავა  
ჩემი სოფლის ბელურა,  
ერთმანეთის ერთგული  
ვრჩებით უწინდებურად.  
თავზე ქუდი სულმუღამ  
ჩვენებური გვეხურა,  
სადაც გვშობა ბუნებამ,  
იქ მოგკვდებით გლეხურად.

## ზაურ მოლაშხია

### შენი საწუთრო

შენი ცა ისევ გადაიბინდა,  
ვერ მოგედირსა სუნთქვა მყუდროში...  
ვისაც ჰგონია: – აქ ცხოვრობ მშვიდად, –  
შემოიხედოს შენს საწუთროში!

ნახავს უნდობარ ჟამთა ნაბუღრალს,  
გულის კიდევებს – ჩამოკორტნილებს;  
ბედი უბადო რამ აამდუღრა,  
რა ცეცხლი ზაფრავს შენს ხმა-მოტივებს...

რამ აგიმღვრია ლაქვარდის დედე  
ან ღმობას ღმობა როგორ წაება...  
რა ეშველება ჩაქნეულ ხელებს,  
შიგნით ჩაგუბულ ნათემნ წამებას! –

უჩინარების უჩუმარ ჩივილს,  
სიყრმის ზმანებებს – მწვანე ნაპირთან...  
მარტვილთა სევდის ანთია ჩრდილი,  
ლანდი ხორცქმნილის ხვედრზე ატირდა!

დაგეურებს ზეცა გადარუხილი,  
ვერ მოგედირსა სუნთქვა მყუდროში.....  
ვისაც აფიქრებს შენი წუხილი –  
შემოიხედოს შენს საწუთროში!

### მოსაკლისე

წადი სახლისკენ!  
მოსაკლისე,  
რაც იყო წინათ და ახლა არ ჩანს...  
არ დაევრდომო დროის საკისრეს,  
არ შეეგუო მზაკვარს და არჯალს!

ადრე გულს ჟამი იმედს უცხოობდა,  
მერე კი... წლებმა გადარიეს და...  
დღეს ბევრი რამე შენთვის უცხოა,  
შენთვის უცხოა ახლა ფიესტაც!

ძვირფასი ფერი ფერსაც წაუღის,  
ოდეს სხვა ფერით შეიფერება.....  
ჩავლიდა ყველა დღესასწაული,  
ყველა მითი და... ბედნიერება!

დაგრჩა უცვლელად ყოფის საკისრე,  
მოღრინალ იღბალს შილიფად შერჩი...  
ნახანძრალ ადგილს მოისაკლისე  
მამისეული სახლი და... ნერჩი!

### არც სიმხნევე

არც სიმხნევე, სისწრაფე,  
აღარც თვალის ჭრა...  
გაბზარულა მიზრაფი,  
შრება გულის ჭა,  
შუქიც ქრება, ვით ქაფი,  
სივრცე აიჭრა!

### ცეცხლის მისტერია

შემოგვივარდა მეზობლის ცეცხლი  
(ისევ რატომ მცდის, რატომ, ბუნება?)  
და სანამ ყელში გვწვდებოდა მხეცი –  
გამოვადწიეთ მანამ უვნებლად!

ხარხარებს ცეცხლი! სახურავიდან  
თვალს უბრიალებს მთაწმინდის კალთებს;  
იხვევა ალი სიმხურვალითა,  
მიმწუხრის სივრცეს ნაირფრად ანთებს...

გაოცებულია პატარა მათე,  
უკვირს „პეპლები“ ცხელი ნავლების...  
ხანძარს  
სიმძაფრეს  
თანდათან ართმევს  
სახანძროების მძლავრი ჭავლები!

ნელ-ნელა ცხრება!  
ბურუსი ბოლის  
მიიწვეს ზევით და... დუმს ციერი!  
რისთვის ვწვალობდი... ბოლოს და ბოლოს!  
ვღგავარ ყოვლის წინ ხელცარიელი!

უგნურთა ცეცხლი! ზეიმობს ფერფლი!  
(ისევ სანამ მცდის, სანამ, ბუნება?)  
ვღგავარ და ვფიქრობ: – განგების ნებით  
გამოვადწიეთ გარეთ უვნებლად!

## მეოხი

... ცეცხლივით ნელა ნელდება შიში,—  
 წარმავალობას არ გსურს მინებდე...  
 კვლავაც ეწვდები,  
 — ცხადშიც და ძილშიც,—  
 სულის მეოხად ჩენილ იმედებს!

კვლავ თესავს სხივებს  
 — ვინც დღემდე თესდა,—  
 ანელებს სევდას და ნაღველს კაცთა,  
 სანთლებით აკრობს ღამეულ ფერს და  
 მარტომყოფობის დამდაღველ განცდას...

მარტო ხარ თავთან, ხალხშიაც მარტო  
 და უსახლკარო,— ცეცხლის წყალობით...  
 და, როგორც მწირი უმისამართო,  
 თურმე ამოდ დღემდე წვალობდი!

შვიდათეულის მტვირთველი კაცი —  
 ყოვლის დაწყებას ღამობ თავიდან...  
 დაჰყურებ მწარედ ჯამფილას დაცლილს,  
 ნუთუ რაც იყო, გაქრა, წავიდა?

ცეცხლივით შენში ნელდება შიში,—  
 წარმავალობას არ გსურს მინებდე...  
 ისევ ეწვდები,— ცხადშიც და ძილშიც,—  
 სულის მეოხად ჩენილ იმედებს!

## დროც დაიღლება

დროც დაიღლება, ალბათ, ოდესმე,—  
 ყველა აგ-კარგის მნახველ-მყოფელი...  
 მარადისობის უდაბნოეთზე  
 ჭრაქივით ბუტავს წუთისოფელი.

## ცის ჰაეროვან...

ცის ჰაეროვან ფერიებს ვერკი  
 შეიგრძნობს დღეის ორჭოფი გონი...  
 ჩანს ვარსკვლავების ფეიერვერკი  
 და გაფრენილი ქორბუდას ზოლი.

## გადმონათლება სამყაროს თვალი

ღამე ასტრალთა შუბლებს ახურებს,  
 ბზინავს და ბრწყინავს ცარგვალის უბე...  
 დილის მზე თვალს რომ დააფახურებს,—  
 ზეცა შარფივით გადიქნევს ღრუბელს.

დაიწრიტება ღამის ნარჩენიც,  
 გადმონათლება სამყაროს თვალი...  
 გარეშემონი (და დანარჩენიც)  
 ჩამესმის, როგორც გულის ფართქალი.

## პლანეტის ჩრდილში... (სტანსები)

პლანეტის ჩრდილში  
 მჭმუნვარებს ვიღაც: —  
 რამ შეანელოს ჟამთა მალეობა?  
 ვინ ჩასწვდეს, ვინა,  
 სივრცეთა მიღმა —  
 კოსმიურ გონის იდუმალებას?

რას გვამცნობს  
 შორი კუთვა პულსარის?  
 იქნებ რაიმე სტკივათ მნათობებს?  
 ცით ხვრელი ჩანს თუ  
 მეხის ნაქუსლარი?  
 ცთომილნი რაზე მასლაათობენ?

ვერ იტყვი:  
 — კაცი აქ მარტოდ არი,—  
 პარალელური ფეთქავს სამყარო...  
 იელვებს რაშის  
 ცად ნატორალი —  
 რომ ნაპერწკლები გადმოგვაყაროს...

რა არ ასვენებთ ასტეროიდებს?  
 რა ანაწილებს  
 ციურ სხეულებს?  
 კოსმოსთან თამაშს ვერვინ მოიგებს —  
 თუნდაც გადასწვდეს  
 ათასწლეულებს!

## პლანეტიდან პლანეტაზე

## ეს ხე

შორებელმა  
 ჩრდილშიც  
 ჩრდილი  
 გიჩრდილა,  
 ახლობელიც გაგიშორეულდა;  
 რა ბრტყალები... მკვეთრად გამოგინინა!  
 დგას უწყალოდ უამი შორეულთან...

წაქცეულსო... უნამუსოდ ჩაგიარეს...  
 ნანდაურიც გიგვიანებს სალამს...  
 ამ პლანეტის ბორბალიდან ჩახტი ბარემ,  
 სხვა პლანეტა გიფრიალებს ალამს!

დღემდე, ყოველწლივ, დახუნძვლით ესხა  
 და ამაყობდა ნაყოფით ეს ხე!

წელს დაურბია ყლორტები ქარმა  
 და მთელი გარჯა უქცია არმად!

ზოგ თვისტომს შურდა – როს უხვად  
 ესხა...  
 თითქოს სადარღო ჰქონოდათ ესლა!

დღეს დაბინდული, ყლორტებგაცლილი  
 დგას და... ზოგ-ზოგი უცქერს დაცივნით!

რა უსაშველო ტკივილით დარდობს...  
 ცბიერმა უამმა უყელა რა დროს!

## როგორ უეცრად...

როგორ უეცრად  
 შეიცვალა მშვიდი ამინდი,  
 წუხან ხეები –  
 ფეხუცვლელად დგომამისჯილნი...  
 ჩუმად მოვდივარ  
 შენი ყმა და შენი რაინდი;  
 გზახრეშიანზე  
 ხვრიში სეტყვა ცვივა ბრინჯივით.

ახლა ვის ახსოვს, შარშან რომ ესხა...  
 ტოტებნატკენი მჭმუნვარებს ეს ხე!

## დიდგორის გარიჟრაჟი (ფრაგმენტი წარსულიდან)

## ბინდში თვლემენ...

ბინდში თვლემენ ეწერები,  
 ღამე დილას ეწირება  
 და ტყეები – მეჩხერები –  
 თვალებს მწარედ ეჩხირება!

ღამე გატყდა... მორიჟრაჟდა...  
 მოფერმკრთალდა ნისლი...  
 მოვარე დაცხრა... შორით რაშთა  
 ჭიხვინის ხმა ისმის...

გზახე ხალხი აღტაცებით  
 დგას... არავის სძინავს...  
 ხმაღნაქები ვაჟკაცები  
 ბრუნდებიან შინა!

\* \* \*

## (ფრაგმენტი)

დავწვი ბევრი ხელნაწერი, –  
 ალად ენთო სიტყვები...  
 უჟამობით შენაწყენი –  
 გზას უსიტყვოდ მიფყვები!  
 ცისფრად აალებულ ცეცხლში  
 რითმა ჰგავდა მეტეორს...  
 კენესით მომძახოდა ლექსი:  
 – რატომ გამიმეტეო?!

## თეორემა

ამ საწუთროში  
 ჩვენი ყოფის თეორემა  
 ჩვენს გაჩენამდეა მოცემული, –  
 მისი მართებულობის დამტკიცება  
 ჩვენი წასვლის შემდეგაა  
 შესაძლებელი!

## შინ დაბრუნდები...

ღმერთმა შეარგოს და მიუტევოს,  
ვისაც უღხინდა და ახლაც უღხინს.  
ოთარ ჭილაძე

### I

დატოვე ღამე და  
სისხამს დაემგზავრე;  
სისხამიდან გამოსული  
ღილის ცვრიან გზაზე გახვედი...

### II

კარგა ხანია შუადღეს გადმოცდი,  
ისევ გზაზე ხარ,  
ვერაფერი მოისაგზავლე...  
შენ არ ეძებდი ყოველდღიურად  
სასარგებლო და საჭირო საგნებს...  
თუმცა გიჭირდა, – არ იჭირვებდი...

### III

ღღის დასალიერს ხვდები ხალვათად –  
სისხამის საშოდან  
ახალგამოსულივით...  
მიმწუხრის პირას, სივრცით მოფარდაგე-  
ბულ  
კარავში ზიხარ, –  
მომლოდინე და გაოგნებული!  
მაღე გაიღება შუაღამე და  
შინ დაბრუნდები...

## მაგიდაზე...

გონის თვალით ცამდე კიბეს შეიდგამს...  
მაგიდაზე ქალაღდს ჩუმად დასცქერის;  
იდუმალის ერთგული ყმა შეიქნა,  
აჭრელდა და ათამაშდა ნაწერი...

ასობმა მწვანე ფრთები შეისხეს,  
გვრიტებივით დაფრინავენ გარშემო, –  
ხან შეაქეს, ხან უსიტყვოდ შერისხეს...  
ის აქ კვდება, თანაც აქვე არსებობს!

ჩაფიქრდება, ცამდე კიბეს შეიდგამს...  
მაგიდაზე ქალაღდს ისევ დასცქერის;  
იდუმალის ყმა-მორჩილი შეიქნა  
და აბრუებს მას სიტყვათა ნაჩქერი.

## პოეტი იყო იგი

პოეტი იყო იგი,  
ვისაც ამცნეს: –  
ხვალ ყოველივე აღიგებო...  
ის კი იჯდა და მაინც ლექსს წერდა –  
**ხვალისთვის!**

## აღიძვრის გული ხვალინდელ დღისთვის

„ცოცხალი ძაღლი მკვდარი  
ლომის უმჯობესია“.  
ეკლესიასტე (IX, 4)

აღიძვრის გული ხვალინდელ დღისთვის, –  
სანამდის ფეთქავს, უტოკავს ძარღვი,  
სანამ მეღინობს

იმედის სისხლი...

მკვდარ ლომს ცოცხალი ჯობია ძაღლი!

ვის ელოდება ცეცხლის ღუმელი,  
ვის კიდე – მშვიდი სამოთხის ბაღი?  
გადატყდა ტოტი გადუღუნველი...  
მკვდარ ლომს ცოცხალი ჯობია ძაღლი!

ვაი იმ ქალაქს! – გოგირდის წვიმა  
რომ დააცხრება – ვნებებით დაღლილს...  
სიცოცხლის განცდა ვის მოეწინა?  
მკვდარ ლომს ცოცხალი ჯობია ძაღლი!

აღიძვრის გული ხვალინდელ დღისთვის, –  
სანამდის ფეთქავს, უტოკავს ძარღვი,  
სანამ მეღინობს

იმედის სისხლი...

მკვდარ ლომს ცოცხალი ჯობია ძაღლი!



## ოღონდ... ირწმუნე!

ჯერ ვერ დაგთრგუნავს  
 საწუთრო, გთხოვ, დაიჯერო, გულო, და  
 თაყნაქინდრულად  
 ნუ გახვალ ტოლ-სწორთა საკრებულოდან!  
 მათაც სჭირდები,  
 მათ ტრაპეზს უხდები, თუნდაც უსმელი...  
 ირწმუნე: – კვლავაც  
 მიგელის მთა – ჯერაც გადაუსვლელი...  
 ნუ დაოკდები!  
 თუმც, გულო, წამოიტკიებ სტენდებით...  
 ზოგჯერ თუ ნაღვლით  
 დამდები, ხშირად განწყობით თენდები!  
 უკმიხედე,  
 ჟამთმომღა: –  
 ცველქობით, ჭიდილ-კრივითა  
 იელვებს ყრმობის  
 გარემო; – ჭრიჭინობლების კრინითა  
 ახმიანდება  
 მინდორი, უმპიის სანახები და  
 მზეს ახლებურად  
 იხილავ, სხვა თვალით ანახელითა...  
 ოღონდ... ირწმუნე! –  
 სიბერე ჯერ არ გწვევია, გულო, შინ,  
 თავაწეულად  
 ივლიდე ტოლ-სწორთა საკრებულოში!

## ცა მოიხატა ელვის ფრიზებით

ცა მოიხატა ელვის ფრიზებით,  
 ბრწყინავს ელჭექის ბასრი ისრები...  
 კვლავ უნუგეშოდ წევხარ ფხიზელი  
 და ნერვიული გიცდის სიზმრები!

უარი არაყს! აღარც „კახური“! –  
 (ლამის ემსგავსო კაცი გარეტილს...)  
 ზამთარია თუ ცხელი ზაფხული –  
 აღარც ლუდი და არც სიგარეტი!

მერყეობს გული მალემრწმენით,  
 ერთად იგრძენი კილი-ზადები...  
 თითქოს ხარ უკვე ჩამოწერილი  
 და სხვა მხარისკენ მიემზადები!

გესმის შენივე გულის მუნათი,  
 თუმც არ იყავი ვიღაც მოცლილი...  
 გარდასულ დღეებს – დროის მონათიბს –  
 ვერ დაგიბრუნებს ის, დალოცვილი...

ცა მოიხატა ელვის ფრიზებით,  
 ბრწყინავს ელჭექის ვერცხლის ისრები...  
 კვლავ უნუგეშოდ წევხარ ფხიზელი  
 და ღვინის ნაცვლად გათრობს სიზმრები!

## გრავიორივით...

გრავიორივით ვცდილობ ამოვჭრა  
 დროის აბრაზე: – “მეც აქ ვიყავი“...  
 მერე...  
 საწუთრო გულსაც ამოჭამს,  
 აცახცახდება ყბა და ნიკაპი...  
 ამოედება პირსაც (და, მორჩა!)  
 ცივი დუმილი, ვით ალიკაპი!

## ჯერ კი...

„მემრე თქვეს: „დრო რო მოალის,  
 კარ გაიღების თავადა“.

**ხალხური**

მეც წყალივით, წვეთწვეთობით,  
 ვუკაკუნებ დახშულ კარს!  
 აქ არავინ მეკითხება –  
 ამ ბჭეს რატომ ვუვლი გარს...  
 კვლავ ჯიუტად – ერთ წერტილს და  
 ერთ სამიზნეს და ერთ რკალს  
 არ ვეშვები... არ ვჩერდები...  
 ჯერ კი... არვინ ადებს კარს!

**ბია ხუბუა**

**ფუძის ანგელოზი**

ჯუმბერ ბუკია ჭიშკარს მიაღებოდა, ველოსიპედიდან მარცხენა ფეხს ჩამოღებოდა და, სანამ სრულად ჩამოქვეითდებოდა, თვალს შეავლებდა ეზოს სიღრმეში მოწყენილად მდგარ ოდას. გამომეტყველება ეგრევე შეეცვლებოდა, თითქოს ეზოდან გამომზირალი მოწყენილობა გადმოედებოდა. გასაღებს ჟანგიან ჯაჭვზე დაკიდებულ ბოქლომს გაურჭობდადა კარი მძიმედ, ჭრი-ალით რომ გაიღებოდა, სახე კიდევ უფრო ნაღველიანი გაუხდებოდა. ველოსიპედს ბალახმოძალებულ ეზოში შეაგორებდა, ისეთი შეგრძნებით გაუყვებოდა ნაბილიკარს, როგორც ეუფლებათ ხოლმე ერთ დროს ძვირფასი, მერე კი მიტოვებულ-გავერანებული სახლ-კარის დანახვისას.

კიბესთან შეჩერებული ველოსიპედის საბარგულიდან საგზლიან ჩანთას აიღებდა და აივნის ბოძზე დაკიდებდა. კარ-ფანჯრებს გასანიავებლად გააღებდა, მერე უკანა ოთახიდან წაღდს, ნაჯახს და ცეფს გამოიტანდა...

ასე ხდებოდა თვეში ერთხელ, ზამთარში უფრო იშვიათადაც. ბოლო დროს სულ უფრო ნაკლებად მოუწევდა გული სოფელში. უკვე ხანდაზმულს ველოსიპედით შვიდი კილომეტრი უნდა გამოეფლო (ცალმხარეს), მაგრამ სიშორე როდი იყო მთავარი მიზეზი, არამედ ის, რომ ოდა, სადაც ბედნიერი ბავშვობა გაეტარებინა, ნელ-ნელა ინგრეოდა.

ჯუმბერის მშობლებმა სამოცდაათს რომ გადააბიჯეს, თითქმის ერთდროულად (სამი თვის ინტერვალით) ისე გადაინაცვლეს იმ ქვეყნად, თითქოს მოილაპარაკესო. მას შემდეგ, რაც ჯუმბერი დაქორწინდა და ქალაქში (რაიონულ ცენტრში) დაბინავდა, ისინი ოცწელზე მეტხანს მარტო ცხოვრობდნენ ამ სახლში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ ჯუმბერი ცოლ-შვილთან ერთად თითქმის ყოველ კვირა აკითხავდა მშობლებს. მათი გარდაცვალების შემდეგაც ერთხანს ხშირ-

ად დადიოდა, მაგრამ მერე და მერე მოუკლო. ეზო შემოსავალს ბევრს არაფერს აძლევდა, ავეისტოში ასიოდე კილოგრამ თხილს მოაგროვებდა და ეგ იყო. ატმები კარგა ხნის წინათ გახმა; ძველი, ფითრისბურთებიანი მსხლებიც, რომლებსგანაც ჯუმბერის მამა საუკეთესო არაყს ხდიდა, გახმა ან აღარ იხსამდა. ორიოდე ძირი ტყემალი და კიფერი კი სათქმელადაც არ ღირდა. ერთ-ორჯერ, გაზაფხულზე, ნერგები იყიდა და ხეხილის განახლება მოინდომა, მაგრამ ხან საიდან-ღაც შესულმა საქონელმა გადაჭამა ახალნარგავი, ხანაც გვალვაში ვეღარ გაიხარა. სახლის დაძველებასთან ერთად ესეც გულს უცრუებდა სოფელზე.

რა თქმა უნდა, აწუხებდა, ოდაში რომ წყალი ჩამოდიოდა და ფიცრებთან ერთად კოჭებიც ღებებოდა, სიზმარშიც სულ მიბრეცილ-მობრეცილი ელანდებოდა, მაგრამ უკვე შვილიშვილებით დატვირთული ისედაც ვეღარ იცლიდა სახლისა და ეზო-კარის მისახედად. პენსიაზე გასვლის შემდეგ აქა-ურობას მეტ დროს დაეუთმო და სახლსაც შევაკეთებო, ასე ელო გულში. იმედოვნებდა, რომ მანამდე ოდა არ დაინგრეოდა, მაგრამ ერთ საღამოს ტელევიზორში უყურა გადაცემას, სადაც აჩვენებდნენ, რა მოხდებოდა ოცდაათი წლის განმავლობაში ადამიანის გარეშე დარჩენილ დედამიწაზე. როგორც გადაცემის ამერიკელი ავტორები ამტკიცებდნენ, ამ დროში ადამიანის ზრუნვის გარეშე თითქმის ყველა სახლი დანგრევას დაიწყებდა და განადგურდებოდა, ჯუმბერი ამან ჩააფიქრა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ თითქმის ოცდახუთი წელიწადი იყო გასული, მას აქეთ სახლი მიუხედავი იყო, ესე იგი, კიდევ ხუთი წელი და ოდა დაინგრევა!

არა, პენსიაზე გასვლას ვერ დაელოდებოდა, რამე უნდა იღონოს... იმ საღამოს მოუსვენრობამ შეიპყრო, ვერა და ვერ დაიძინა. ნაშუადამევს ადგა და კარადიდან სურათების ალბომი გამოიტანა. წლები იყო გასული, რაც ეს ალბომი არ გახსენებია და სინანული იგრძნო ამის გამო. მონატრებით გადაშალა, ფოტოებმა გარდასული დროის მოგონებები გაუღვიძა. ბოლოს ერთი ძველი,

გახუნებული სურათი მოძებნა და ფიქრიანი მზერით კარგა ხანს დასცქეროდა.

სურათი ახალაშენებული ოდის ფონზეა გადაღებული. წვერდაფენილი დიდი ბაბუა, ალექსი, ვინაც ააშენა, ჩოხა-ახალუხში გამოწვობილი საზურგიან ვენურ სკამზე საპატიოდ ზის, მას ხუთიოდე წლის ვაჟიშვილი სამეველი, ჯუმბერის ბაბუა, ფეხებშუა მოუქცევია, უკან დიდი ბებია დგას მულთან ერთად. ჯუმბერმა ალბომი დაკეცა, მაგრამ ის სურათი შიგ არ ჩაუღია, საწოლის გვერდით, თაროს შუშის უკან მზრუნველად შეა-ცურა და იმ დღეებში ხშირად შეხედავდა...

კვირის თავზე სოფელში ჩასულმა მეზობლებში გაიკითხა, – ვინმე პატიოსანი ხურო ხომ არ გეგულებათ, ოდას რომ შემიკეთებს, ისეთიო. მეზობლებმა ჯერ ტუჩები მომუწეს და თავი გააქნიეს, მერე ჩაიღიმეს და უთხრეს, – ახლა ხის სახლს არავინ აშენებს და ხუროც ძნელი მოსაძებნიაო. ბოლოს მოსაზღვრე სოფელში მცხოვრები დღითე გაიხსენეს. ჯუმბერს ბევრი არ უფიქრია, მისი სახლისკენ გულმოცემულმა გასწია. ხურო შინ დახვდა, მას ჯუმბერის მამა კარგად სცნობოდა, სახლიც იცოდა, მაგრამ საუბრის დაწყებისთანავე შეეცყო, რომ ერთობ ჭირვეული კაცი იყო. ჯერ არ მცალიაო, და რაღაცა მიკიბ-მოკიბა. როდესაც ჯუმბერმა უთხრა, მოვიცდი, ოღონდ სიტყვა მომეცი, რომ გამიკეთებო, ბევრი ისეთი პირობა წაუყენა, რომელთა შესრულება, უბრალოდ, არ შეეძლო. ჯერ ერთი, მე მანქანა არ მყავს, ფეხით ვერ ვივლი, დილა-საღამოს შენ მატარეო (არც ისე შორს, ოთხ კილომეტრში ცხოვრობდა), მერე, სახურავი ძველია და ასვლა სარისკოა, ჩემი პასუხისმგებლობით ვერავის ავიყვან, შენ უნდა მომიძებნო დამხმარეო. კიდევ თქვა ამისთანები და ისე დაშორდნენ ერთმანეთს, სახლის დათვალიერებაზე, საჭირო მასალებსა და ხელობის საფასურზე არც ულაპარაკიათ.

ქალაქშიაც გაიკითხა, მისწავლეს რამდენიმესთან, მაგრამ სოფელში მუშაობა არავინ ისურვა. ბოლოს ერთი დაითანხმა, ტაქსით წაიყვანა სახლის საჩვენებლად და პირობების შესათანხმებლად. იმან კარგა ხანს

უტრიალა სახლს და ხელობის საფასურად იმხელა ფული მოითხოვა, ჯუმბერს იმედი გადაეწურა.

\* \* \*

ერთი წლის შემდეგ თხილის ფასმა მოიმატა, ჯუმბერმა თხილის ფულს სამასი ლარი დაუმატა და ათას ხუთას ლარად ძველი, მაგრამ საკმაოდ კარგად შენახული „ჟიგული“ იყიდა. აწი უფრო შეეძლო მიეხედა მიტოვებული სახლ-კარისთვის. გამხმარი ხეების ადგილას თებერვალში ორმოცდაათი ძირი თხილი დარგო, რაც უახლოეს წლებში თხილის მოსავალს სამას კილომდე გაუზრდიდა.

თურქეთში თხილის ნარგავები დაზიანდა, ამიტომ ფასი არ დაიკლებსო, – ამბობდნენ და ნანობდა, ადრე რატომ არ დავრგეო. ოდის რემონტის სურვილმა ხელახლა გაიღვიძა მასში. ძველი ფოტოსურათი კვლავ ახსენებდა თავს, არც ის ამერიკული გადაცემა ჰქონდა დავიწყებული.

მისი ფიქრები დღითე დაუბრუნდა, ალბათ სჯობდა აეტანა მისი ჭირვეულობა და დაეწყო რემონტი. ახლა მანქანა ჰყავდა, ჰოდა, შეეძლო ხურო დილა-საღამოს ეტარებინა, არც მისი კვება გაუჭირდებოდა. თუ საფასურზე მორიდდებოდნენ, მხოლოდ დამხმარე მუშის მოძებნა დასჭირდებოდა... ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს კვლავ მიაღება მას. ამჯერად ხურო უფრო გულისხმიერად შეხვდა, დამხმარეზე სიტყვა საერთოდ არ ჩამოუგდია, ოდის დასათვალიერებლად უყოყმანოდ გამოჰყვა.

– ერთი რამე მინდა გკითხო... – სანამ კითხვას დაუსვამდა, დღითე თუთუნის კარგა ხანს აბოლა, თან მოჭუტული თვალეებით სახლს უყურებდა, – შენ აქ აპირებ ცხოვრებას?

– არა, – გულლიად მიუგო ჯუმბერმა.

– იცი, რას გეტყვი?... მაშინ რად გინდა ამის რემონტი, იმდენი ხის მასალა დაგჭირდება, თითქმის ახლის ფასი დაგიჯდება. მე შენს ადგილზე დავმლიდი და ვარგისი ფიცრებისგან პატარა ფიცრულს გავაკეთებდი... აგერ გვერდზე შეგიძლია ჩადგა...

ასეთმა შემოთავაზებამ ჯუმბერი საგონებელში ჩააგდო. ხუროს სახეში მი-  
აჩერდა, მერე ოდისკენ გადაიტანა მხერა და  
გრძელი პაუზის შემდეგ უთხრა:

– მენანება, დასაშლელად ვერ გავიმეტებ.  
– გასაგებია, მარა ყველაფერი გამოსაცუ-  
ლელია და...

– მაინც რამდენი დამიჯდება სავარა-  
უდოდ?

– აბა, რა ვიცი, ხის მასალა ყოველდღე  
ძვირდება, მე მხოლოდ ხელობის ფასი  
შემიძლია გითხრა.

– მითხარი.

ღოროთემ ისევ გააბოლა თუთუნი, თავი  
დახარა და მიწას დააშტერდა, ეტყობოდა,  
ვერ გადაეწყვიტა, რამდენი ეთქვა და რაღა-  
ცას ანგარიშობდა. ჯუმბერი მისგან გვერ-  
დულად იდგა, დროდადრო მხერას ესროდა.

– ყველაზე ნაკლები სამი თვის სამუშაო  
იმ პირობით, რომ ყველაფერი დროულად  
მექნება. თვეში ათასი ლარი ხომ მეკუთვ-  
ნის?

– კი გეკუთვნის, მარა... – შეფიქრიანდა  
ჯუმბერი, – მეორე იმდენი მასალასაც  
მოუნდება.

– ჰოდა, მაგიტომ გეუბნები, ამის რემონტი  
ზარალია. მე თუ დამიჯერებ, მიწაც მოგე-  
მატება, თხილს დარგავ, ოდის ადგილას თხ-  
უმეტი ძირი თავისუფლად დაირგვება. ხუ-  
თზე გაამრავლე, სამოცდათხუმეტი კილო  
თხილი მოგივა, შვიდას ორმოცდათ ლარს  
მოგცემს დამატებით.

– დაშლა და პატარა ფიცრულის გაკეთ-  
ება რა დამიჯდება? – ჭოჭმანის შემდეგ  
ჰკითხა ჯუმბერმა.

– ათასად დაგიშლი, მეორე იმდენად  
კაი კოხტა ორთვალიანს გაგიკეთებ, ოთხი  
ოთხზე საკმარისია, მეტი რაღად გინდა?

– აჰა, – ჩაილაპარაკა ჯუმბერმა, კვლავ  
შეხედა ოდას, რომელიც ახლა კიდევ უფრო  
ძველი და დაბრეცილი ეჩვენა. – კარგი, ერთ  
კვირაში საბოლოოდ გადაეწყვეტ და გეტყვი!

\* \* \*

ჯუმბერმა საღამოს ცოლს უამბო ხუროს-  
თან შეხვედრის ამბავი. ქალს არ უნდოდა

ოდის აღდგენაზე ბევრი ფულის დახარჯვა  
და შემოთავაზება მოიწონა.

– ძალიან კარგი რჩევა მიუცია! მეც ასე  
ვფიქრობდი, მაგრამ შენ გინდოდა რემონტი  
და არ გეუბნებოდი. ჩვენ არ ვიცხოვრებთ იქ,  
მით უმეტეს, არც ჩვენი შვილი იცხოვრებს,  
რადღად გვინდა ამხელა სახლი, დასაშლე-  
ლია ნამდვილად.

– კარგი, ვეტყვი მაშინ და, სანამ სულ  
ჩაიქცევა, დავაწყებინებ დაშლას.

– ოღონდ უთხარი, ახალს რომ ააგებს,  
მაღალი სახურავი გაუკეთოს, ასეთი, – ქალ-  
მა ხელის მტევნები მახვილი კუთხით მიადო  
ერთმანეთს. – ჩამოსათოვლი არ იქნება და  
ზევით პატარა საკუჭნაოც გამოვა.

– ვნახოთ, დახარისხების შემდეგ რა  
დარჩება და რას ეყოფა.

– მაგხელა ოდიდან ერთი ქოხი არ გამო-  
ვა?

– კი უნდა გამოვიდეს წესით,

– ჰოდა, გააკეთებინე, მე რომ გეუბნები,  
ისეთი.

ერთი კვირის შემდეგ ჯუმბერი საბოლოო-  
დ გაურიგდა ღოროთეს, რომელმაც თავისი  
უფროსი ვაჟი დაიყენა დამხმარედ.

ორ კვირაში უნდა დაეშალა და კიდევ  
ერთ თვეში ფიცრულიც ჩაედგა, ასეთი იყო  
პირობა. ჯუმბერმა ხუთასი ლარი წინასწარ  
გადაუხადა, დარჩენილ ათას ხუთასს კი სა-  
მუშაოს დასრულების შემდეგ მისცემდა.

ღოროთე სახურავზე მარტო ავიდა, უსაფ-  
რთხოებისთვის ბუხრის თავს თოკი მოაბა,  
თოკის მეორე ბოლო ქამარზე გამოინასკვა,  
შემდეგ მეორე თოკიც ასევე გაამზადა  
შვილისათვის.

ჯუმბერი ოდის წინ ცოტა მოშორებით  
იდგა და უყურებდა, როგორ იწყებდნენ სახ-  
ურავის დაშლას. ის იყო, პირველი შიფერი  
ააძრეს, რომ ზალის ფანჯარაში რაღაც  
გაიღანდა და ჯუმბერის ყურადღება მი-  
იქცია. შუშის მიღმა მან დაინახა ადამიან-  
ის სახისმაგვარი გამოსახულება! ხომ არ  
მეჩვენებო, გაოცებულმა თვალები მოიფ-  
შენიტა და ისევ შეხედა. ახლა სრულიად  
გარკვევით დაინახა წვერმოშვებული მოსუ-  
ცის სახე. მხერადქცეულმა მასში თავისი

დიდი ბაბუა ალექსი რომ შეიცნო, შიშისგან ტანში გააურიალა. ჰო, ის იყო, ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ძველ ფოტოზე, ოღონდ წვერი მთლიანად გასთეთრებოდა.

გაოგნებულს სუნთქვა შეეკრა, რამდენიმე წამს გაშეშებული იდგა, წინაპრის სახება რომ გაქრა, პირჯვარი გადაიწერა, სახურავს შემოფოთებით ასედა და მთრთოლარე ხმით ასძახა:

– დორო, ჩამოდი!.. ჩამოდი!

## კვერცხი ბირმინგემულად

კახა და ვიკა მეორე დღეა, შინ მარტონი არიან. ოჯახის ორი დანარჩენი წევრი გუშინ დილით მატარებლით გაემგზავრა თბილისში, სადაც დათომ მათემატიკის ფინალურ ტურში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ისინი, სავარაუდოდ, გვიანდამით მატარებლითვე დაბრუნდებიან. რეგიონალურ ტურში გამარჯვებული დათო დედაქალაქში პირველად როდი მიდიოდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ თოთხმეტი წლისაა (მერვეკლასელია) და მშობლები მარტო ვერ გაუშვებდნენ. სხვა რომ არაფერი, ბიჭს დედის ხელშეწყობა სჭირდებოდა, მაგულიმაც დიდი ამბით გაამზადა მისი ტანსაცმელი, გზაში საჭირო ნივთები, საგზალი და თან გაჰყვა.

ვიკა თერთმეტი წლის წყნარი გოგონაა, მამამისი ყოველნაირად ცდილობს, რომ მან უდებოდ არ მოიწყინოს. ცოლის გარეშე თვითონაც გრძნობს დისკომფორტს, თუმცა ცდილობს ეს არ შეიმჩნიოს. ერთობლივად, მშვიდად და შესმატკბილებულად აკეთებენ პატარ-პატარა საოჯახო საქმეებს, ორივე მონდომებულია, რომ დიასახლისის არყოფნა სახლს არ დაეტყოს. კახა დილით ადრე ადგა და ქათმებს სიმინდი დაუყარა, ნაგავი გადაყარა, ბაჭიებს გაღიაში ბალახი და სტაფილო ჩაუყარა, მერე მაღაზიიდან პური და კარაქი მოიტანა, ჩაიც თვითონ წამოაღუდა. ვიკამ ნასაუზმევს, სანამ საწერ-

საკითხავს მიუჯდებოდა, ჭურჭელი დარეცხა, სამზარეულო მიალაგა.

ასევე გაინაწილეს საქმე სადილობისას.

ნაშუადღევიდან მოყოლებული დარეკვას ელოდებიან.

– ტური ათზე ხომ იწყებოდა?

– კი.

– სამ საათს გრძელდებაო, თერთმეტი, თორმეტი, პირველი... – ანგარიშობს ვიკა. – საათი და ოცი წუთია, რაც დამთავრდა. ამდენ ხანს ვერ დარეკეს?

– ფოსტამდე მისასვლელად ყველაზე ცოტა ნახევარი საათი დასჭირდებათ, იქ კიდევ რიგია...

– კი მაგრამ...

– სანამ ფოსტაში წავიდოდნენ, ალბათ ისადილებდნენ.

მამის ნათქვამი ვიკასთვის სრულიად დამაჯერებელია.

– ჰო, ალბათ ნახევარ საათში დარეკავენ, – ამბობს ის.

– ერთ საათში მაინც, – დროის მარაგს იტოვებს კახა.

ეს ერთი საათიც გადის, გოგონას მოწყენილობა ეუფლება. მოლოდინი ნელ-ნელა მამასაც უმძაფრდება, მაგრამ არ იმჩნევს. მართლაც, რატომ არ დარეკეს ამდენ ხანს? მოსაწევად აივანზე გასვლას უხშირებს, მოაჯირს მიყრდნობილი აბოლებს და ფიქრიანი მხერით გაჰყურებს ვაშლისა და ალუბლის ბაღს. ოთახში შემობრუნებული კითხვის გამომხატველი მხერით შეხედავს ვიკას, თუმცა რომ დაერეკათ, ზარს აივნიდანაც გაიგონებდა.

– ალბათ კარგად ვერ დაწერა და დარეკვის თავი არ ექნებოდათ, პირდაპირ სადგურზე წავიდოდნენ, – ვარაუდობს კახა.

– დედამ თქვა, აუცილებლად იმ შემთხვევაში დაგირეკავთ, თუ რაიმე მიზეზით ვერ წამოვედითო.

– ჰოდა, მოდიან და დარეკვაზე დრო არ დაკარგეს. კარგიც ქნეს, იქ ისეთი რიგებია...

– დედას მაღაზიებშიც უნდოდა შევლა.

– მით უმეტეს, დრო აღარ დარჩებოდათ.

ამ საუბარში იყვნენ, რომ ტელეფონის გაბმული ზარი გაისმა.

ყურმილის აღება ვიკამ დაასწრო. მაგულის ხმაზე ეტყობოდა, რომ ყველაფერი ძალიან კარგად იყო. სინქარეში ცოტა არეულად მოჰყვა, თუ რა ხდებოდა ტურზე. დათოს თავი გამოეჩინა. ტურის რეგიონების კურატორს მასზე უთქვამს, ჭკვიანი ბიჭია, ძალიან კარგად დაწერაო, უფრო მეტიც – სიურპრიზი შემოგვთავაზაო. გახარებული მაგული ემოციას ვერ მალავდა.

მამა-შვილს განწყობა ერთბაშად აუმაღლდა.

– ყოჩაღ, დათო! საინტერესოა, სიურპრიზში რას გულისხმობდა? – ღიმილით ამბობს კახა.

– ალბათ ყველაზე უკეთ დაწერა, – თვალი უბრწყინავს ვიკას, უხარია ძმის წარმატება.

– მგონი ეილერი გვეზრდება ოჯახში, – კმაყოფილებით აგრძელებს კახა.

- ეილერი ვინაა?
- მათემატიკის მეფეა.

ღიმილით შეჰყურებენ ერთმანეთს, მერე ცოტა ხნით გარეთ გადიან. ეზო-კარი მოსაწესრიგებელია. ვაზის ტალავერს ხელის შევლება სჭირდება, – კახას გარაჟიდან კიბე და სასხლავი გამოაქვს. ვიკა ცოცხსა და აქანდახს იღებს, საბუდრიდან კვერცხების აღებაც არ უნდა დაავიწყდეს.

სადამოს პირზე ოთახში მობრუნებულები ტელევიზორს რთავენ.

- ჭამა ხომ არ გინდა? – ეკითხება კახა.
- ცოტა კი მშია, მაგრამ ჯობია, დაველოდოთ და ერთად ვივახშმოთ, – დიდივით პასუხობს ვიკა.

კახასაც ჭკუაში უჯდება ეს აზრი.

სადამოს მატარებელი თერთმეტის ნახევარზე, ანუ ორ საათში ჩამოდის. ტელევიზორის ყურებაში ეს დრო სწრაფად გაირბენს. პირველ არხზე სატელევიზიო სპექტაკლი გადის, პოპულარული მსახიობებიც მონაწილეობენ. ვიკას მოსწონს სპექტაკლი, სულ უფრო მეტი გატაცებით, თვალმოუცილებლად უყურებს. მამამისს კი გაზეთი გაუშლია, ხან კითხულობს, ხანაც ტელევიზორს მიაპყრობს მხერას.

– მამა, მაღაზიიდან შავ პურს ვერ მომიტან? – მოულოდნელად ეკითხება ვიკა.

– შავი პური?.. რაღად გინდა ამაღამ? – გაიოცებს კახა.

– მეც მინდა სიურპრიზი შევთავაზო დედას და დათოს, – გოგონას თვალები ეშმაკურად უციმციმებს.

- რა სიურპრიზი?
- მომიტანე და ნახავ, შენთვისაც სიურპრიზი იქნება.

– მოკლედ, შვილები სიურპრიზებით მავსებენ დღეს, – პაუზის შემდეგ ღიმილით ამბობს კახა და საშინაო შარველის ჯიბეში საფულეს იღებს.

– ოთხკუთხა არ გამომადგება, მოგრძო როა, ის იყიდე, – აზუსტებს ვიკა. – ერთი პური მეყოფა.

გოგონას იდეა სპექტაკლმა უკარნახა. უცებ მოაფიქრდა, რომ ვახშმად მანაც მოამზადოს კვერცხი ბირმინგემულად. ამის გაკეთება, როგორც დადგმის ერთი პერსონაჟი უხსნის მეორეს, საკმაოდ ადვილია. ცილინდრული ფორმის შავი პური ძეხვივით უნდა დაჭრა, მომრგვალო ნაჭრებს გული უნდა მოაცილო, წრიული ქერქები ზეთიან ტაფაზე უნდა დააწყო, შიგ კვერხები ჩათხლიშო და შეწვა. სულ ესაა. ამის გაკეთებას თავისუფლად შეძლებს. ვიკას მოუთმენლობა ეუფლება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა საქმეს შეუდგეს. ვაითუ, ისეთი პური აღარ იყოს მაღაზიაში!

– ახლა მაინც არ მეტყვი, რა სიურპრიზს გეთავაზობ? – ეკითხება მაღაზიიდან დაბრუნებული კახა და პურს აწვდის.

– არა, ყველამ ერთდროულად უნდა შეიტყოთ.

სატელევიზიო სპექტაკლი სრულდება. კედლის საათის ისრები ათს უჩვენებენ. კახა მანქანას ქოქავს და ცოლ-შვილის დასახვედრად სადგურში მიდის, ვიკა კი სამზარეულოში გადის და დაუყოვნებლივ იწყებს ჩანაფიქრის შესრულებას. მაცივრიდან კვერცხები გამოაქვს, ტაფას ამზადებს, გაზს ანთებს...

– რა სიურპრიზი შესთავაზე ტურზე? – ეკითხება ვიკა ძმას.


– შენ მაგას ვერ გაიგებ, – ცოტათი იჭიმება დათო.

– მამა ხომ გაიგებს? – არ ეშვება ვიკა.  
 – მამას უკვე ვუთხარი.  
 გოგონას ცნობისმოყვარეობას დედა აკმაყოფილებს. მაგული, რომელიც სკოლაში ფიზიკას ასწავლის, უხსნის:  
 ამოცანა თურმე ეხებოდა რაღაც სიმრავლეებს, რომლებსაც ერთნაირი ელემენტებიც ჰქონდათ. მოსწავლეებს უნდა დაედგინათ, ამ სიმრავლეების გაერთიანებით რამდენ ელემენტია ახალი სიმრავლე მიიღებოდა. სამი სავარაუდო პასუხიდან თურმე სამივე არასწორი იყო, რასაც მხოლოდ დათო მიხვდა. ამას გულისხმობდა კურატორი.  
 – მართლა სიურპრიზი გაუკეთებია, – ჩაფიქრებით ამბობს ვიკა და ცდილობს გაარკვიოს, რატომ იყო პასუხები არასწორი.  
 – მგონი, ვიკამაც მოგვიმზადა რაღაც სიურპრიზი, – ერევა საუბარში კახა და მაგიდას თვალს ავლებს.  
 – რა სიურპრიზი, დე? – აღერსით ეკითხება დედა.  
 ვიკა დიდ თეფშზე დალაგებულ წრიულ კვერებზე უთითებს:

– კვერცი ბირმინგემულად!  
 – რაო? ბირმინგემულად?..  
 – დიახ, ბირმინგემელები ამზადებენ ასეთ საჭმელს.  
 მაგული ერთ ცალს იღებს და ინტერესით ათვალიერებს, გემოსაც უსინჯავს. გააკვირვება სიხარულით ეცვლება.  
 – მართლა შენ გააკეთე, დე?!  
 – აბა?!  
 – მომესწრო ქალიშვილი!  
 ვახშამზე მშვენიერი ოჯახური განწყობა სუფევს, ვიკას ნახელავს უქებენ და ჩაიცოთიქოს უფრო სურნელოვანია.  
 – ოჰ, როგორ დავიღალე დღეს! – ამბობს მაგული, როცა ბავშვები თავიანთ საძინებლებს მიაშურებენ.  
 მართლაც დაღლილი სახე აქვს. კახასაც ეპარება მოთენთილობა, მაგრამ დაძინებას არც ის ჩქარობს. ერთმანეთს მდუმარედ შესცქერიან, თვალებში რაღაცნაირი ნათელი უკრთით.  
 დიდი ბედნიერებაა დედ-მამისთვის ჭკვიანი და გონიერი შვილების ყოლა.



# „სადღაც გადარგული ბავშვობა“



ამ წიგნის ავტორი ბალელი ქალბატონი, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ნანა ჯეჯეია ბახლავთ. ესაა სევდიანი და ლამაზი მობრუნების კრებული, რომელიც მკითხველმა დიდი მოწონებით მიიღო და ეს აზნაუბრის სულიერებისა და კულტურის ცენტრში გამართულ წიგნის პრეზენტაციასაც თვალნათლივ ჩანდა.

წიგნი გამოცემა ნიუ-იორკის ქართულმა გამომცემლობა „მამულმა“ და დაიბეჭდა ქ. ქუთაისში.

ქვემოთ ბრძანებით წიგნის რედაქტორის ქალბატონი ნანული ცხვედიანის წინასიტყვაობას და ერთ-ერთ ნოველას აღნიშნული წიგნიდან.

ეს განსაკუთრებული წიგნია – ემიგრანტის დაწერილი კეთილი წიგნი.

სოციალურ ქსელში გამოჩენილ პირველსავე ავტობიოგრაფიულ მოთხრობებს ისეთი საყოველთაო ინტერესი მოჰყვა, რომ საზოგადოებრივი აზრი იმთავითვე

მტკიცედ ჩამოყალიბდა: ერთ კრებულად გაერთიანებული ეს მშვენიერი ნაწარმოებები უთუოდ უნდა გამოცემულიყო წიგნად.

უკვე წლებია, ამ მოთხრობების ავტორი ნანა ჯეჯეია ოჯახთან ერთად ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა მის კარგ ქართულს, მეტყველ ფრაზებს ოდნავაც ვერ აკნინებს დრო და მანძილი. გემოვნებიანი, დახვეწილი ადამიანის ფაქიზი ხელწერა, ნიჭიერი შემოქმედის ხედვა იგრძნობა თითოეულ ნაწარმოებში.

თითოეული მოთხრობა – ესაა ბავშვობისა თუ ახალგაზრდობის წლებიდან გამოსხობილი უსათუთესი ემოცია, რომელიც ესოდენ შთამბეჭდავ მხატვრულ სახეებად და პასაჟებადაა ჩამოქვეყნილი. მშობლიურ გალსა და ქუთაისში დარჩენილი, თვალსაწიერიდან გამქრალი უძვირფასესი სილუეტები (ახლობლების, ნათესავების, მეზობლების, ტოლ-მეგობრებისა), რომელთაგან ზოგიერთი ქართულ-აფხაზური ომის წიაღშიც შთაინთქა, უადრესად საინტერესო პერსონაჟებად არიან სახექმნილნი. მათ გვერდით კი, დროდადრო, ცხოვრების გზაზე შეხვედრილი კალიფორნიელებიც გაივლინებენ ხოლმე. თითოეული ამერიკელი ნაცნობ-მეგობრის ხატვის დროსაც ავტორი თითქოს იმ ძვირფას ადამიანებთან მსგავსებას ეძიებს, სამშობლოში რომ დატოვა, და მკითხველსაც გულწრფელად აჯერებს: კაცთმოყვარეობას, სიქველეს, პატიოსნებას დედამიწის ყველა კუთხეში ერთი ფასი ადევს.

აი, ქართველო მკითხველო, შენ ახლა გადაშალე ოკეანის გაღმა რუდუნებით შექმნილი ეს პატარა კრებული, რომელშიც დიდი გრძნობაა ჩატყული. თავადაც დარწმუნდები – აქ სიყვარულის, სიკეთის, სევდისა თუ სიხარულის ის უმშვენიერესი ნაზავია, სრულიად განსხვავებულ ფერსა და კოლორიტს რომ იძლევა.

იმიტომ რომ ეს დიდი ნოსტალგიით დაწერილი წიგნია.



## გ უ თ ო

ეს ბიძაჩემის სახელია, ოთხი წლის იყო, მენინგიტით რომ დაავადდა. შვიდის რომ გახდა, დედამ მაინც მიიყვანა სკოლაში. გუთომაც იარა, გულმოდგინედ იარა, მაგრამ წერა-კითხვა და ოცის ფარგლებში ანგარიში რომ ვერ დასძლია, მშობელი მიხვდა, რომ არ ღირდა ბავშვის გაწვალება და გამოიყვანა სკოლიდან.

მას ყველა გუთიკოს ეძახდა. ჭიშკარში შემოსული არ იყო, ხმაამდლა, „დედაა“ რომ დაიძახებდა ამ ხნის კაცი და ეს ძახილი მიგახვედრებდათ, რომ ის სამუდამოდ ბავშვობაში იყო დარჩენილი.....

დედა იყო გუთოსთვის მთელი სამყარო, რომელიც უშურველად და დაუღალავად სჩუქნიდა მას იმედს, აძლევდა ძალას, უნაწილებდა გულის სითბოს და ბოლომდე ერთგული რჩებოდა მასთან ერთად მისი არეული ცხოვრების ლაბირინთებში.

დედამ არ გამოკეტა ის ცხრაკლიტულში, არ გამოამწყვდია, არ დახუთა და სქელი ბოქლომი არ დაადო მის ურთიერთობას გარე სამყაროსთან, არც სახლის უკანა ოთახი მიუჩნევია ავადმყოფი შვილისთვის სამყოფელად....

ბიძაჩემი ყველას ცნობდა, მეზობელი და ახლობელი არ ეშლებოდა, მხოლოდ სახელებს ვერ იმახსოვრებდა და გამოსავალიც თვითონ ჰქონდა ნაპოვნი: ქალებს ტანკებს ეძახდა რატომღაც და კაცებს – კინტოებს. ჩვენ კი მისივე შერქმეული ზედმეტი სახელებით მოგვმართავდა: მე მისთვის ძვაძვიკა ვიყავი, ჩემი დები – ძღურია და მიტოია, მმას ჯაგულის ეძახდა და ქეთინო (ბიძაშვილი) პუწკიდ ჰყავდა „მონათლული.“ ესენიც თუ გადაავიწყდებოდა, მაშინ ყველანი, უბრალოდ „დაი“ ვხვდებოდით მისთვის...

ლამაზი ქალების მიმართ ვერ იყო გუთო გულგრილად. მიეპარებოდა ჩუმი რომელიმე მათგანს, უბწკენდა პიკანტურ ადგილზე და აროხროხდებოდა: „უხ, შე ტანკა, შენო“.

არავის სწყინდა მისგან ეს სიცვლქე და არც ისტერიკებს მართავდნენ ქალები. ღიმილით პატიობდნენ.....

არაერთხელ მოუმზადებია თავის „დულსინეასთან“ შესახვედრად ბებია, რომელსაც, მგონი, მართლაც სჯეროდა (ან ძალიან უნდოდა, ეს სიმართლე ყოფილიყო) შვილის ნათქვამი და გუთოც ხარობდა ამ ეშმაკობით.

მე მაინც კინო მგონია მისი დიდი სიყვარული და თავდავიწყება.....

დაბნევა ხომ არ აკლდა, მაგრამ კიდევ უფრო იბნეოდა, როცა ნდობას გამოუცხადებდნენ და მეზობლის ბავშვებთან ერთად ფილმის სანახავად „წაგვაცივლებდა“ ყველას ერთად. იმდენად ახარებდა ამ პატივის დადება, რომ ვერც ამჩნევდა და, მგონი, არც ესმოდა ბებიას ქაქანი, რომელიც კინოთეატრის კიბეებზედა წყდებოდა: „ჭკუით იარე, ბიჭო, არ გადარიო ბოვშეები გზაზე!“

ბილეთების აღებას რომ „გადავრჩებოდი“, მერე დიდხანს ვათვალიერებდი ფოიეში, კედელზე დაკიდებულ, მსახიობების ჩარჩოებში ჩასმულ სურათებს. ერთ მხარეს რუსი არტისტები ამშვენებდნენ კედელს და მეორეს – ქართველები.

უცხო მსახიობების სურათები ძნელად მოსაპოვებელი იყო, ალბათ, და ამიტომაც იქვე, სტენდზე, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ამოჭრილი ფოტოები იყო დაწებებული, არანაკლებ ცნობისმოყვარეობას რომ იწვევდა ჩვენში. ლეილა აბაშიძის სურათს მივაშტერდებოდით, აი იმას, ყურსუკან გადაწეული, მოკლე თმითა და უღამაზესი პროფილით რომ იღიმება. დუდუხანა წეროძესაც ვცნობდით გუთოს წყალობით, ეს მან დაგვასწრო კინოთეატრში „მაგდანას ლურჯასაც“ და თვითონაც, ცოცხალმკვდარი, ჩუმიად მოაბიჯებდა ჩვენთან ერთად სახლისაკენ მერე....

ის ყოველთვის პირველ რიგში დაგვსვამდა და უფლებას არ გვაძლევდა, ადგილი შეგვეცვალა. თვითონ კი შუა ადგილებისკენ

წავიდოდა უკან და, სანამ ჟურნალი არ დამთავრდებოდა, არ მოგვიკითხავდა, მერე კი გადმოგვძახებდა: დაი, იწყება კინო, ყურადღებითო... და ჩვენც გავისუსებოდით. ფილმის მსვლელობის განმავლობაში რამდენიმეჯერ გასწრებით მისი მოკლე და ხმამაღალი კომენტარის – „ოპას“ დაჭერას.

არასდროს ვავიწყდებოდით, ანუ კინოში არ დავუტოვებოვართ, გზაზე არ გადავურევოვართ და „ჭკუით“ მოგვიყვანდა შინ. მხოლოდ უკან გზაზე ის, გამარჯვებული ბელადივით, ამაყად და თავმომწონედ მოიმდეროდა ხან ქართულ, ხან რუსულ და, იმდროინდელი პროვინციული ქალაქის კინოთეატრის რეპერტუარიდან გამომდინარე, ხშირად – ინდური სიმღერების მელოდიებს და ასე, რაჯ კაპურივით ხელგაშლილი მიგვიძლოდა შინისაკენ. ჩვენ ამ დროს ვცდილობდით, აველოდით მის რიტმს და ამავე დროს მარცხენა ხელი მარჯვენის იდაყვისთვის შეგვეშველებინა, იმავე ხელის საჩვენებელი თითი და თავის კანტურით კი ლოყა გაგვეხვრიტა... .. მერე შინ ვაგრძელებდით „კონცერტს“ და მის მიერვე სკამზე დაკრული დოლის, „მოემზადეთ, სამი, ოთხი, აბა, წავიდა“ – ძახილის და ბებიას: „რაფა დაამტვრია ამ გადარეულმა სკამები“-ს აკომპანიმენტზე ვცეკვავდით ქართულ ცეკვებს, რომელთაც შიგადაშიგ რომეოს ნასწავლ „ბუგი ვუგის“ და „ჩარლსტონსაც“ გამოვურევდით.

ერთადერთი სიმღერა, რომლის სიტყვები (თორემ მელოდია არ ერეოდა) უშეცდომოდ იცოდა, ეს კინოფილმიდან „ბაში-აჩუკი“ იყო. არ ვიცი, უფრო ლამაზი, ომახიანი და ამავე დროს ასე სევდიანი ხმით ამ სიმღერის სხვა შესრულება მე არ მომისმენია...

ცა რომ აგრუხუნდება და საავდროდ გაემზადება, მაღლა ვიხედები. ასე მგონია, ვნახავ ჩემი გუთო ხელგაშლილი და ანგელოზივით თეთრ კაბაში როგორ მიუძღვის დაღუპულ გაღვლებს, აფხაზეთში, სამაჩაბლოში დაღუპულ ბიჭებს, უკან კი ბავშვების ხმაურიანი გუნდი მიჰყვება და ისმის ასე ზეცაში, სადღაც ღრუბლებზე ძალიან მაღლა და უფლის კარის სიახლოვეს:

„რა მაღლიანად ანათებს

შენი მზე, შენი მთვარეო,  
შენგან დამდის ცრემლები,  
შენ კი შემოგველები,  
ჩემო სამშობლო მხარეო...“

სახლში არაფრის გაკეთება არ უყვარდა. სხვებს დაუზარებლად მოემსახურებოდა და ბევრი სარგებლობდა მისი მიამიტობით და სიაღვლით. ჯუღუნისათნაც კი არ გაეგზავნებოდა ბებიას, იმ მეწისქვილესთან, რომელიც, ბავშვებს თუ მიგვექონდა საფქვავე, ურიგოდ კი გაგვატარებდა, მაგრამ მინდს, „ბაუს“ რომ ვეძახდით, მაინც აგვაცლიდა და კუთხეში მიდგმულ თავის რკინის დიდ კასრში ჩაახსრიალებდა სიმინდის მარცვლებს. არც გაჯიასთან წავიდოდა ნავთის მოსატანად – იმ გაჯიასთან, ზღაპრიდან გადმომხტარ კეთილ დევს რომ ჰგავდა. გაგვიღიმებდა, ცხვირწინ უშველებელ, ნავთისგან გაზინთლულ და უხარისხო შოკოლადისფერ, სუნიან ძაბრებს დაგვიტრიალებდა და მაინც, ერთი წვეთი ზედმეტი საწვავე არასდროს გადმოსცდენიათ იმ ძაბრებს...

ბებიაც არ ტვირთავდა საქმით ბიძაჩემს. იშვიათი შემთხვევა იყო, როცა დიდის ამბით ბირდაბირზე ხის ტანს გადააწვენდა გუთო, მე ზედ დამსვავდა (წონასწორობის შესანარჩუნებლად), მერე ფართე, შავ ხერხს, ხშირად ხეშივე რომ იჭედებოდა და ბებია ყოველთვის ჩიოდა, გასაპოხია ეს ოხერიო, ჩაეჭიდებოდნენ დედა-შვილი და მე მთელი სხეულის ძაბაგით, ისე რომ ძლივს ვიმაგრებდი თავს გადმოვარდნისგან, ვითვლიდი და ვითვლიდი, თუ როგორ ვარდებოდნენ გილიოტინაზე წაცლილი თავებივით მოხერხილი მორები მიწაზე.

დიდი ვიყავი უკვე ტელეფონის ყურმილში რომ გაისმა: „გუთიკო ავარიაში მოყვა და სასწრაფო დახმარება სჭირდება...“

არასოდეს მირბენია ასე და არ მითხოვია ღმერთისთვის რამე..

საავადმყოფოს, რომ მივაწიე, დამხვდა ქირურგიული განყოფილების ერთ-ერთი პალატის კართან ძალაგამოცლილი, „რა ვქნა, დედა?“ – უსაშველო კითხვით, მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი და თვალის უკეებზე დაღექილი სევდით, იქვე, იატაკზე

მძიმე ფარდასავით დაშვებული და ჩაკეცილი ბებია..

იმ დღეს დაიბნა ჩემი დედა-ბებია,თვალსა და ხელს შუა დაპატარავდა, საბოლოოდ მოტყდა,გატყდა და ლოდინად იქცა – შვილთან ჩქარა მისვლის და შეხვედრის ლოდინი რომ ჰქვია, ალბათ...

მაშინ ვიგრძენი, თუ როგორ შეიძლება, ხელით შეეხო ტკივილს და გულში ჩაიკრა, მაგრად ჩაიხუტო, მაგრამ საშველი ვერ მისცე მაინც და იმ დღეს ჩამესმა, რა საზარელია უმწეო დედის უხმო ბლავილიც.....

მერე, შუალამობით, ბევრჯერ გავუღვიძებე ბებიას გაფაციცებულ ხმას, ლოგინიდან წამომდგარი და კარებთან მიფარფატებული, კარებშივე ჩამდგარ სიბნელეს რომ გასძახოდა: “აგერ ვარ, ბიჭო, რა იყო, დედა?...“

მთელმა ქალაქმა და ახლომახლო სოფელმა დაიტირეს გუთო, მოდიოდნენ ორჯერ, სამჯერ, ზოგიერთები – ყოველდღე. არ წყდებოდა ახალგაზრდების ნაკადი. ვინ იცის,

იქნებ ადამიანთა შორის ის პატარა „კაციც“ იყო, ღამით მანქანა რომ დააჯახა, მერე შიშმა ისე დაჯახა, რომ საკუთარ თავს ვერ აჯობა, უკანმოუხედავად გაიქცა და უპატრონოდ დატოვა ადამიანი ქუჩაში. ღმერთმა შეუნდოს სულის სიმცირე...

ბოლო ღამე იყო, მიცვალებულს სამუდამო სამყოფელისკენ გასაცილებლად ვამზადებდით. ერთი ნაცნობი შემოვიდა, მგონი, რიანი ერქვა იმ კაცს, ცოტა ნასვამი იყო. ცრემლებით დაიტირა ბიძაჩემი და კოსტიუმის შიდა გულის ჯიბეში ასე სევდიან-ლიმილიანი სახით და ჩურჩულით: „გიყვარდა შენ ისინიო“, რაღაც ჩაუღო.

კიდევ უფრო გვიან, როცა არავინ იყო ოთახში, ცნობისმოყვარეობამ მძლია და ფრთხილად ჩავაცურე გუთოს გულის ჯიბისკენ ხელი, საიდანაც შავ-თეთრი, აი, ისეთი, ქალაქის ყველა კუთხეში ყრუ-მუნჯები რომ ყიდდნენ, პენუარმოცმული და გაღიმებული ბრიჯიტ ბარდოს სურათი ამომყვა.



# ქართული პოეზიის ზეიმი, სცენაზე გაცოცხლებული

## „ცადაღვლენილი ლეგენდები“, დაუზვიადარი შეხვედრა მწერალ ლაშა გვასალიასთან

22 სექტემბერი, 2016 წელი, საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირისა და საქართველოს მწერალთა და შემოქმედთა ეროვნული აკადემიის სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციის ეგიდით ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ლაშა გვასალიას პოეზიის საღამო და პოეტური კრებულის „ცადაღვლენილი ლეგენდების“ პრეზენტაცია. აქ შეიკრიბნენ ლაშას პოეზიის და არა მარტო პოეზიის თაყვანისმცემლები სამეგრელოს სხვადასხვა რაიონიდან.

... ფოიეში უკრავს საქსოფონი, ლამაზად მოწყობილი ინტერიერი ქმნის ამაღლებულ განწყობას, სცენა დახვეწილი დეკორაციით იყო მორთული, რასაც ძალუმაღ ეტყობოდა ნიჭიერი მწერლის გაა ჯიჭონაიას რეჟისურა. საღამო შთამბეჭდავად მიჰყავდა ახალგაზრდა წამყვანს ლიკა დემეტრაძეს.

მოწვეული სტუმრებით გადაჭედული დარბაზი რაღაც უჩვეულოს მოლოდინში იყო... ეს იყო სიყვარული პოეზიისადმი, მწერლისადმი, რომელსაც თავისი უბრალოებით, დრმა განსწავლულობით, ღვთისმშობლივით და ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭის გამო სამართლიანად უწოდეს ამ საღამოზე სამეგრელოს მშვიდობის ელჩი.

... სცენაზე ფარდა იხსნება, ჟღერს სიმღერა მრავალჟამიერი ანსამბლ „ოლიას“ შესრულებით...

სცენაზე მწერალ ლაშა გვასალიას გამოჩენას თავის მეგობრებთან ერთად ოვაციებით შეხვდა დარბაზი.

საღამოს ლაიტმოტივად გასდევდა ქარ-



თული მწერლობის უდიდესი სიყვარული, გამოჩენილი ინგლისელი მწერლის ჯეიმს ოლდრიჯის სიტყვებისა არ იყოს, „საქართველოში რომ არ ჩამოხვიდე, „ვეფხისტყაოსნით“ შეგიყვარდება ეს მშვენიერი ქვეყანაო“.

ეს საღამო იყო ქართული სიტყვის, ქართული სულიერების ზეიმი. ეს იყო საღამო, რომელიც გინდოდა კიდევ დიდხანს არ დასრულებულყო. ტერენტი გრანელისა არ იყოს, ეს იყო რაღაც სხვა, რაც ზეციურთან გაკავშირებდა, ამაზე სწორედ წიგნის დასათაურებაც მიუთითებს.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მიუულოცოთ ბატონ ლაშას ეს დიდი წარმატება, ის დიდი სიყვარული, რაც მას და მის შემოქმედებას ხვდა წილად ხალხისგან, ჩვენი გაზეთის მკითხველებს კი ვთავაზობთ ამონარიდებს ლაშა გვასალიას პოეზიის საღამოზე გამომსვლელთა სიტყვებიდან:

**შუკო ჯიქია** – საქართველოს მწერა-

ლთა და შემოქმედთა ეროვნული აკადემიის სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე: - მწერლებს ყოველთვის დიდი მისია გვაკისრია ერისა და ხალხის წინაშე, გზა მწერლობისა არასოდეს არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. - მე უნდა ვილაპარაკო სიმართლე და მხოლოდ სიმართლე და არაფერი სხვა გარდა სიმართლისა, - ეს დიდი ილიას სიტყვებია. ლაშა გვასალიამ ამ რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა: - მე წარმოშობით მწერალი ვარ. ლაშა გვასალია დიასაც არის წარმოშობით მწერალი. ერთი პატარა თანამდებობა უწყალობეს არჩევნების გამარჯვების შემდეგ, მაგრამ მაინც მწერალია, ნამდვილი მწერალი. ხელისუფლება, რომელიც არ აღიარებს მწერლის უზენაეს დანიშნულებას, მისი დღეები დათვლილია. დღეს აქ პოლიტიკაზე ხმა-კრინტი არ უნდა დამეძრა, „ნაცებმა“ გამაფრთხილეს, მხოლოდ ლაშას წიგნის მნიშვნელობაზე და მის შემოქმედებაზე უნდა მელაპარაკა, მაგრამ თუ ხარ მწერალი, ვერ დაემორჩილები ამ გამოგონილ წესებს. ადრე, შუა საუკუნეების ჩინეთში, ერთი მეტად საყურადღებო რამ ხდებოდა, საპყრობილეში ტუსაღებს ლექსებს აწერინებდნენ, გამარჯვებულ ავტორს ათავისუფლებდნენ ან უმსუბუქებდნენ სასჯელს დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად. ეს დროული კაცი ახალგაზრდებს გზას უკაფავს დიდი პოლიტიკისაკენ თავის თანამოაზრეებთან ერთად. პირველი გზამკვლევი არ ყოფილა მწერალი პოლიტიკის გზაზე. გავისხენოთ მწერალი პოლიტიკოსები: ჩვენი სულმნათი მერაბ კოსტავა - მწერალი, გიკა ჭანტურია - მწერალი, ვოვა ვეკუა - მწერალი, ზურაბ ჭავჭავაძე - მწერალი... ლაშას მხრებზე გადადის ქვეყნის ბედ-იღბალი მთლიანად. ხვალინდელი დღე გა-

მოავლენს ყოველივეს. ანდა რამდენი ვაი-უბედურების შემსწრენი ვართ, ცრემლები გამიჩნდა ისედაც დაჩუტულ თვალებზე. ასი თვალი და ყური უნდა გამოვიბათ გამარჯვებისთვის. მე ვაფასებ ამ გონიერი ადამიანის ნიჭს და თავდადებას, ვუსურვებ გამარჯვებას.

**გელა მამფორია** - მწერალი: - ჩემთვის ძვირფასია ლაშას პოეტური მემკვიდრეობა, გილოცავთ კრებულის გამოშვებას. ძალიან მიყვარს მისი ერთი პატარა ლექსი, რომელშიც რელიეფურად არის გადმოცემული მისი შემოქმედებითი კრედი:

„უშენოდ ცხოვრება ძნელია,  
მართლაც ძალიან ძნელი“.

ლაშას პოეზია მეტად ძვირფასია, ეს მართლაც დაფიქრებაა იმისა, რატომ არის ადამიანის ცხოვრება უცრემლოდ ძნელი. პოეტურ კრებულში სწორედ ამ მიწიერის და ზეციერის, ადამიანური ტკივილების, სევდა-ნაღველის პოეტური ემოციების საკრებულოა. ეს არის ილიას გზა, ქართული კლასიკური მწერლების გზა, რომელსაც ის არასოდეს არ გადაუხვევს. სინამდვილეში იწერება ლიტერატურა, ჩვენდა საუბედუროდ, ლამისაა პორნოლიტერატურა შემოვიდეს კლასიკად, ამ შემთხვევაში მწერალი ლაშა გვასალია დგას თავისი მოწოდების სიმღლეზე, სათუთ თემებს ეხმაურება. კლასიკური ხაზი მუდმივად ჩანს, იგრძნობა მის თემატი-





კაში. ის ეროვნული მოძრაობიდან მოვიდა მწერლობაში. ასახავს გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართულ სინამდვილეს, ამიტომ „ცადაღვლენილი ლეგენდები“ სამაგიდო წიგნი უნდა იყოს თითოეული ქართველისათვის, სადაც მოცემულია ჩვენი სინამდვილე, ჩვენი კუთხის სინამდვილე. მხედრიონის თარეში ჩვენთან კარგად ვიცით თითოეულმა კოლხმა, ამაზე საუბრობს ლექსში - „1991“.

„აღარც ბიბლია, აღარც ჯვარი,  
აღარც გალობა,  
ვერ შემოადგა ზღვარგადასულ  
გლოვის ნაპირებს,  
მეც შევრჩი დღეებს  
დედაჩემის უბის წყალობად,  
თუმცა კი დღემდე ვერ ვასრულებ  
იმ დანაპირებს,-  
რომ მოვაშთობდი ჟამეული  
სიტყვის დარანებს,  
შემოქობილებს უღმერთოთა  
ბნელი წყვილიდით,  
გადავრაზავდი მარადისად  
გულის დარაბებს  
და მოკვდებოდი მარტოსულად,  
როგორც ზვიადი!...“

ლაშა გვასალია სუფთა სისხლის შემოქმედი. ლირიკულ ემოციებს გამოსახავს ლაღად და თამამად. ის მუდამ სცენის შუაგულშია და თვალებით უყურებს სინამ-

დვილეს. მდიდარია მისი შემოქმედება სახელზმანებით, ხატოვანი მეტაფორებით.

სიყვარულის გარეშე პოეტს არ შეუძლია, იგი ლაღად წერს სიყვარულზე, ალაღად. ლაშა მოზომილია, რაინდულია ლირიკული ემოციის შემთხვევაშიც კი.

**ზაალ ჯაღალდონია – მწერალი:**

- დღეს პოეზიის ლამაზი დღე გვაქვს ზუგდიდში, ნამდვილ პოეზიას ვეცნობით. კურთხეულია ლაშას შემოქმედება, მისი ლექსის სისადავე.

ქართული პოეზიის უსასრულო ხომლში საკუთარ კვალს, სახელს, ხელწერას თუ დატოვებს შემოქმედი, ეს იმას ნიშნავს, რომ მიწიერში მისი მოვლინება გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. ერთი ლექსითაც შეიძლება პოეტი ხალხის მესხიერებას შემორჩეს. სწორედ ამას გვეუბნება თავის ცნობილ ლექსში შესანიშნავი პოეტი, სულკურთხეული ლაშა გახარია: „პოეტი მაინც ერთი ლექსია, ობლის ცრემლივით ცამდე მართალი“. ჩემი ეს მცირე მოცულობის წერილიც პოეტს ეძღვნება. ჩვენს თანამედროვე, ნიჭიერ შემოქმედს – ლაშა გვასალიას.

მე ეჭვი არ მეპარება, რომ მისი შემოქმედებაც ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული პოეზიის თვალუწვდენელ სივრცეში და ერთ ლამაზ ფურცლად დაემატება იმ ღირსეულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომლითაც ვართ ასე ამაღლებულნი.

ლაშა გვასალიას პოეზიაში უმთავრესი ადგილი უკავია ეროვნულ კონცეფციას. სამშობლო, მამული. აი, ის ძირითადი თემა, რითაც სულდგმულობს ამ პოეტის ნათელი სიტყვა. გამორჩეულია და განსხვავებულია მისი ხედვა, სიტყვათა წყობა, ფრაზეოლოგია, განსხვავებულია მისი ინტონაცია...

ლაშა გვასალია თხემით ტერფამდე ქართველი პოეტია, ის საოცრად გრძნობს ქართული ენის სისადავეს, მის შინაგან ბუნებას. შემდეგ კი ეს თავისთავადობა ლექსებში გადმოაქვს. თითოეულ ნიმუშში იგრძნობა, თუ საიდან მოწანწკარებს სიტყვიერი სილამაზის თავანკარა წყარო. ეს ჩვენი კოლხური-იბერიული თაურსაწყისიდან მოედინება, ეს მშობლიური მთებიდან მორაკრაკებს, ეს დედის ხმატკბილი ნანას უშორესი განტოტებაა. ამიტომაც არის ასე ორგანულად მისი პოეზია შედუღაბებული ჩვენს ეროვნულ თავისთავადობას და ცნობიერებას.

თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ლაშა გვასალია ღირსეული გამგრძელებელია ქართული პოეტური ტრადიციებისა. მისი სიტყვა ნათელია, ბუნდოვანებას განრიდებული, ჩანაფიქრი სადად და უშუალოდ მოაქვს მკითხველამდე.

როგორც ცნობილია, და არაერთხელ აღნიშნულა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 50-60-იან წლებში პოეტური აზროვნების ერთგვარი რეფორმა მოხდა, შეიცვალა მკითხველთან დამოკიდებულება, ლექსის ინტონაცია, იგი გარკვეულწილად განთავისუფლდა იმ მხატვრული აქსესუარებისაგან, რაც ტრადიციულად ახასიათებდა წინათაობათა შემოქმედებას, პოეტისა და მკითხველის ურთიერთობა უფრო უშუალო გახდა. ამ ტენდენციის თვალსაჩინო მაგალითებს იძლევა ლაშა გვასალიას მრავალი ლექსი.

როდესაც გადავხედე მის ახალ წიგნს, „ცადაღვლენილ ლეგენდებს“, მასში შემავალი ერთი ლექსი განსაკუთრებით მომხვდა თვალში, რა თქმა უნდა, ვრცელი მოცულობის გამო არა, სხვა რამემ მიიქცია ჩემი ყურადღება, ამ ჩემ მიერ ზემოთნახსენებ ლექსს „ანთოსი“ ჰქვია.

ბერძნული მითოლოგიიდან გაგვახსენდება პოსეიდონისა და მიწის ღმერთის – გეას შვილი, რომელიც უძლეველი იყო, ვიდრე მიწას, თავის დედას ეხებოდა. მისი სიძლიერე მიწასთან კავშირით გამოიხატებოდა. წარსულის მითოლოგიური აჩრდილების გამოხმობით, პოეტი ალეგორიულად გვესაუბრება თავის ქვეყანაზე, თავის თავზე,

ისიც ანთოსივით საკუთარ მიწასთან არის შესახსრებელი, ჩაკირული და შერწყმული, ამიტომაც მისი პიროვნული, მენტალური თუ შემოქმედებითი ენერგია მასთან კავშირით ინარჩუნებს სიძლიერეს, ის არ უნდა მოსწყდეს ამ მაცოცხლებელ წიაღს, თუ მოსწყდა, კრახი გარდაუვალი იქნება. ლაშა გვასალია ამ შემთხვევაში, ეგოცენტრიზმის სამანებიდან კი არ გველაპარაკება, არამედ ავითარებს უზუსტეს შეხედულებას, რომ ყველა ქართველი ანთოსის დარი უნდა იყოს, ანთოსივით ვერ უნდა ააცილონ მიწას, თუ ააცილეს, დაიხრჩობა, დაკარგავს თავის მეობას.

პოეტი ლექსში მიმართავს კასანდრას, რომელიც ფანტასმაგორიული სატრფოს სახით წარმოგვიდგება. ის ჩააგონებს პოეტს სახლკარის, მამულის გაყიდვას. კასანდრა ძველი ბერძნული მითების ერთ-ერთი უიღბლო და



სვეგამწარებული ქალი-პერსონაჟია, ტროას მეფის პრიამეს ქალიშვილი, რომელსაც წინასწარმეტყველების უნარი ჰქონდა.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლექსს დაჰკრავს ანტიკური სამყაროს სურნელი, მასში ორგანულადაა შერწყმული წარსული და აწმყო, საქართველოს დღევანდელი და პოეტის გაუხუნარი კრედიო თუ მრწამსი, რომელიც ასე გამოიყურება:

„ვერა, კასანდრა, მიწას ჩემსას ვედარ  
გაყვიდი,  
თუნდაც ათასი პერკულესი  
მემუქრებოდეს,  
ანთოსი ვარ და ნიადაგ ჩემზე ჰკივია  
ჩვენი ჯილაგის გასაგისი და მომავალი“.

ეს სტრიქონები გათავისებულ ტრაგიზმსა და ბედისწერისეულ ქარტეხილებს შეგუებული პოეტის სიტყვებია. შეგუებული არ უდრის შეშინებულს ან უკუქცეულს, არა, ეს ტრაგიზმი ბარათაშვილისეული სულის დაღაღია: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება“. სულისკვეთება განწირულისაა, მაგრამ აუცილებლად საჭიროა, რადგან ამგვარმა პრინციპულობამ „მომქმნა ჩვენსა სავალი უნდა გაუადვილოს“.

როგორც ლიტერატორს და ამ საქმეში ჩახედულ ერთ რიგით ობიექტურად შემფასებელს ღაშა გვასალიას პოეტური ნააზრევისა, მიმაჩნია, რომ „ანთოსი“ მის პოეზიაში გამორჩეული ლექსია. შეიძლება ითქვას, საპროგრამოც კი. სწორედ აქ ჩანს ყველაზე ნათლად ღაშა გვასალია, როგორც ღირსეული მოქალაქე, პოეტი და საკუთარ ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი.

ღაშა გვასალიას მთელი პოეტური შემოქმედებიდან იკვეთება, რომ მისი პოეტური გზის არჩევანი იყო ეპოქისა და დროის ნიშნით ნაკარნახევი. „ანთოსში“ ეს თვისებები კიდევ უფრო ძალუმაღ იჩენენ თავს, უფრო მკვეთრად შემოდინან მკითხველის ცნობიერებაში. მათ ერთგვარი ჰეროიკულობის განცდაც შემოაქვთ, რაც განუმორებელია პატრიოტული თემატიკის ღირიკისაგან, თუმცა ამ შემთხვევაშიც პოეტი ახერხებს ემოციების მოთოკვას და არ გადადის ცრუ პათეტიკაში. ის, რაც ლექსში ჩანს, რეალ-

ურია და ერის გულისცემას მიყურადებულ შემოქმედს ხიბლს უფრო სძენს, ვიდრე ცრუ საზეიმო იმიჯს.

„ანთოსი“ პოეტის კრედიო და პოეტის მრწამსია, სამოქალაქო პოზიციაა, შიშველი პროტესტია, წვერწამახული სათქმელია. „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“, პოეტურ ფორმებში გადმოცემული პოზიციაა. ლექსში ხატოვნად არის გადმოცემული, თუ რატომ დგას პოეტი ამ პოზიციაზე, ისეთი, თითქოს უმნიშვნელო დეტალების მოხმობითაც შეიძლება ამის გაგება, რომლებსაც ავტორმა სრულიად ახალი ღირიკული სა-მოსვლი მოარგო:

„დედის და მამის ნაფესურებს  
გაყვიდი როგორ,  
ჩემი დების და დისწულების  
ბავშვურ ნაბიჯებს?!“

ან ეს სტრიქონები „რა ვუყო-მეთქი  
ბაბაჭუას ქსელზე დატყვევნილ  
აისის ცვარის ბრწყინვალეებს,  
თუნდაც წამიერს?!  
ანდა პეპლების ირაოებს რა ვუყო- მეთქი,  
სადაც დღე იგი

ათასეულ წლით იზომება.“

ღაშა გვასალიას პოეზიის ერთი განსაკუთრებულად დამახასიათებელი თვისებაც უნდა წამოვწიო წინ, ეს არის ქართული ენის ზედსართავი სახელების აღმატებით ხარისხში წერის მისეული უნარი. რაც სისხლხორცეულად ერწყმის ძველი ქართული ენის ჰაეროვან მომხივებლედობას. აღნიშნული თვისება ხშირად გამოიკვეთება მის პოეზიაში, რაც ერთგვარად ნეოლოგისტურ პრიზმაში გარდატეხავს სათქმელს. თვალშისაცემია ასევე ებიანი მრავლობითის ხალვათად გამოყენება, უფრო ხშირია ძველი ქართულის ნართანიანი რიცხვითი ფორმა. რაც ჰაეროვანსა და მომხივებელს ხდის მის ღამაზ პოეზიას.. ეს თვისებები მოჭარბებულადაა „ანთოსშიც“:

„არა კასანდრა, მამულეთი არ იყიდება,  
არც დედულეთი, წყაროსავით  
რომ მოჩქაფუნებს,  
სითგანაც ჩემი ძეებია და ბადიშონი,  
მიისწრაფიან ზეცისაკენ თეთრი რაშებით.“





არ ვყიდი-მეთქი, დამდუმარდი, გაინაპირე“.  
მე ვისურვებდი, თავისივე ლექსში გაცხადებული მრწამსის თანახმად ამგვარი პრინციპულობით და შემართებით ევლოს წინ ლაშა გვასალიას მართალ და ცამაღალ პოეზიას.

**ნათია ჯგუშია** – ჟურნალისტი: ჭეშმარიტია ლაშა გვასალიას პოეზია, სუფთა მთის ანკარა წყაროსავით. შეუძლებელია ემოციების გარეშე ჩაიკითხო ლექსი „ერთხელ უნდა წამიყვანო სვანეთს“...

„ერთხელ უნდა წამიყვანო სვანეთს,  
დამაჭიდო შენს ძმადნაფიც უჩას,  
სგიმი მასვა პეშვით, დამანახო,  
თეთრი მკერდი თეთნულდს

როგორ უჩანს...

...წამიყვანე, სად კრიალებს თოვლი,  
როგორც დედის მხეუძილო „ნანა“.

მე სიკვდილსაც სიცოცხლისთვის ვეძებ  
და გაქრობას დავნებდები განა?

ეს ლაშა გვასალიაა პოეტი, რომელშიც ზეობს დაუმონავი სული, ბობოქრობს მუხა; პოეტი, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის

განსაზღვრებას თავისებურად, დამაჯერებლად ხატოვნად გვაწვდის და გვარწმუნებს სულის მარადიულობაში, დიდოსტატის უკვდავებაში: „სიკვდილი როგორღა აგაცილო, ოდეს სიცოცხლე მშობიარობს“... ამბობს პოეტი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი, საყურადღებო და მრავლისმთქმელი განაცხადია.


ძალიან ლაღი, სუფთა, წრფელი და თავისუფალია მეგობრების სსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები. მაგალითისათვის, ლაშა გახარისადმი მიძღვნილ ლექსში ვკითხულობთ: „ხარ სიტყვისა და სუნთქვის მახარა, დადიხარ ტანზე ვახახვეული და ბედისწერამ ვეღარ დახარა სხეული შენი ლექსით სნეული“.

უაღრესად ემოციურია რენე კალანდიასადმი მიძღვნილი ლექსი:

„კვლავაც სიტყვებს და ბგერებს დავეძებ  
სასაფლაომდე ვერმიღწეული,

სიკვდილ-სიცოცხლის თეთრი ლეგენდა,  
უკვდავ სიმღერად გაგრძელებული“.

პოეტის სამყარო დიდია, დაუსაზამო. მას უყვარს, მას უხარია, მას სწყურია; არის მომენტები, როდესაც პოეტი თავად გვევლინება



თავისი ლექსის ჭირისუფლად:  
„რას გაიგებს სამყარო ჩემეული  
ლექსების  
უსაბამო შტრიხებით გიჟურ  
აელევარებას.“

უადრესად ნატიფია პოეტის სატრფიალო ლირიკა: „უშენობა“, „მიყვარხარ“, „ოდესმე“, „მომენატრე“, – ეს ის ლექსებია, სადაც ჩანს სიყვარულის ყოველისშემძლე ძალა – გრძნობა, რომელმაც რაინდი ჩვილ ბავშვად აქცია, რომელმაც დაგვანახა, გაგვიხსნა ლაშა გვასალიას პიროვნული მე.

უადრესად მშობლიური ლექსია „ანთეოსი“, შეუძლებელია ემოციების გარეშე ჩავიკითხოთ სტროფები:

„ველარ გავეიდი წინაპრების ფიქრთა გრაგნილებს“. „დედის და მამის ნაფეხურებს გავეიდი როგორ“. „ლოცვებს რა ვუყო, დედა-ჩემის წინსაფრის სითბოს“. „მამის სათუთ და სიყვარულით დაღვრილ ღიღინებს“. „მსხლის ხეს რა ვუყო, უსაბამო ზღაპრულ გენიას“.

ამ სტრიქონების წაკითხვისას დიდი ილიას ფრაზა გამახსენდა: – „შვილმა უნდა იცოდეს, სად შეჩერდა მამა“. – დიახ, ლაშა გვასალიამ იცის, სად შეჩერდა მისი საყვარელი, მშრომელი, პატიოსანი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მამა. დიახ, ლაშას შვილებს ეცოდინებათ, თუ რას ნიშნავს ფუძის, კერის ერთგულება და ასე გაგრძელება თაობიდან თაობამდე. ეს არის უკვდავება.

გია ჯიჭონია – მწერალი: - ბედნიერი ვარ, რომ დღეს ზუგდიდი გულში იხუტებს ჩემს სულიერ ძმას, უნიჭიერეს პოეტს, მწერალს, გამორჩენილ საზოგადო მოღვაწეს ლაშა გვასალიას. ლაშა და მე 26-წლიანი მეგობრობა გვაკავშირებს, ანუ 1990 წლიდან, როცა ერთმანეთი გავიცანით, როცა მთაწმინდაზე ერთურთის მეზობლად ვცხოვრობდით. პოეზიის მზე პირველად დავიფიცეთ და მას შემდეგ ჩვენი ყოველი დღე პოეზიით იწყებოდა და მთავრდებოდა. ასე ერთად მოვდივართ დღემდე.

ვინც ცხოვრებაში ჩახედულია, იცის, რომ პოეზია სულის მუსიკაა, რომ ლექსის თხზვა ღვთისმსახურებასთან ძალიან ახლოსაა და რომ პოეზია არ ყოფილიყო, ჩვენი ეს ისედაც მკაცრი სინამდვილე უფრო მძიმე ასატანი იქნებოდა.

„მისმობს ღამე, ჩუმი ღამე  
უსაშველო ღამე თეთრი,  
მე კი ლექსს ვწერ და ვარკვლავეთს  
სტრიქონების ფრთებით ვერთვი.  
ღელეს მთიდან მოაქვს მწუხრი,  
მთვარისხელა ჯავრით სავსე,  
ცა გაზაფხულს თავს უხრის და  
ბარეთს წაამატრაბაზებს.

\* \* \*

თუთუნს ესრჩოლება ფილტვი  
ხველებაა განა დევი,  
თაბახებზე იზმორება  
ღამე თეთრად განათევი.

\* \* \*

უძილობის მტანჯავს სენი  
ახლა საღრუბლეთში დამსვა,  
მე არ ვიცი, ძმაო, შენი  
თავსრეტი და წვიმა თავსხმა.

\* \* \*

ჩუმობს ღამე, თეთრი ღამე  
მე კი წერით ვთიბავ წამებს,  
იმ სოფელში მაცოდნინა  
დღე თუ მოსდევს ხოლმე ღამეს“.

ლაშა სულთ პოეტია, არაჩვეულებრივი პოეტი, უღამაზესი ლექსების ავტორი, ასევე ბრწყინვალე პროზაული ნაწარმოებების შემქმნელი და პუბლიცისტი. შეუძლებელია, ამ მოკლე გამოსვლაში ჩაატოთ ამ ბრწყინ-

ნვალე პიროვნების ყველა ღამაში მხარე. ღამა გვასაღია ეროვნული მოღვაწეა, რომელსაც ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული თვითშეგნების გარეშე ერთი დღეც არ უცხოვრია.

არიან ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებით და გამორჩეულად უყვართ სამშობლო, მთელი ცხოვრება თავდაუზოგავად ზრუნავენ ქვეყნის მომავლისთვის. სწორედ ასეთია ღამა გვასაღია, ესაა კაცი პატრიოტი, ღირსეული მამულიშვილი, რომელიც თავისი თავდაუზოგავი საქმიანობით წინ სწევს საზოგადოების ცხოვრებას და იბრძვის თავისი ხალხის ბედნიერი მომავლისთვის: რადგანაც, – გიყვარდეს შენი ხალხი, ნიშნავს, გიყვარდეს და ზრუნავდე მის დღევანდელ და ხვალისდელ დღეზე.

გილოცავ, ძმაო ღამა. კიდევ ბევრჯერ გაგეხარებინოს შენი ერთგული მკითხველი.

**თამარ კვარაცხელია** – პოეტ რინოს კვარაცხელიას ქალიშვილი (წალენჯიხა): – ღამა გვასაღიას პოეზიის საღამო მთლიანი საქართველოს დღესასწაულია. დარწმუნებული ვარ, დღეს აქ მამაჩემის სული ტრიალებს. გულით გილოცავ, ჩემო ღამა, სამახსოვროდ წმინდა გიორგის ხატი მოგართვით, – დაე, მისი მადლი გვარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს.

**კოტე ნაჭყებია** – პოეტი (ჩხოროწყუ) – სანამ პოეზია და ლექსი იქნება ქვეყანა არ დაიღუპება. ლექსში ჩანს პოეტის სული, მიძღვნილი საქართველოსადმი, ქვეყნის მომავლისადმი. ვინ უნდა გაუძღვეს ქვეყანას წინ, თუ არა ლექსი, პოეზია. ეს ხომ ბრძოლაა ქვეყნის გადარჩენისათვის, ქვეყნის მომავლისათვის. ამ ბრძოლაში გამარჯვებებს გისურვებ, ჩემო ღამა.

**ჭაბუკა ქლიავა** – მწერალი: (ფოთი) – ჩემო ღამა, შენი დიადი გზა ჩვენი რეგიონის დიდებაა, საქართველოს, ჩვენი ქვეყნის წარმატების ნიშანსვეტია. მარტივი არ არის შენს პოეზიაზე საუბრები, ეს დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს, იმდენი კონტექსტი მიუძღვენი ცას, ცამაღალი მამის ნათელ სსოვნას.

ფოთში, როცა ჩვენი სამეგობრო შევიკრიბებით, ვამბობთ: – დიდი პოლიტიკური ბრ-

ძოლა ელით ჩვენს მეგობრებს და ვცდილობთ, ეს ბრძოლა არ წავაგოთ. ბრძოლის ერთ მხარეს არის საქართველო ღამაში ძირძველი კუთხეებით, იმ ასწლოვანი, ათასწლოვანი ურღვევი ტრადიციებით. შენ ამაყად მიუყვები მამის ნაკვალევს ქართული სიყვარულით, შენი არჩევანი არის სწორი გზა, გილოცავ და წარმატებებს გისურვებ.

**ოთარ აძინბაია** – ფოთის მე-14 საჯარო სკოლის დირექტორი: – ჩემო ღამა, ჩემო მაფშალია, ჩემო ოდიშელეო, სიყვარულით მოგესალმებით. კოლხ კაცს იდეას რა გამოუღვეს. ეს ჩანს კრებულის წინასიტყვაობაში, სადაც მწერალი გური ოტობაია ამბობს: – ღამა გვასაღია ამ წიგნით აიგივებს ცხოვრებას და ხელოვნებას. საოცარი სიტყვათწყობა, პოეტური სინტაქსი, ლექსის წყობა საოცარი. გურისა და ღამას ცხოვრების მრწამსი, კრედიო კოლხურ-ქართული საოცარი სიტყვების კორიანტელი. ეს ძალიან დიდი დაკვირვებით უნდა იყოს წაკითხული და გააზრებული, საოცარი მაფშალიასებური სიტყვები. უმრავლოს ისტორიულ კოლხეთს ღამასნაირი ნაღდი ქართველები, მამულიშვილები.

**ბორის დავითაია** – მწერალი: (სენაკი) – მწერლისთვის ძალიან დიდი პატივია ხალხის ასეთი სიყვარული, ასეთი პატივისცემა, როგორც ღამამ დაიმსახურა. ჩვენ არ გამოგვადგება თინეიჯერული ახლებური მეთოდი, ლიტერატურა ლიტერატურას უნდა დაემსგავსოს, პოეზია პოეზიას, რომ მომავალ თაობას დაუტოვოთ ლიტერატურული მემკვიდრეობა, ძველსა და ახალს შორის გაედოს ხიდი მომავალ თაობას. წიგნს უნდა გაუჩნდეს მეტი მკითხველი, ჩვენში უნდა ავამაღლოთ კულტურა, შეხედულება ლიტერატურაზე, სიყვარულზე. დადგა ჟამი ლიტერატურის გადარჩენისა და ეს სწორედ ღამასნაირ ახალგაზრდებს შეუძლიათ, წინ, ღამა, ჩვენო ყოჩაღო ღამა, წინ გამარჯვებისაკენ!

**გობრონ ჯახია** – პროფესორი: ამდენ მწერალს მე ერთი ეკონომისტი როგორ შევეჯიბრები სიტყვაკაზმულობაში, შენი ყოველი სიტყვა საამქვეყნო, სამუსიკო ნაკვესია. ვეფერები კაცს, მაღალს, ვითა ვარ-

სკელავს მიუწვდომელს. თქვენი შემოქმედება არის მარადიული, მას დავიწყება არ უწერია ჩვენს ძმობას, ჩვენს მეგობრობას, ეროვნულ დამოუკიდებლობას.

**კობა ქანთარია** – სამეგრელო-ზემო სვანეთის ვიცე-გუბერნატორი: – აქ დიდი პოეტები, მწერლები გამოვიდნენ, მრავალი სტუმარი ჰყავს დღეს ჩვენს ქალაქს. მე მიინდა, ლაშას მივულოცო დღევანდელი დღე. ლაშა ჩვენი თანამშრომელია, ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს. მან დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ის არის ჩვენი რეგიონის, ჩვენი მხარის მშვიდობის ელჩი, ყველას ესმარება, სხვისი გაჭირვება თავის გაჭირვებად მიაჩნია და მომართულია მისკენ, რომ სხვას დაეხმაროს, მისაბაძი კაცია. ის არის ჩემი მეგობარი, თანამშრომელი, ძალიან ვაფასებ, ვულოცავ ლაშას ამ პოეზიის სადამოს, ამ აღიარებას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ.

\* \* \*

დარბაზში კიდევ მრავალი ადამიანი იჯდა,

ვისაც სურვილი ჰქონდა მოფერებოდა ამ ღვთივსათნო ადამიანს, მწერალს, პოეტს, მაგრამ ღონისძიების ფორმატი ვერ იტყვედა ამდენ გამომსვლელს, რამეთუ სამ საათზე მეტხანს გასტანა სადამომ და დამსწრე საზოგადოებას დაღლა არ ეტყობოდა.

ეს იყო ამაღლებული, განსხვავებული, ცამაღალი სამყარო, სადაც გინდოდა კიდევ დიდხანს დარჩენილიყავი. ეს სადამო სასიამოვნო მოგონებად დარჩება თითოეულ ჩვენგანს და ზუგდიდის მატიანეს.

შეხვედრის ბოლოს აუდიტორიის წინაშე წარსდგა მწერალი ლაშა გვასალია, ოვაციები დიდხანს არ ცხრებოდა, მისი გულწრფელი მადლობის სიტყვები, კეთილი ღიმილი და ომახიანი ლექსები სამარადუამოდ შემორჩა ჩვენს გულსა და გონებას.

გვიყვარხარ, ჩვენო ლაშა, მრავალჟამიერ!..

**ნათია ჯბუჭია,**  
**გაზეთ „ერისის მაცნის“**  
**რედაქტორი**

ლაშა გვასალია

ახალი წიგნიდან

ანთოსი

ერთხელ მესტუმრა ალიონზე  
 სატრფო კასანდრა  
 და თქვა: „სახლ-კარი გავყიდოთო  
 შენი კუთვნილი,  
 და გავიქცეთო უკაცრიელ მოუსაველეთში, –  
 და გათქვირული მოიქნია ტანი  
 ზვირთივით, –  
 მოვა ჰერაკლე და ჰაერში აგიტაცებსო,  
 წაგერთმევაო თანადგომა მშობელი მიწის,  
 და მოგახრჩობსო ზეზეურად იგი ზეფირში,  
 იცისო იმან საიდუმლო შენი მხნეობის,  
 რომ მიწისაგან შენს მეობას უსაზრდოვია,  
 უძლეველობა გებოძაო, დიახაც, მისგან“.  
 და მყის აღვენთევით ვეზუვი პომპეის თავზე,  
 ანდა ლარიდან მოზიდული  
 ისარი მძლავრად.

ვერა, კასანდრა, მიწას ჩემსას ვეღარ გავყიდი,  
 თუნდაც ათასი ჰერკულესი მემუქრებოდეს,  
 ანთოსი ვარ და ნიადაგ ჩემზე ჰკიდია  
 ჩვენი ჯილაგის გასაგისი და მომავალი.  
 ვეღარ გავყიდი მიწას ჩემსას  
 ზეცადადვლენილს,  
 და ვარსკვლავების ხომლეულით  
 დაქვირითებულს,  
 ან ჭას რა ვუყო დამტყვევებულს  
 სავსე მთვარისას,  
 ან ოწინარებს, ჭრიალით რომ ხმობენ  
 მარადისს?!  
 ვეღარ გავყიდი წინაპრების  
 ფიქრთა გრაგნილებს –  
 პაპირუსებად, კირბებად და  
 პალიმფსესტებად,  
 რომელთაც მერე მისდგებიან სხვები და  
 ფხეკენ,  
 ისევ თხაპნიან ჩვენს განცდილებს,  
 სულ სხვა ანბანით.

ან რა ქურუმულ შეგონებით შემომიძურდი,  
 ან ზღვათა ქაფით რად მოედე ჩემს  
 გახელებას,  
 რად მომეახლე ამ სისხამზე ტკბილ ჰიმენითი,

ჯერ გვირგინები საქორწილო  
 არც დაბეჭილა.  
 ხომ ხედავ, იძრა შენს წიაღში  
 თესლი პელაზგის,  
 შენც სანახევროდ ბერძენი  
 ხარ ჰერაკლესავით.  
 როგორ გავყიდი ეს ნათელი, ჩემო კასანდრა,  
 ან რა ძალაა ასრერიგად რომ მექადნება  
 დევგმირის ხელით ზეფირებში  
 მდორე მოხრჩობას?!  
 როგორ, რარიგად მომწყვეტს იგი  
 ჩემი მიწიდან,  
 რომელსაც ასი, მირიადი ფესვი მაერთებს,  
 რომლის კვანძები ტრილიონით  
 სხვას ეკემსება?!

ამ მიწას თვისი გაზაფხული  
 ჰყავს დროშოვანი,  
 რომელთაც ძალად დამიგულვეს და  
 აქ მსტუმრობენ  
 ლანდებით სულის უჩრდილებო  
 მკრებელობებით.  
 დედის და მამის ნაფესურებს  
 გავყიდი როგორ,  
 ჩემი დების და დისწულების  
 ბავშვურ ნაბიჯებს?!  
 იმ ძილთაშორის ათას რამეს  
 რაღა ვუბადლო,  
 ნამდვილის სრული გაცხადებით  
 რომ მეწმახნება?!  
 მარტოსულობის უსაშველო განცდას  
 რა ვუყო –  
 უამხმელეთოდ, მისგან შობილს და  
 გალადებულს,  
 ან ბედისწერას ჩვენსას ზეცას  
 მივარსკვლავებულს,  
 ლოცვებს რა ვუყო, დედაჩემის წინსაფრის  
 სითბოს,  
 მამის სათუთ და სიყვარულით  
 დაღვრილ ღიღინებს?!  
 რაც ცოდვიანებს დამართნიათ,  
 ჩვენც ის მოგვივა,  
 შემოგვაცვდება ნეტარების  
 გრძნეული ფეთქვა.

უხმო გრგვინვაში წინაპრების ძახილს  
 რა ვუყო,  
 და გაქროლებას რა მივსართო  
 ჩვენი ფერხულის,

ჩვენს მოძახილებს რომელ სკივრში  
დაუდლო ბინა,  
ჩვენი „ხორუმი“ ჩავატო რომელ ხურჯინში,  
ის ციბრუტები რანაირი ღვედებით შევკრა,  
როგორ შევკუმშო „ოდოიას“ ოკეანეთი?  
ანდა – „ლილეოს“ მწვერვალები  
მზეუწვდენელი?  
ან – „კრინმანჭულის“  
ხვეულები მრავალათასი?  
რა ვუყო-მეთქი ბაბაჭუას  
ქსელზე დატყვევნილ  
აისის ცვარის ბრწყინვალეობას,  
თუნდაც წამიერს?!  
ანდა პეპლების ირაოებს რა ვუყო-მეთქი,  
სადაც დღე იგი ათასეულ წლით იზომება.  
რა ვუყო-მეთქი ალბიონის შემოცერებას,  
როგორ, რარიგად მივაკემსო  
ასაგ-დასავალს?!  
რა მანქანებით ავუკრძალო  
ფიქრებში აღძრულ  
კავკასიონის მთაგრეხილებს  
ორი ზღვის შუა?!  
ან როგორია ჩვენი სისხლის ახუილება  
ურის არხებში, ილიონის ციხე-გოდოლში,  
იბერიულის, პელაზგურის და ეტრუსკულის,  
კიდევ უშქარის, მომავალში რომ განიბნევა  
ჩვენი აია-ობადიშის – ოთხივე კუთხით  
და ისიც, ისიც ბორგნეულმა გულმა  
ვერ არწყა?!  
შენ ახლა გძინავს სისხამური  
ორთაბრძოლებით,  
შენი ნეკნები ზეფირებზე უფრო ღბილია,  
და თმა-დაღალი ქვიშასავით მოშარიშურე,  
ოდეს გაგირბის თითებს შორის და  
გელიძება.  
ნუთუ გგონია, მეც ამგვარად აღვესრულები  
და ყველა კვანძი განქარდება ჩემი ტანიდან,  
რომლით ლაღდება საწიერზე ხოდაბუნები  
და კოდევ – დისკო, დოლაბები წისკვილებისა,  
რომ ტრიალებენ და  
ბორჯალებს მოიყოლებენ,  
არ ეშინიათ იმათ კვირტის გაფაჩუნების,  
სადაც სამარეც გახსნილია იარასავით,  
ვერა, კასანდრა, ამ მიწა-წყალს  
როგორ გაეყიდი?!  
მსხლის ხეს რა ვუყო,  
უსაბამო ზღაპრულ გენიას,  
თეთრ აკაციებს,  
გაუხუნარ კაბით პატარძლებს...

მზის საგალობელს – ტალავერზე  
ვაზად გაფენილს  
და ბრწყინვალეობას – ატმის  
საღვთო ყვავილებისას?!  
მეზობლის ძახილს,  
კუტიკარზე გადმობიჯებას,  
ძაღვების ყეფას და  
მამლების გადაყვივლებას,  
ან ოდა-სახლებს ქონგურებით  
ქარბუდოვანებს...  
ანდა მერცხლების შხუილებით გაფხრეწილ  
ზეცას,  
არა, კასანდრა, მამულეთი არ იყიდება,  
არც დედულეთი, წყაროსავით  
რომ მოჩქაფუნებს,  
სითგანაც ჩემი ძეგები და ბაღიშოონი,  
არ ყყიდი-მეთქი, დამდუმარდი, გაინაპირე!

## დამეული შენათებით...

თეთრ ღამის ცაზე მთვარე ეკიდა,  
ამოვსებული კოლხურ მითებით,  
ჩვენ მოვდიოდით ვენახებიდან  
სულის და ნდომის აგიზგიზებით...  
შენ, ფოთოლივით ვნებაცახცახა,  
მღვარი ტრფობის და აღერსის პირად,  
იმეორებდი ტერენტის სტროფებს  
ძლივგასაგონად, თუმცა ზეპირად  
გახსოვდა ყველა ლექსი და სევდა  
აკვიატებულ პოეტურ ნოტიო,  
განცდები ცრემლის ღვარჩქერში გვხვევდა  
და გაზაფხული ტყემლების ტოტით  
ეთეთრებოდა მარტის საგოდისს,  
სისხამი კრთოდა ცრემლივით სველი,  
ხშირად ფერებაც აღარ გამოსდით  
აკანკალებულ ტუჩით და ხელით –  
მარტსა და აპრილს, იცის მაისმა  
რასაც მაღავენ ჩუმი ბინდები,  
ლურჯმა ველმა რომ მკერდზე დაისვა,  
ჩვენ ამ სივრციდან გადავფრინდებით  
ჩემ სამყოფლოში, სად ნება მოსავს  
შევეარებულთა დახარჯულ წამებს,  
დაგვაბრალებენ მეორედ მოსვლას  
მე, შენ და ღრუბლის ჩაღმიან ღამეს...  
კაბადონს ყელზე მთვარე ეკიდა,  
ტანთ – ვარსკვლავების ქერა ნისლევი,  
მოვნებაობდით ვენახებიდან  
სულის და ნდომის აგიზგიზებით!..

## უამქვეყნებო ანდერძი...

უთუოდ წავალთ – მე, შენ და ისიც,  
 ებრძვის ღამეებს ხატება ღღეთა,  
 ტკივილად დამრჩა ამბორი ვისიც,  
 შემოფოთვლია პოეტურ ხეთა...

წავიდნენ ბევრნი უმოკლეს გზებით,  
 დარჩა ოცნება ღია კარივით,  
 შემოგვექობნენ თეთრთმება მთები,  
 სული კრთიალებს სწეულ ქარივით.

კვნესის რომელიც კიდემდეკიდით,  
 მიაქვს და მოაქვს ათასი რამე,  
 არღვევს სიმშვიდეს მხცოვნური რიდით,  
 მიშველეთ რამე, მიშველეთ რამე...

დროებაგ ჩემო, ქცეულო მუნჯად,  
 ვაგდივარ ესე ღონემიხდილი,  
 იტორღიალა სიგიჟემ უნჯად  
 და გამოაწრთო მზისგან სიკვდილი...

და წავლენ სხვებიც – ესენიც, ისიც,  
 გენიოსური ჟამიც აღსრულდა,  
 და სიყვარული მათობდა ვისიც,  
 ამხექარდა და ჩუმად დასრულდა!..  
 სრულდება იგი, მთავრდება იგი,  
 მალღდება იგი, გაქრება ვითარც!..

## საოცნებო...

ბადაგივით გულკაცი მომენატრა,  
 კრუხივით ტრადიციებს დაქორქილი,  
 მკვიდროვან კერიით, მტლე სალბუნით,  
 დღიურ წანწალის დათეთქვას გარიღებულის,  
 იმედგამოგაზაფხულელებული,  
 თვალებიდან გულის შუქით მომზირალი,  
 სიყვარულისად გამხვევებული,  
 ხელგამომავალი და საქმეწაგდებული;  
 ლულუფრივით ხმაწამლიანი,  
 ყვევარივით მუხლდღიერი,  
 ყურძნის სიცილს მიმზერილი,  
 სოფლის ღონე და ბუდექართველი;

აღმართი კაცი მომენატრა,  
 სიტყვისა და საქმის მჭედელი,  
 ბედძნელობის დამძლველი,  
 სიკეთეზე ყურადღესილი;  
 პურის ყანასავით რწმენაჩადრუბლული,  
 ბორჯნათელი და მუხის დარად  
 მიწაში ჩაჯიჯგვეული,  
 გულწრფელობით დანეტარებული,  
 ღიმილმოადვილე, კეთილ შესხეულებული,  
 მოყვრის მოყვარე, მტრისა მტრობელი,  
 ნამდვილქართველი, რწმენანათელი,  
 მზისიერი, წესიერი, წინამბრძოლი, სახეპურო;  
 ნათელი კაცი მომენატრა,  
 მწყურალთა მომრიგებელი,  
 კაცთან მისაგზავნად გამოსადეგი;  
 სიყვარულის დამრიგებელი,  
 მეალილოე და მოკუნხური – მობედისე,  
 ძილფხიზელი და სიზმარნათელი;  
 ნაღდი თამადა მომენატრა –  
 ზეცაზე მითების დამსახლებელი,  
 ტკბილმოუბარი, ენათაფლი, გონებასხარტი,  
 სუფრის უფალი, სადღეგრძელოთ  
 ლექსად შემქმნელი;  
 ქალიც მომენატრა, სადაგი ქალის,  
 დელობასა და ოჯახზე გადაგებული,  
 მუცელმძიმობით გახარებული,  
 სიტყვაძუნწობით მრავლის მომქმედი,  
 კერიის ბურჯი, ქმრის ღირს-ჯავარი,  
 უღლის ერთგული, სარეცლის ღველფი,  
 მოყვრის მცნობი და სტუმართა მდომი,  
 მტერთა მოავე – ენაცეცხლურით,  
 სულით მაღალი თან თავმდაბალი,  
 პურადკეთილი, ნათელფენილი...  
 თქვენისთანები მომენატრენ,  
 მამა-პაპანო,  
 ცა-სამიწეთში საზრიანად  
 შესადინებლად...  
 კაცი ნაღდი და ქალიც ნაღდი  
 ანგელოზური აზრ-საფიქრებით  
 გაუფლებულნი...  
 ნეტავი თქვენდა, მარადისნო,  
 ნეტავი თქვენდა!..

## ძიებისა და პოვნის გზა

...იკითხა პოეტმა და მას უთხრეს, რომ ეს გზა ტაძრამდე მშვიდად მიიყვანდა; ისიც სიმღერით, იმედინად გაუყვა თავის სავალს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტაძრისკენ სიარული მშვიდი და იოლი სულაც არ ყოფილა: „**ქარები მიმოქროდნენ აღმა-დაღმა, ტკივილებს სისხლისფერი გადაკეროდათ, მაინც მივდიოდი წვალებით და განცდებს იმედებად ვაჩოქებდი...**“

ლაშა გვასალია თავისი ახალი პოეტური კრებულის პირველივე ლექსიდან გვაგრძნობინებს, რომ მოგზაურობა მის შემოქმედებით სამყაროში სწორედ იმით იქნება საინტერესო, რომ ეს სამყარო ამქვეყნიური რეალობის ყოველსმომცველი ანარეკლია თავისი წუხილითა და სიხარულით, სინათლითა და სიბნელით, აღმართებითა და დაღმართებით. ეს წიგნი ერთი მთლიანი მეტაფორაა ადამიანური ყოფის მიზნისა და დანიშნულების, ძიების და პოვნის, ბოლოს, იმ რწმენის შესახებ, რომელიც ყოველ ჩვენგანს ჩვენ-ჩვენს გოლგოთაზე გვახილვინებს „**იებს სისხლღურჯებად დაფერილებს**“, რომელთაც „**ზღვები ექნებოდათ შეფენილი ყველა ძარღვსა და კაპილარში**“ („ამ გზით სჯობია“).

დღევანდელ ქართულ მწერლობაში იშვიათია შემოქმედი, რომელიც ერთნაირი წარმატებით იყოს შეჭიდებული თავის სათქმელს როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. ლაშა გვასალია ამ მხრივ გამორჩეულია; მან ღირსეულად შეძლო ამ ორმაგი ტვირთის ტარება და ამაში ვინმეს დარწმუნება სულაც არ არის ძნელი; აიღეთ და წაიკითხეთ მისი მშვენიერი მოთხრობები და ნოველები, რომლებითაც მან კარგა ხანია დაიმკვიდრა მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატის, ორიგინალური ხელწერის შემოქმედის სახელი. ამასთან ერთად, მისი პროზა ფაქიზი, ნატიფი ღირიზმითაა გაჯერებული, რადგან ლაშა გვასალია პროზაიკოსთან ერთად პოეტიცაა; და რადგან პოეტია, „პოეტური

პროზისგან“ განსხვავებით, იგი ახლოსაც არ ეკარება „პროზაულ პოეზიას“, რადგან იცის ლექსის ფასი, გრძობს პასუხისმგებლობას საკუთარი პოეტური მისიის, მუხისა და მკითხველის წინაშე და ამიტომაც გვეუბნება, ამიტომაც მზად არის, „**რომ მზევებში სხივების პოეტურმა მხილებამ განაქარვოს წუხილის პროზაული პროფილი**“ („პოეტური მისია“).

ლაშა გვასალიამ თავის ახალ პოეტურ კრებულს „ცადაღვლენილი ლეგენდები“ უწოდა. ამაღლებულის განცდა წიგნის სახელწოდებიდანვე გვეუფლება და ბოლო სტრიქონებამდე არ გვეტოვებს. ავტორი იმდენ უხილავს, ამოუცნობს აღმოაჩენს თითქოსდა ჩვეულებრივ, ტრივიალურ ამქვეყნიურობაში, იმდენად არის მიყურადებული ჩვენი ფიქრის, ხსოვნის, მრავალძარღვოვანი ყოფიერების ყოველ გატოკებას, რომ მიწიერ პრობლემებსა და გაწამაწიაში ამოგანგლული ჩვენი ყოველდღიურობის აბურღული, დახლართული გორგლიდან მაცოცხლებელი სხივივით გამოაქვს ძაფის ის წვერი, რომელმაც ჩვენივე საწიერის ლაბირინთიდან უნდა გამოგვიყვანოს. ასე დავინახავთ ახალ სამყაროს, ახალ სივრცეს ჩვენივე თავშიც და ჩვენ გარშემოც; დავინახავთ, რომ ჩვენ გვერდით არის სიკეთე, სიყვარული, რომ თვით ჩვენი ყოფაა, ჩვენი გაჩენაა ღვთისგან ხელდასხმული, რომ ეს სიცოცხლე ლეგენდაა იმ ბოროტებასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც ასევე ჩვენ გვერდით არსებობს. ამ ლეგენდათა „ცადაღვლენა“ სინამდვილის პოეტური დანახვაა, რომელიც მეოხად, ნუგეშისმცემლად გვევლინება და გვარწმუნებს, რომ სიკეთე და სილამაზე მარადიულია.

სწორედ ამ პოეტურ ხილვებშია არეკლილი და განსხეულებული ჩვენი სინამდვილე, მშობლიური მიწისა და ზეცის ფერები, რომლებიც ლეგენდასავით არის ამოსაკითხი და გასაცნობიერებელი: „**თეთრ ღამის ცაზე მთვარე ეკიდა, ამოვსებული კოლხურ**



**მითებით, ჩვენ მოვდიოდით ვენახებიდან სულის და ნდომის აგიზგიზებით** („ღამეული შენათებით“). „კოლხური მითებით ამოვსებული მთვარე“ მშვენიერი მეტაფორული ხატ-სახეებაა უხსოვარი დროიდან დღემდე მოღწეული ჩვენი ღრმა და მაღალი სულიერებისა, ჩვენი შემეცნებითი და გონებრივი შესაძლებლობისა, რომელიც ასევე უხსოვარი ტრადიციებით არის ნაკვები – უხსოვრით, მაგრამ არა არქაულით, რადგან ერის კოგნიტური უნარი მთვარესავით მუდამ ახლდება და ივსება. რაც შეეხება „ვენახებიდან მოსვლას“, მჯერა, განგებამ ეს პასაჟი იმისთვის უკარნახა ავტორს, რომ ჩვენი სულიერებისთვის ჩვენივე მისია ასე დაგვეკავშირებინა: ჩვენც სახარებისეული „მეთორმეტე ჟამის მუშაკები“ ვართ, უფლის ვენახში ვდგავართ და მოკრძალებული წვლილით ვიმკით დვთის მადლსა და წყალობას. „ვენახიდან წამოსვლა“ ჩვენი ქრისტიანული მოვალეობის აღსრულებას ნიშნავს, იმ მოხილვას, რომლითაც უფლის სამსჯავროზე უნდა წარვდგეთ, როდესაც „ვარსკვლავების ქერა ნისლებით“ მორთულ კაბადონს შევუერთდებით, ანუ გარდავისახებით, გარდავიცვლებით. ამით ჩვენ, ადამიანებმა, სხვა მისიაც უნდა ვიტვირთოთ, რადგან **„რომ აღარ იყოს გარდაცვალება... მთაკლდებოდა ცას ბინადარი და მიწით ასე მთავდებოდა ფილოსოფია დარის, ავდარის“** („სასაფლაოზე“).

სიკვდილ-სიცოცხლეზე მსჯელობა ღაშა გვასაღიას ამ წიგნში სულაც არ წარმოადგენს ცივ და განყენებულ, ფილოსოფიურ რემინისცენციას, ამას კონკრეტული და თანაც ძალიან ტკივილიანი მიზეზი აქვს – მამის მოულოდნელი გარდაცვალება, უმამობით დასადგურებულ სიცარიელესთან უთანასწორო ომი. ლექსების ეს კრებული პოეტმა სწორედ მამის, რომან გვასაღიას, ნათელ ხსოვნას მიუძღვნა, ხოლო მშობლის დასახასიათებლად მოხმობილი სიტყვაეპითეტი „ცამაღალი“ ზუსტად მიესადაგება ამ დიდბუნებოვანი კოლხის, ჭეშმარიტი მამულიშვილისა და რაინდული ზნეობით შემკული პიროვნების მთელ ცხოვრებასაც და წიგნის მთლიან პათოსსაც, რადგანაც ცამაღალი კაცი ცადამაღლებულ ლეგენ-

დათა პერსონაჟად ქცეულა და უკვე სხვა განზომილებიდან სდარაჯობს და ჰჰატრონობს თავის ერთადერთ ვაჟიშვილს. მამის ხსოვნისადმი მიძღვნილ წიგნში მამისადმი მიძღვნილი ერთი უსათაურო ლექსია, რომელიც სინდისის აპოლოგიით იწყება და მთავრდება, მათ შორის კი არის წუხილიც, შფოთვაც და ნუგეშიც: **„წლებმა უწყიან საქმენი თვისი, ვშფოთავ და ბედის ხმას ველოდები, თუ წავალ, ესეც არაფერია, ჩემს შვილებში ხომ განემეორდები – სიმღერად, ცრემლად, თავდავიწყებად, სიყვარულად და ლექსად მარები, დღეებს შერჩებათ ნათება გზათა, შენამზერები ღურჯი თვალებით“**. ღიახ, ნუგეში სწორედ უწყვეტი მემკვიდრეობითობაა, შთამომავლობაში წინაპართა გაცოცხლება და განმეორებაა, საკუთარი მოდგმის, სისხლხორცეული მონაგრის ამგვარი ხილვაა: **„ცას სილამაზე გამოსტაცა, მთებს უდრეკობა გამოსტაცა, ხეებს სიმადლეში გაუტოლდა, უფალს სინანულში ჩაუსახლდა... გულზე – ჯვარი და სიყვარული, მხრებზე – ტრადიციის მძიმე ტვირთი... იღიმის – სამყარო მთეთრდება, ტირის და ღრუბლებად მუქდებათ ზეცის უცისფრესი ბალიშები“** („დემეტრეს“).

პოეტი ერთგან ამბობს, რომ მამები შვილებს მუდამ დარჩებათ „ცოცხალ ომებად“ და ღაშა გვასაღიაც ამგვარ თანადგომას მამისა, საბედნიეროდ, თავიდანვე, ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისთანავე ეზიარა. ეს ის დრო იყო, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი, როდესაც საქართველოს ახალმოპოვებულ თავისუფლებას, ხალხის მონაპოვარს მტერმა მახვილი ქართველ მანქურთთა ხელით ჩასცა. ღაშა მაშინ სრულიად ახალგაზრდა იყო, მაგრამ იგი დღემდე დარჩა არჩეული გზის, ეროვნული იდეალების, მამაპაპური ზნეობისა და სიწმინდეების ერთგული და თავგამოდებული დამცველი. ღაშა გვასაღიას ამნაირ ცხოვრებისეულ მრწამსზე სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას თავის წინასიტყვაობაში აღნიშნული წიგნის რედაქტორი, ცნობილი მწერალი გური ოტობაია.

რაც შეეხება იმ ავბედით დროს, იგი ტკივილად და წუხილად ამგვარადაა ჩატვიფრული პოეტის მეხსიერებაში: **„ერთოდა**

ზამთარი სიძულვილით გამოფიტული, აკანკალებდა სიმართლეს და წუხილის ელდა ასამარებდა სიცხადეს და მზე ცხრაკლიტულში მიჩუმებული საფლაგების ფიქრით თვლემდა“, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ გულსა და გონებაში შემორჩენილი მტანჯველი სურათი, არანაკლებ მტანჯველი და დამაღონებელია იმ დროიდან აღდგენებული, მოუშორებელი სინანული იმის გამო, რომ პოეტმა ვერ შეძლო, გზა გადაერაზა ბოროტებისათვის, საკუთარი სიცოცხლის ფასად ესნა სამშობლო განსაცდელისგან: „აღარც ბიბლია, აღარც ჯვარი, აღარც გალობა ვერ შემოადგა ზღვარგადასულ გლოვის ნაპირებს; მეც შევრჩი დღეებს დედაჩემის უბის წყალობად, თუმცა კი დღემდე ვერ ვასრულებ იმ დანაპირებს, – რომ მოვაშთობდი ჟამეული სიტყვის დარანებს, შემოქობილებს უღმერთოთა ბნელი წყვილიადით, გადავრახავდი მარადისად გულის დარაბებს და მოვკვდებოდი მარტოსულად, როგორც ზვიადი!“ („1991“). ამ ლექსში ქაშუეთი „ჯვარს გაკრული ქრისტეს სხეულია“, მოძღვართაგან მიტოვებული და ძმათამკვლევლობის ცოდვით დამძიმებული, მაგრამ სხვა ლექსში („ჯვარგზათა სავალი ეკლიან ხლართებით“), რომელიც ზვიად გამსახურდიას ეძღვნება, ჯვარი და გზა ერთ არსად ქცეულა, ჯვარგზად შენივთულა „ეკლიანი ხლართებითა და გოლგოთის სიმაღლის ხრიოკი სიურჩით“. სწორედ აქ იწყება უფალი და მთავრდება ბარაბა და ბოროტების დასალიერზე სიკეთის საწყისის ხიბლი დგას.

„გოლგოთის სიმაღლე“ რწმენისთვის თავდადებულ, ზნეობის შენარჩუნებისა და დამკვიდრებისთვის თავგანწირულ, ბოროტებასთან უკომპრომისო ადამიანთა ხვედრია. რა თქმა უნდა, ამ გზის განუყრელი ატრიბუტებია ეკლის გვირგვინი, იუდას ვერცხლი, აპოკალიფსური ტანჯვა, მაგრამ სულიერი განწმენდა-გასპეტაკება სხვანაირად შეუძლებელი ყოფილა. ლაშა გვასალიასაც თავისი გოლგოთა აქვს, თავის ჯვარს ეზიდება და თანადგომის, თანაღმობის მადლთან ერთად იმედგაცრუებაც და გაწბილებაც საკმაოდ უგემია: „მსურდა ჩემი ენის დაცვა, მსურდა დაცვა მშობელ მიწის, რწმენის

გამო მსურდა ჯვარცმა და შენთებულ ცეცხლზე ვიწვი...“ („დონკისოტური“). ყოველივე ამის მიუხედავად, არც ამ შემთხვევაში გადარჩენია სამშობლოსთვის თავდადება ჩვენს საზოგადოებაში საკმაოდ მოსარეველებულ შურს, ღვარძლსა და უმადურობას.

პოეზია მარტო ცაში მონავარდე ტოროლასავით არ არის, – მიწაზე ჩამოფრენასაც ითხოვს, რათა უფრო საჩინო გახადოს კონტრასტი შემოქმედის სურვილებსა და იმ სინამდვილეს შორის, რომელშიც ქვეყანა ცხოვრობს, სადაც ადამიანები იბრძვიან, იხარშებიან სიმართლისა და უსამართლობის ორომტრიალში, ერთმანეთში აღრეულ ტყუილ-მართალში. ეს, სამწუხაროდ, ჩვენი დღევანდელია, ჩვენი საკმაოდ ჯანშერყეული და მახინჯი სოციუმის სახეა; ამიტომაც ლაშა გვასალია, ყოველთვის სიმართლის მხარეზე მდგომი პიროვნება და შემოქმედი და ამის გამო ყმაწვილობიდანვე მრუდე ჟამისგან მორალურადაც და ფიზიკურადაც საკმაოდ ნაცემ-ნაწამები, ასეთ მანკიერებებს თვალს ვერ დაუხუჭავს: „ეს ისეთი ქვეყანაა, რომ მოსულა ყველაფერი, კოჭლი ცეკავს დიდებულად, მუნჯი გასაოცრად მღერის... უნიჭოთა ზეიმი, უსახურთა რია-რია, მისებურად კერავენ და როგორც უნდათ, ისე ჭრიან... მირთნი სდით ხატებს ცრემლად, უფლის მზერა თვალსველია და ოცნება სამამულლო მოუსვლელში ასვენია“ („ეს ისეთი ქვეყანა“).

ეს პათოსი სხვა ლექსებშიც გრძელდება, რომელთაგან ზოგიერთს დავასახელებ: „განაჩენია ესე“ „ვედრების წილ“ „...იცით, რატომაც, ძმებო“ „ავი წინათგრძნობა“ „იტყვიან, რას არ იტყვიან“ და ა. შ.

პოეტის ფიქრი კვლავაც სამშობლოს დასტრიალებს; იგი ისეთი საქართველოსთვის იბრძვის, როგორცედაც ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები, რომლისთვისაც თავი დადეს მამაცმა ქართველებმა და რომლის ხილვის ამო ნატვრა წარუშლელ დარდად ჩაჰყვათ საფლაგში მთელ თაობებს. ლაშა გვასალიას ლექსებში სამშობლოა უპირველესი საწუხარ-საფიქრალი; მისი დამოკიდებულება მამულისადმი განუყოფლადაა დაკავშირებული ღმერთთან და პოეზიასთან, რის სიტყვიერ

ფორმულასაც ასეთი სტრიქონები წარმოადგენს: „ცა-მიწის სულით ზიარი, დავდივარ ლექსის ამარა, ჩემი სამშობლო ზეცაა, სულეთის ლურჯი კამარა... შევრჩები სხივცა ასულებს ცისფერი მზერის რიალით... დავდივარ, უფალს დავეძებ, დავდივარ, უფალს დავეძებ, დავდივარ, უფალს დავეძებ – ცა-მიწის სულით ზიარი“ („ჩემად“)

ზემთო თქმული, რომ ღაშა გვასაღია-სთან სამშობლო და უფალი განუყოფელია, სხვა ლექსში უფრო ამდაფრებს პასუხისმგებლობის გრძნობას, მოქალაქეობრივი ვალის მოხდის, ბოლომდე დახარჯვის სურვილს და მამულთან შენივთების განცდას: „შენ მყავხარ საწუხარ-საფიქრალი (უფლობას ჭირისას ვჩემობ), ვერა გთმობ, წუთითაც ვერ გშორდები, მამულო, უფალო ჩემო... ეს ველი ყაყაჩოს ველია, წითელი ცრემლებით სველი, ქართველად სიცოცხლე ძნელია, სიკვდილზე ასწილად ძნელი“ („მამულო, უფალო ჩემო“).

ღაშა გვასაღია კარგად იცნობს თავისი ქვეყნის ყოველ კუთხე-კუნჭულს; მათს მშვენიერებას, ინდივიდუალობას იგი შემოქმედის თვალთ აღიქვამს, პოეტური კალმით აგვიწერს და ყოველი მათგანის მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულსა და თაყვანისცემას ავლენს, თუმცა, თუ ერთი რომელიმე კუთხის ხილვა ამაღლებული განწყობილების, სილადისა და აღმაფრენის მომგვრელია, სხვაგან ყოველივე ამას ტკივილი, დიდი სევდა და წუხილი ენაცვლება, რასაც თავისი სამწუხარო მიზეზები აქვს. აი, მაგალითად, ფშავი მისთვის „ფიქრდელა“, სადაც „თამამად მისვლა ფერად მინდვრებთან ლექსის მწერლებმა ვიცით“, სადაც მეტაფორებით დაჩუქურთმებული მშვენიერი სურათი დაგიდგება თვალწინ: „ამოუთენდათ მთებს მაისები, ნისლი ჰამაკზე წვება, მზე, ამომსკდარი მიწის ბუდიდან, იმედს ასხივებს წყებად“ („ფშავში“). ხევსურეთის დანახვა პოეტს უფლის სიყვარულით ხუნძლავს, მისთვის ეს მხარე სამითეთია ლექსისა და კაფიების „აცახცახებული შეთოვებით“, სადაც აუცილებლად მოგინდება სიყვარული, აქ სწორედ „სიყვარულის წასადებად“ უნდა მოხვიდე; საბოლოო ჯამში, „ხევსურეთია

სიყვარული, ხევსურეთია ხელოვნება“ („ხევსურეთზე“). განსაკუთრებული სიყვარული, მოფერება და კდემამოსილება, ბუნებრივია, პოეტის იმ ლექსებში მუდავნდება, რომლებიც მშობლიური კუთხისადრია მიძღვნილი. აი მისი ადგილის დედა – სოფელი გურიფული, რომელიც „ცასაა მირითმული პატიოსნებად“; აი ხობი, რომლის გაჩენასა და ლეგენდად ამომზევებას ავტორი ლექსსა და სიმღერას უკავშირებს და ამით თვითონ თავისი სულიერების უწყვეტ, დაუშრეტელ კავშირზე გვესაუბრება დიდებულ წინაპართა უხსოვარ წარსულთან: „ჯანდებმა ოდეს ჩამონისლეს ფიქრი მთებიდან და შემოკვართეს ზღვისპირეთის ქარქარა ნაპირს, როცა ლექსებმა ტალღისფერი ენძელებიდან ამოიმღერეს სიყვარული უკვდავი ზღაპრის... განცდები მაშინ მიუსევდნენ ჩონგურს სიმებად, წყალქალწულივით ასრიალდა მეჩხერში ხობი, მოუვარსკვლავდნენ ლეგენდები ზეცას მიძიებად და ამომზევდა მდინარისპირ ლეგენდა – ხობი“ („ლეგენდა – ხობი“!). აქვეა ხეთა ჯეგეთას მთის გვირგვინითა და ღვთისმშობლის პერანგით შემოსილი ღირიკული გმირის შემაჭრული იმედებით („ხეთა“); აქვეა ზუგდიდი მაფშალიას გალობით, „მითების ბორბოლიებით“, „ვენებააშლილ სიყვარულზე ნალესი ლექსით“, მასქურის დელვით, ტყაშმაფების კივილით, აფუნის, გაზაფხულის ამოჩითული კვირტებით, „უხანო ქარების“ მიერ გატაცებული მახარიათი, ოდოიას ლექსად შეწირული სულით, მითაქამური ტკივილებით, „ნაწკვარამებ ჟამთა ხილვიდან მოდილავებული“ კირბისებით, ცირასა და ბოშის „სიყვარულით დანამული გულ-პირით“, ურთას მოდარაჯე სავსე მთვარით – კეთილი ბერით, რომელიც „ცად აღკვეცილი ლეგენდების გადამრჩენელია“ („ზუგდიდს“). ეს იგივეა, რაც ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მეტაფორული სახე: „მთვარე, ამოვსებული კოლხური მითებით“... და ეს ყველაფერი დაკავშირებულია ღაშა გვასაღიას ფესვებთან, ამ ყოველივეთი არის ნაწოვ-ნასაზრდოები ღაშას პოეზია, მთელი მისი სულიერება.

ზემთო მოხმობილ ლექსებში პოეტის განწყობილება ამაღლებული და ღაღია, მაგრამ

დღევანდელი საქართველო შემოქმედისთვის ისეთი თემაა, რომელზედაც ტკივილის გარეშე ვერ ილაპარაკებ – ჩვენი დაჩეხილი, საზღვრებმოშლილი, დაუძინებელი მტრის მიერ დაჯიჯგნილ-დაკორტნილი ქვეყანა ბედნიერების საშუალებას არ გვაძლევს. ამ შემთხვევაში პოეტს მწარე რეალობა აშფოთებს, თრგუნავს და სათქმელსაც მინორული, სევდიანი ტონით გვაწვდის: „**საბედიანო – უბედური ბედის დაისი, დაუსრულებელ ტკივილების სისხლის სადამო, უყვავილე ბოდ დაუღალული შავი მაისი, ტალახის-ფერად დათოვლილი სამურზაყანო...**“

აქ არც ქორწილი ხმიანობს, არც ოდიას მღერიან, სიხარული გოდოლშია გამომწვევადეული და „გაფრენილი სიყვარული ზეცას ცრემლად მიჰბნევიან“, სადაც ღმერთიც ფეხაკრეფით დადის. სწორედ ღვთის იმედი აქვს პოეტს, სწორედ ღმერთს ევედრება, რომ სამართალი ბოლომდე არ გაითელოს: „**ღმერთო, მიწა შეგვარჩინე, ღმერთო, ენა შეგვარჩინე, ღმერთო, ღმერთი შეგვარჩინე, შეგვარჩინე, ღმერთო, სული**“ („სამურზაყანო“). თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი შვილი სამშობლოს უბედობას, ერის საწუხარს ყოველ ნაბიჯზე გრძნობს, ჩვენი ყოფის უმნიშვნელო დეტალებშიც ხედავს. აი, რუსთაველის პროსპექტზე სამაჩაბლოდან მოტანილ ნარგიზებს ყიდიან პატარები და პოეტის ცნობიერებაში სულისშემძვრელი მხატვრული სახე იკვეთება: „**ეს ნარგიზები სამაჩაბლოს ნარგიზებია! – ყვირის გოგონა და წართმეულ მიწის სამშვენისს აქ, რუსთაველზე მონარგიზებს. რადაც თეთრებად შეგიძლია ის მონატრება, რომელიც სისხლის დენით წაგართვეს, მოისაკლისო და ღმერთივით მართალ ყვავილებს ჯვრის ახლოს, გულთან უჩინო ბინა...**“ პოეტმა იცის, რომ მიტაცებულ ქართულ მიწებზე უქართველებოდ „**არც სილამაზეს, არც გაზაფხულებს არ უჩანთ პირი სახვალმაისო**“; ამიტომაც უნდა მას პატარებთან ერთად სამაჩაბლოში ნარგიზების მოსაპარავად წასვლა, რათა იქიდან მობრუნებულმა ქვეყნიერებას ამცნოს: „**დედაა ქართლი**“ („ნარგიზები“).

ლაშა გვასალიას ამ ახალი წიგნის თემა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია და

ყველგან ხაზგასმულად ჩანს ავტორის განსაკუთრებული დამოკიდებულება ადამიანის მიმართ; პირველ რიგში, ეს აიხსნება ადამიანის, პიროვნების შინაგან სამყაროში ჩაწვდომის სურვილით, რადგან ამ სამყაროში არანაკლებია ამოუცნობი და იდუმალი, ვიდრე უკიდევანო კოსმოსში; მეორეც, ავტორისთვის მნიშვნელოვანია ადამიანი, როგორც სოციალურად დატვირთული არსება, ანუ მისი ადგილი საზოგადოებაში, მისი პასუხისმგებლობა არა მხოლოდ სხვა ადამიანების, არამედ თვით საკუთარი ადამიანურობის წინაშე.

ამ მხრივ ბევრი ლექსია საყურადღებო, მაგრამ იმათგან ერთ-ერთი განსაკუთრებულად მიმაჩნია და სანამ მას გაგაცნობდეთ, მინდა მკითხველს ასეთი შეკითხვით მივმართო: გსმენიათ თუ არა აღმართ კაცზე, მოგნატრებიან თუ არა სწორედ აღმართი კაცი, ან უბრალოდ, ყური მოგიკრავთ თუ არა ამ უჩვეულო სინტაგმისთვის – აღმართი კაცი?

ყური თუ არ მოგიკრავთ, ლაშას ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ თქვენს სმენას იგი ისე გაუშინაურდება, რომ მყისვე თვალწინ დაგიდგებათ ეს მეტაფორული სახე. საუბარი მაქვს ლექსზე „საოცნებო“, რომელიც სხვა მხრივაც არის აღსანიშნავი; მოგეხსენებათ, ზმნა ქართული წინადადების ხერხემალია, ამ არც ისე პატარა, ორმოცდათოთხმეტსტრიქონიან ლექსში კი მხოლოდ ერთადერთი ზმნაა გამოყენებული – „**მომენატრა**“, თანაც სულ ექვსჯერ. სამაგიეროდ, ავტორს ხელ-ფეხი ჰქონდა გახსნილი და მანაც მთელი ლექსი ეპითეტებითა და მეტაფორებით დატვირთა იმის აღსანიშნავად, თუ როგორი, რა თვისებების კაცი ენატრება ლაშა გვასალიას. ექვს ათეულზე მეტი ასეთი თვისებაა ჩამოთვლილი და ლექსის პირველად წაკითხვისას იმის შიში მქონდა, რომ თავისებურ სიტყვათქმნადობაში გაწაფულ პოეტს სადმე ზომიერება უღალატებდა და სმენისთვის ძნელად შესაჩვენებელი სთვის ძნელად წარმოსადგენ, ხელოვნურად შეკოწიწებულ შესიტყვებას შემომჩახეხებდა, მაგრამ პირიქით მოხდა, რაშიც თავად დარწმუნდებით, როდესაც ზოგიერთ ნიმუშს ჩამოვითვლით იმისას, თუ, სულხან-საბას ტერმინით

რომ ვთქვათ,რა უნდა „ჰმართებდეს“ პოეტის მიერ მონატრებულ ადამიანს. ამრიგად, ზემოთ ხსენებული „აღმართი კაცის“ გარდა,ეს ადამიანი უნდა იყოს: „ბადაგივით გულკაცი“, „იმედგამოგახაფხულებული“, „თვალებიდან გულის შუქით მომზირალი“, „სიყვარულისად გამხევეებული“, „ხელგამომავალი და საქმე-წაგდებული“, „ყევარივით მუხლძლიერი“, „ყურძნის სიცილს მიმხერილი“, „სოფლის ღონე და ბუდექართველი“, „სიტყვისა და საქმის მჭედელი“, „ბედძნელობის დამძლევი“, „სიკეთეზე ყურადღესილი“, „პურის ყანასავით რწმენაჩაღრუბლული“, „ბორჯნათელი და მუხის დარად მიწაში ჩაჯიჯგვული“, „გულწრფელობით დანეტარებული“ „ღმიღმოდვიდე“, „კეთილშესხეულებული“, „მწყრალთა მომრიგებელი“ „კაცთან მისაგზავნად გამოსადეგი“, „მეალილოე და მოკუნხური“, „ძიღფხიზელი და სიზმარნათელი“, „სადღეგრძელოთ ლექსად შემქმნელი“ და ა. შ. ყველა რომ ჩამომეთვალა, ლექსის თავიდან ბოლომდე გადაწერა მომიხდებოდა. ზემოთ მოყვანილი სახეები მხოლოდ ლაშასეულია, მათ სხვაგან ვერსად წააწყდებით,რაც იმაზე მეტყველებს, რომ ლაშა გვასალიას ისედაც მდიდარი პოეტური ლექსიკა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველი ხდება ქართული ენის ბუნებასთან შესისხლხორცებული ახალ-ახალი სიტყვათქმნადობით. ამ ყველაფერს ლაშა გვასალიას შემოქმედების დასაწყისში ერქვა ექსპერიმენტი, დღეს კი იგი ამგვარი ექსპერიმენტებით გათხრილი და მიგნებული ის საგანძურია, რომელსაც ავტორი ფრთხილად იღებს,ასუფთავენს და მთელი თავისი ხიბლითა და სიკაშკაშით წინ გვილაგებს.

ლაშა გვასალიას ზემოთ აღნიშნული მონატრებული ადამიანი, ანუ იდეალური, აღმართი კაცი ასევე ლეგენდაა – ცადაღვლენილი, ვირტუალური, მაგრამ მის თვისებებს პოეტი ამქვეყნიურ სინამდვილეში, კონკრეტულ ადამიანებში ეძებს და პოულობს კიდევ. სწორედ ამით არის განპირობებული ზემოთ თქმული, რომ ავტორი დიდი სიყვარულით ხატავს ადამიანთა პორტრეტებს, ცდილობს, რომ არ გამოჩნეს და მათი ყოველი დადებითი მხარე საჩინო გახადოს მკითხველისთვის. ასეთი პორტრეტები ღრმა ლირიზმით,გრძნო-

ბათა ექსპრესიულობით არის გაჯერებული. მაგალითად,სრულყოფილი და ნოვატორული მეტაფორული აზროვნება სწორედ ამგვარი ლირიზმითაა გაუდენთილი სტრიქონებში: **„მზე-სხივთა დედოფალ, ლილიფარავ, წვიმას ჩიტივით რომ ემალები, მაისიც ლოდინმა გადაფარა, გდარდობენ ოცნების მწვერვალები... ჩემს ბაღში ნატვრისად ამოსულო, როგორც იმედების სათაური, ზეციდან მზის წვეთად გადმოსულო, გზომავგ მითიური საწყაულით...“** („ლილიფარა“)

კიდევ ერთი ნიმუში,რომელსაც შორეულ საწინაპრეთში კი არ გადავყავართ, არამედ თვით წინაპარი ხორცშესხმულად მოჰყავს ჩვენამდე. ეს წარსული თან ცხადია და თან მირაჟული, საოცარი წარმოდგენებით ჩვენს სინამდვილეში გაცხადებული. ან იქნებ არაფერია მირაჟი და წარმოდგენილი,იქნებ ზუსტად ასეთი იყო მეჩვიდმეტე საუკუნის იტალიელი მისიონერის ქრისტეფორო დე კასტელის კალმით ნახატი (და იდიომური მნიშვნელობითაც კალმით ნახატი) კოლხი პოეტი ქალი ვომინიჯა ბერიძე, რომელსაც პოეტი უკვე სიტყვათა ფერადოვნებით გვიხატავს: **„იყავ და თვალებს უსხივებდი ზეცას ლოცვებით სამარტვილოს... ენძელა შენი სტიქიონია, ყაყაჩო – შენი ასხმარტალეა... ღამის უჯამისო მოჩვენებაჲ, ვარდებდაწვიანო გაზაფხულო... იქნებ მეტაფორად მომიმზვენდე, ანდა სადღეგრძელოდ ჩამესიტყვო, ქალსხივო, ფუნჯის არჩევანო – წარსულის დავიწყებად მოტვიფრულო... ვისდა აწოვებდი ბროლის ძუძუს, როდის ჩაგენაყმა მაფშალია?“** („ვომინიჯა,ნისლის ქალბატონო“).

ეს ის მაფშალია,რომელიც ჩვენი სულიერების დედახეს კვირტივით გამოესხა და თაობიდან თაობამდე მოფრინავს და მოაქვს წინაპართა უკვდავი ლექსი და სიმღერა; ის ერის მარადიულობის სიმბოლოა,იგი ყველა ჩვენგანშია „ჩანაყშული“, ვისაც ერთხელ მაინც დაუდიდინია ან ფრთიანი სიტყვა უთქვამს. ლაშა გვასალიასთანაც მაფშალია შაშვთან ერთად უფლის მგალობელია, გაზაფხულის,განახლების მწყალობელია: **„მე აქ ვრჩები, მიწის მზესთან, სიკვდილს მღერით ვემალები, ჩემს შაშვსა და მაფშალიას ქედს უხრიან მწვერვალები... გზას მინათებს, ცუდი დროა, ხან მთვარე და ხანაც ელვა,**

შაში ჩემი საწუთროა, მაფშალია – ბედის-წერა!“ („შაში ჩემი ფრინველია“). სიტყვამ მოიტანა და იმასაც აღვნიშნავ, რომ ლაშა გვასალია კანონიერი დაჯინებით ამკვიდრებს ქართულ სალიტერატურო ლექსიკაში მგალობელი ფრინველის ჩვენი დედაენის მიერ ნაშობ ამ უძველეს და მშვენიერ სახელს – „მაფშალია“, რომელიც რატომღაც მხოლოდ მეგრული ჰგონიათ და უსამართლოდაა გამოძევებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან, სადაც მის ადგილს უცხოურიდან წარმომდგარი სიტყვა იკავებს.

ახლა უკვე მივაღქმით მთავარ სათქმელს, თუმცა შეიძლება, რომ ეს სათქმელი დასაწყისშივე გვეთქვა: ეს წიგნი ლაშა გვასალიას ავტოპორტრეტია და მის მრავალწახნაგიან პრიზმაში ავტორი, ანუ ლირიკული გმირი, მთელი თავისი რეალობით – სიყვარულით, მრწამსით, გრძობათა მიღმიერი თრთოლით არის წარმოდგენილი. ზემოთ აღვნიშნეთ, თუ როგორ დაეძებს უფალს ავტორი, ამიტომაც მიგვატარებს იგი ტაძრისკენ მიმავალი გზით, ანუ სიკეთის ბილიკებით, სადაც არის რწმენაც, გამარჯვებაც და გაწბილებაც: „**ზენაგ, შენამდე ისღა მაკლდება, რაც სულით ცასთან ვერ მივიტანე, თუ რამ გამაჩნდა – მიენაკეთება სასახლის თაღებს შემდგარ ტიტანებს**“ („ზეცისკენ“). ორიენტირი ისევ და ისევ ზეცაა, სიმაღლე და ამადლება: „**ხანაც ჩორთით და ხანაც ჭენებით, ლექსო, ზეცისკენ, ზეცისკენ წადი...**“

მაგრამ ზეცისკენ ლტოლვის სურვილი მიწის უარყოფას არ ნიშნავს. პირიქით, მიწაზე მკვიდრად დგომა, ჯანსაღი და ძლიერი ფესვებით ადგილის დედასთან კავშირი უფრო ამბაფრებს და ამართლებს ამ ლტოლვას, რადგან ჩვენი ლეგენდად ქცეული სამკვიდრო სწორედ მიწიდან არის ცადაღვლენილი და ის მიწასვე უნდა დავუბრუნოთ – უკვე ზეციურ ფერებში განბანილი და უფლის სუნთქვას ნაზიარები. ლაშა გვასალიაც ანთეოსივით არის ჩაჭიდებული მშობლიურ მიწას, რადგან თვითონ მიწაცაა ზეცად ამადლებული, თვითონ მიწაა ყველა ლეგენდის დედა; ამიტომაც ვერ მოერევა პოეტს ვერც კასანდრას ცბიერება და ვერც პერაკლეს ღონე: „**ვედარ გავყიდი მიწას ჩემ-**

**სას ზეცადაღვლენილს და ვარსკვლავების ხომლეულით დაქვირითებულს, ან ჭას რა ვუყო, დამტყვევებელს საესე მთვარისას... ლოცვებს რა ვუყო, დედაჩემის წინსაფრის სითბოს, მამის სათუთ და სიყვარულით დაღვრილ დიდინებს?...**“ („ანთეოსი“). პოეტისთვის ეს მიწა სიცოცხლეა, არსებობაა, ანუ მთელი სამყაროა; ამ მიწას თავისი „დროშოვანი გაზაფხული ჰყავს“, ამ მიწაზე მშობლების, დებისა და დისწულების ნაფესურებია ამოტვიფრული; ეს მიწა წინაპრების ძახილსაა მიყურადებული, აქ ფერხულისა და მოძახილების გაქროლებაა, აქ ოდოიას ოკეანეთი და ლილეოს მწვერვალებია. აქ პოეტისთვის ყველაფერი ძვირფასია: ობობას ქსელზე აელვარებული ცვარი, პეპლების ირაოები, მსხლის ხეთეთრი აკაციები, „ტალავერზე ვაზად გაფენილი მზის საგალობელი“, აყვავებული ატამი, კუტიკარზე გადმობიჯებული მეზობელი, ძაღლების ყეფა, მამლების გადაყვივლება, „მერცხლების შხუილებით გაფხრეწილი ზეცა“...

პოეტს უამრავი სათქმელი აქვს, ამიტომაც ტკივილიან განცდას ჰგვრის მას „მოგონებათა წამების ლოდინის წელიწადებად“ ქცევა, „მოლურჯებული“ გაზაფხულის „შემოდგომური დანანება“ და აქაც მისი მსხნელი, იმედი უფალია: „**ღმერთო, ეს სირუმე უადგილო სულში ტალღებად ამითრთოლე**“... შეგახსენებთ, რომ ეს ყველაფერი მისი სულიერი ავტოპორტრეტის დეტალებია, შტრიხებია, რომლებიც ერთობლიობაში სრულად წარმოგვიდგენენ შემოქმედს თავისი ლხენა-სატკივრით, ინტერესების დიპაზონით. სათქმელი, რა თქმა უნდა, ლექსად ითქმება, ლექსი კი პოეტისთვის საკრალურად ქცეულ მთვარეზეა გამოკიდებული. ამ ლექსების ფრთები ჩვენთვის აქვს მოხატული, ჩვენც მასთან ერთად „**ვწევართ ოცნების თეთრ ღრუბლებში**“ და არ გვინდა დავიჯეროთ, რომ „**სოფელი ღამისფერია**“ („შენთვის“). სათქმელის ლექსში გამჟღავნების სურვილი პოეტში მძაფრი და დაუოკებელია, მით უმეტეს, რომ ეს უკიდევანო სამყარო ხანდახან ვიწრო გალიად ეჩვენება: „**სამყარო თანდათან შემცირდა და ქარი ქრიალებს, უდარღო ჟამ-დროით გრძნეული... ლექსის და**

სიმღერის ცეცხლით ნაწამები სისრულეს ცის კარის ჭრიალით ვბარდები“ („ჟამი სასრული პოეზიის“). დიახ,ეს სამყარო ზოგჯერ „ობლად მიტოვებული სახლია,რომელსაც ცა არ ჰქონია“,ამ ყოველივეს კი „უსივრცობის აგონია“ მოსდევს,რომლის დროსაც „ქარი და ღამეები სუნთქვას ეძებენ“; ხოლო ცხოვრება „ტანჯვის სტიქიონია,სიყვარულისთვის ტყვიადახლილი“.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დრუბლები დევის ფიქრებით იჯანდებიან, არ შეიძლება, რომ ხსნის გზა არ გამოჩნდეს: **„მოცისკრავდება მზით გაზაფხული და ტყემლის ფიფქებს მოთოვს“**, ეს ის ტყემალია, რომლის ფატა დედის ნათელ ღიმილს ჰგავს, ანუ კვლავ დგება სიყვარულის,განახლების ჟამი, როდესაც შეგება ისევ ლექსმა უნდა მოგვეგვაროს: **„სიტყვაო, მოდი, გამოჩნდი დროზე და მათქმევიწე სათქმელი ისე, რომ სადვთო ნების სმოვანებაში ჩანდეს შენი და უფლის თვალები“** („ამოვათენო სულის საწყისი“). აქ ერთ მნიშვნელოვან დეტალს უნდა მივაქციოთ ყურადღება: პოეტი სიტყვას „დროზე მოსვლას“ სთხოვს,რასაც ორმაგი დატვირთვა აქვს; ჯერ ერთი,სათქმელი დროულად უნდა ითქვას, ანუ კაცმა „სიტყვის თქმის ჟამი“ უნდა იცოდეს; მეორეც, დრო უწყალოდ გარბის,დროს ვერაფერს და ვერაფერი შეაჩერებს, ერთი სიტყვით, დრო უღმობელია და ამ უღმობელობის განცდა ლაშა გვასალიას ასე ათქმევენებს: **„გადაიღლება მოლოდინი, ეს თეთრი კაცი, მუხლის კანკალით ჩაყურსული ჩემს სიმაღლეში და უცაბედად მთავდება სიშავე მზეთა, დასრულებული დასასრული სუნთქვის და მზერის... ყველაზე მეტად მეშინია ჩუმი სიბერის“** („დასრულებული დასასრული“)...მაგრამ ლაშა გვასალია სიცოცხლის,რწმენის, სიმაღლის პოეტია, ამიტომაც ვერ დაატიო მან თავის თავში სიკვდილი, ვერ მოუძებნა ადგილი, თუმცა იცის, რომ „სიკვდილს პოეზიის იერი აქვს“.

დიახ, კრებული, რომელიც აქ მიმოვიხილეთ, სიცოცხლისა და სიყვარულის, რწმენისა და სიკეთის პოეტური ხორცშესხმაა. ეს ყველაფერი: სიცოცხლეც, სიყვარულიც, რწმენაც, სიკეთეც ლაშა გვასალიას ბედის-

წერაა, ის მათ ვერსად გაექცევა; პირიქით, იგი იქით ეძებს თავის ბედისწერას, ეძებს ჩვენთვის სიკეთესა და სილამაზეს: **„ღამემ გული განიყო ვარსკვლავების თავებად, სულს ყიალი ამ ქარში სულ არ ეპიტნავენა... მაგრამ აღარ ისვენებს ლექსი – გიჟი მდევარი, განცდით და სიყვარულით სულში დაუტევარი“** („მისტერიული“).

ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებითაა გაჯერებული ლაშა გვასალიას სასიყვარულო ლირიკაც; ეს ლექსები,პირველ რიგში,ქალის მიმართ რაინდული კდემამოსილებით დაგამახსოვრებენ თავს,ხოლო რაც შეეხება თვით სიყვარულის გრძნობას, პოეტისთვის იგი ღვთიურია,ანუ ცადაღვლენილი ლეგენდების მსგავსია: **„ამ სიყვარულს, მოდი, დავარქვათ მარადისობა, ჩუმი ნათელით მოფენილი დიდი ზღაპარი...“** („მყვირალობის თვე“). ამიტომაც ლაშასთვის სიყვარულთან ზიარება – ეს იგივე უკვდავებასთან ზიარებაა,რასაც ჩვენი მოკლე წუთისოფლისთვის ღხენასთან ერთად სინანულიც მოაქვს: **„შენა ხარ ყველგან, სადაც თვალი მთავლებს მზერას, მშვენდება შენით, რაც ოდითგან მოდის თუ მიდის, უკვდავებასთან შესისხლების შენის რომ მჯერა, მიტომაც მდაგავს მოსწრებული გზასწორზე ბინდი“** (უსათაურო).

ამ თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, დანარჩენს მკითხველი თვითონ გაიაზრებს, როდესაც „ცადაღვლენილ ლეგენდებს“ ხელში აიღებს. დარწმუნებული ვარ, ამ წიგნის გაცნობით კმაყოფილი დარჩებით. რაც შეეხება შენიშვნებს,ასეთი რამ სრულიად უწყინრად და უმნიშვნელოდ მიმაჩნია; თითქმის არ გვხვდება სიტყვათა საჩოთირო ფორმები (მაგალითად,„ვეარგდები“), მით უმეტეს, რომ, როგორც აღვნიშნეთ,პოეტს თავისებური სიტყვათშემოქმედება ახასიათებს,ჩემი აზრით, სჯობდა აგრეთვე, რომ ზოგიერთ ლექსს შინაარსთან უფრო ზუსტად მისადაგებული სათაური ჰქონოდა (მაგალითად, „ასე და...“ „მართლაც ახლოა სიკვდილი – ცელ-სისხლიანთა ჯარით“...)

ლაშა გვასალიას წიგნი მთავრდება პოემით „ტოტორა მეღექსის თვითმკვლელობა“, რომელმაც არ შეიძლება, რომ არ ჩაგვაფიქროს სამართალზე უსამართლობის მძლავ-

რობით განწირული ადამიანების ბედზე. მე, მაგალითად, მისი კითხვისას ოთხმოცდაათიანი წლების შეურაცხყოფილ-გაბახებული სამეგრელო წარმომიდგა თვალწინ. დანარჩენს განსასჯელად მკითხველს დავუტოვებ.

დასასრულ, ლაშა გვასალიას კიდევ ერთი ლექსი მინდა გაგაცნოთ („ლექსთან ახლოს“), რომელშიც სრულად ჩანს პოეტის დამოკიდებულება მხატვრული სიტყვისადმი, მისთვის ლექსი და სიტყვა ოთხივე სტიქიონის, ანუ მთელი სამყაროს შემოქმედია, რაც ღვთიური კოსმოგონიის გამოძახილია („პირველად იყო სიტყვა“), ამასთან ერთად, ბუნებრივია, ლექსი და სიტყვა თვით შემოქმედის სიცოცხლისთვის საზრისის, დანიშნულების მიმნიჭებელია: „შენ რომ მყავხარ, ცა რომ მწყალობს, მზემ რომ იცის, რისთვის ვწვალობ... მიღირს იმად, დავრჩე ასე – უპუროდ და უსასახლოდ... წავალ ერთხელ თავსა ზედ და შემოვავლებ ღობეს ახოს, შემოვქობავ ჰაერეთს და მოვიდეს და მტერმა ნახოს – წყალი, მიწა, სივრცე, ცეცხლი რომ არსობენ ლექსთან ახლოს!“

ოთხ სტიქიონს ვერც სხვა ლექსში აუარა გვერდი პოეტმა („სიტყვა“). ღეს ლექსი სიტყვის ძალისა და მნიშვნელობის ჰიმნად ჩამოქნილ მხატვრულ ფორმულას წარმოადგენს: „შენა ხარ ღმერთი, დედა – ლოცვის, მამა – საწყისის, შენა ხარ სუნთქვა სამყაროსი, ოქროს საწმისი... შენა ხარ მიწა, ჰაერეთი, წყალი და სივრცე, ყველა სულიერს შენი ძალის სიმაგრე მისცეს...“

დანარჩენი მკითხველმა გააგრძელოს, რომელიც უეჭველად შემოუერთდება ჩემს ამნაირ სურვილს: სიტყვის ძალა და მადლი ნუ მოჰკლებოდეს ლაშა გვასალიას და კვლავაც გაეოცოს და გაეხარებინოს ყოველი ჩვენგანი თავისი წრფელი და ნადლი შემოქმედებით! ასეთიც იქნება სვე-ბედი იმ შემოქმედისა, რომელიც თავის მამულში უფლის კვალდაკვალ დაიარება და სიყვარულს დაექებს. ამ გზაზე მას უფალი არასოდეს მიატოვებს და მკითხველიც მუდამ გვერდით ეყოლება.

აგვისტო, 2016 წ.





## ზაალ ჯალაღონია,

მწერალი

## ღირსეული გამგრძელებელი ქართული პოეტური ტრადიციებისა

ქართული პოეზიის უსასრულო ხომლში საკუთარ კვალს, სახელს, ხელწერას თუ დატოვებს შემოქმედი, ეს იმას ნიშნავს, რომ მიწიერში მისი მოვლინება გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. ერთი ლექსითაც შეიძლება პოეტი ხალხის მეხსიერებას შემორჩეს. სწორედ ამას გვეუბნება თავის ცნობილ ლექსში შესანიშნავი პოეტი, სულკურთხეული ლაშა გვასალია: „პოეტი მაინც ერთი ლექსია, ობლის ცრემლივით ცამდე მართალი“. ჩემი ეს მცირე მოცულობის წერილიც პოეტს ეძღვნება. ჩვენს თანამედროვე ნიჭიერ შემოქმედს – ლაშა გვასალიას.

ეჭვი არ მეპარება, რომ მისი შემოქმედებაც ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული პოეზიის თვალუწვდენელ სივრცეში და ერთ ლამაზ ფურცლად დაემატება იმ ღირსეულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომლითაც ვართ ასე ამაღლებულნი.

ლაშა გვასალიას პოეზიაში უმთავრესი ადგილი უკავია ეროვნულ კონცეფციას. სამშობლო, მამული – აი, ის ძირითადი თემა, რითაც სულდგმულობს ამ პოეტის ნათელი სიტყვა. გამორჩეულია და განსხვავებულია მისი ხედვა, სიტყვათა წყობა, ფრაზეოლოგია, განსხვავებულია მისი ინტონაცია...

ლაშა გვასალია თხემით ტერფამდე ქართველი პოეტია, ის საოცრად გრძნობს ქართული ენის სისადავეს, მის შინაგან ბუნებას. შემდეგ კი ეს თავისთავადობა ლექსებში გადმოაქვს. თითოეულ ნიმუშში იგრძნობა, თუ საიდან მოწანწკარებს სიტყვიერი სილამაზის თავანკარა წყარო. ეს ჩვენი კოლხური იბერიული თაურსაწყისიდან მოვლინება, ეს მშობლიური მთებიდან მორაკრაკებს, ეს დედის ხმატკბილი ნანას უშორესი განტოტებაა. ამიტომაც არის ასე ორგანულად მისი პოეზია შედუღაბებული ჩვენს ეროვნულ თავისთავადობას და ცნობიერებას.

თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ლაშა გვასალია ღირსეული გამგრძელებელია ქართული პოეტური ტრადიციებისა. მისი სიტყვა ნათელია, ბუნდოვანებას განრიდებული, ჩანაფიქრი სადად და უშუალოდ მოაქვს მკითხველამდე.

როგორც ცნობილია, და არაერთხელ აღნიშნულა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 50-60-იან წლებში პოეტური აზროვნების ერთგვარი რეფორმა მოხდა, შეიცვალა მკითხველთან დამოკიდებულება, ლექსის ინტონაცია, იგი გარკვეულწილად განთავისუფლდა იმ მხატვრული აქსესუარებისაგან, რაც ტრადიციულად ახასიათებდა წინა თაობათა შემოქმედებას, პოეტისა და მკითხველის ურთიერთობა უფრო უშუალო გახდა. ამ ტენდენციის თვალსაჩინო მაგალითებს იძლევა ლაშა გვასალიას მრავალი ლექსი.

როდესაც გადავხედე მის ახალ წიგნს, „ცად აღვლენილი ლექსები“, მასში შემაავალი ერთი ლექსი განსაკუთრებით მომხვდა თვალში, რა თქმა უნდა, ვრცელი მოცულობის გამო არა, სხვა რამემ მიიქცია ჩემი ყურადღება. ამ ჩემ მიერ ზემოთხასენებ ლექსს „ანთოსი“ ჰქვია.

ბერძნული მითოლოგიიდან გაგვასხენდება პოსეიდონისა და მიწის ღმერთის ორგანო შეიღი, რომელიც უძღვევლი იყო, ვიდრე მიწას (თავის დედას ეხებოდა). მისი სიძლიერე მიწასთან კავშირით გამოიხატებოდა. წარსულის მითოლოგიური აზრდობის გამომხმობით, პოეტი ალევორიულად გვესაუბრება თავის ქვეყანაზე, თავის თავზე, ისიც ანთოსივით საკუთარ მიწასთან არის შესახსრებული, ჩაკირული და შერწყმული, ამიტომაც მისი პიროვნული, მენტალური თუ შემოქმედებითი ენერჯია, მასთან კავშირით ინარჩუნებს სიძლიერეს, ის არ უნდა მოსწყდეს ამ მაცოცხლებელ წიაღს, თუ მოსწყდა, კრახი გარდაუვალი იქნება. ლაშა გვასალია ამ შემთხვევაში, ეგოცენტრიზმის სამანებიდან კი არ გველაპარაკება, არამედ ავითარებს უზუსტეს შეხედულებას, რომ ყველა ქართველი ანთოსის დარი უნდა იყოს, ანთოსივით ვერ უნდა ააცილონ მიწას, თუ ააცილეს, დაიხრჩობა, დაკარგავს თავის მეობას.

პოეტი ლექსში მიმართავს კასანდრას, რომელიც ფანტასმაგორიული სატრფოს სახით წარმოგვიდგება. ის ჩააგონებს პოეტს სახლკარის, მამულის გაყიდვას. კასანდრა ძველი

ბერძნული მითების ერთ-ერთი უიღბლო და სვეგამწარებული ქალი-პერსონაჟია, ტროას მეფის პრიამეს ქალიშვილი, რომელსაც წინასწარმეტყველების უნარი ჰქონდა.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლექსს დაჰკრავს ანტიკური სამყაროს სურნელი, მასში ორგანულადაა შერწყმული წარსული და აწმყო, საქართველოს დღევანდელი და პოეტის გაუხუნარი კრედი თუ მრწამსი, რომელიც ასე გამოიყურება:

„ვერა, კასანდრა, მიწას ჩემსას  
ველარ გავეიდი,  
თუნდაც ათასი ჰერკულესი  
მემუქრებოდეს,

ანთეოსი ვარ და ნიადაგ ჩემზე ჰკიდია  
ჩვენი ჯილაგის გასაგისი და მომავალი“.  
ეს სტრიქონები გათავისებული ტრაგიზმის და ბედისწერისეულ ქარტეხილებს შეგუებული პოეტის სიტყვებია. შეგუებული არ უდრის შემინებულს ან უკუქცეულს, არა, ეს ტრაგიზმი ბარათაშვილისეული სულის დაღაღია: „ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება“. სულისკვეთება განწირულისაა, მაგრამ აუცილებლად საჭიროა, რადგან ამგვარმა პრინციპულობამ „მოძმესა ჩვენსა სავალი უნდა გაუადვილოს“.

როგორც ლიტერატორს და ამ საქმეში ჩახედულ ერთ რიგით ობიექტურად შემფასებელს ლაშა გვასალიას პოეტური ნააზრებისა, მიმაჩნია, რომ „ანთეოსი“ მის პოეზიაში გამორჩეული ლექსია. შეიძლება ითქვას, საპროგრამოც კი. სწორედ აქ ჩანს ყველაზე ნათლად ლაშა გვასალია, როგორც ღირსეული მოქალაქე, პოეტი და საკუთარ ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი.

ლაშა გვასალიას მთელი პოეტური შემოქმედებიდან იკვეთება, რომ მისი პოეტური გზის არჩევანი იყო ეპოქისა და დროის ნიშნით ნაკარნახევი. „ანთეოსში“ ეს თვისებები კიდევ უფრო ძალუმად იჩენენ თავს. უფრო მკვეთრად შემოდინ მკითხველის ცნობიერებაში. მათ ერთგვარი ჰეროიკულობის განცდაც შემოაქვთ, რაც განუმორებელია პატრიოტული თემატიკის ღირიკიდან, თუმცა ამ შემთხვევაშიც პოეტი ახერხებს ემოციების მოთოკვას და არ გადადის ცრუ პათეტიკაში. ის, რაც ლექსში ჩანს, რეალურია და ერის გულისცემას მიყურადებულ შემოქმედს ხიბლს უფრო სძენს, ვიდრე ცრუ სახეიმო იმიჯს.

„ანთეოსი“ პოეტის კრედი და პოეტის მრწამსია, სამაქალაქო პოზიციაა, შიშველი პროტესტია, წვერწამახული სათქმელია, „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძაღმიძს“, პოეტურ ფორმებში გადმოცემული პოზიციაა. ლექსში ხატოვნად არის გადმოცემული, თუ რატომ დგას პოეტი ამ პოზიციაზე, ისეთი თითქოს უმნიშვნელო დეტალების მოხმობითაც შეიძლება ამის გაგება, რომლებსაც ავტორმა სრულიად ახალი ღირიკული სამოსელი მოარგო:

„დედის და მამის ნაფეხურებს  
გავეიდი როგორ,  
ჩემი დების და დისწულების  
ბავშვურ ნაბიჯებს?!“

ან ეს სტრიქონები:  
„რა ვუყო-მეთქი ბაბაჯუას ქსელზე  
დატყვევნილ  
აისის ცვარის ბრწყინვალეებს,  
თუნდაც წამიერს?!“

ანდა პეპლების ირაოებს რა ვუყო- მეთქი,  
სადაც დღე იგი ათასეულ  
წლით იზომება.“

ლაშა გვასალიას პოეზიის ერთი განსაკუთრებულად დამახასიათებელი თვისებაც უნდა წამოვწიო წინ, ეს არის ქართული ენის ზედსართავი სახელების აღმატებით ხარისხში წერის მისეული უნარი. რაც სიხლხორცეულად ერწყმის ძველი ქართული ენის ჰაეროვან მომხიბვლელობას. აღნიშნული თვისება ხშირად გამოიკვეთება მის პოეზიაში, რაც ერთგვარად ნეოლოგისტურ პრიზმაში გარდატეხავს სათქმელს. თვალშისაცემია ასევე ებიანი მრავლობითის ხალვათად გამოყენება, უფრო ხშირია ძველი ქართულის ნართანიანი რიცხვითი ფორმა. რაც ჰაეროვანსა და მომხიბვლელს ხდის მის ლამაზ პოეზიას. ეს თვისებები მოჭარბებულადაა „ანთეოსშიც“:

„არა, კასანდრა, მამულეთი არ იყიდება,  
არც დედულეთი, წყაროსავით  
რომ მოჩქაფუნებს,

სითგანაც ჩემი ძეებია და ბადიშონი,  
მიისწრაფიან ზეცისაკენ თეთრი რაშები.  
არ ვყიდი-მეთქი, დამდუმარდი, გაინაპირე“.

ვისურვებდი, თავისივე ლექსში გაცხადებული მრწამსის თანახმად, ამგვარი პრინციპულობით და შემართებით ევლოს წინ ლაშა გვასალიას მართლად და ცამაღალ პოეზიას!

**მუხრან ჯანტურია,**

მწერალი

**ის, რაც ზუგდიდში ლაშა გვასალიას წიგნის  
პრეზენტაციაზე უნდა მეთქვა**

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა პოეტ ლაშა გვასალიას ახალგაშობილი წიგნის - „ცადაღვლენილი ლეგენდების“ პრეზენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი მქონდა, ამ საღამოს დაესწრობოდი (მით უმეტეს ორ სამმაგი მოწვევა მქონდა, მათ შორის, რაც მთავარია, უშუალოდ ავტორისგან), ჩემდა სამწუხაროდ, ერთი კურიოზული ფაქტის გამო ვერ შევძელი ღონისძიებაზე მისვლა.

რომ დაეფიქრდი, იქნებ ასეც ჯობდა, შესაძლოა, ამაში განგების ხელიც ერი: საზეიმო საღამოზე ნათქვამი ადამიანებს (ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფთაც), შეიძლება, მალევე დაავიწყდეთ, მით უმეტეს ორ ჩვენების შემდგომ პერიოდში „ლიტერატურული საქართველოს“ სიტყვას, განათლებული და ინტელიგენტი კაცისთვის, რა თანამდებობაც უნდა ეკავოს, ალბათ, მეტი რეზონანსი ექნება (გარდა იმისა, რომ ლაშა გვასალია კარგი მწერალია, ის სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის უფროსია და, სავარაუდოდ, საღამოს ბევრი თანამდებობის პირიც დაესწრობდა).

\* \* \*

„ჩემო ძმაო, ლაშა!

ქალბატონებო და ბატონებო!

ინფორმაცია მოვიპოვე (პროფესიით ჟურნალისტიც ვარ), რომ ბევრს აქვს დღეს აქ გამოსვლის სურვილი. როგორც მე ვერ ვიტან ასეთ საღამოებზე გრძელ-გრძელ ზოგად დითირამებს, ასევე ბუნებრივია, ვერც თქვენ.

ამიტომ სათქმელს სულ ორიოდ სიტყვით, მოკლედ და კონკრეტულად ვიტყვი:

დღეს აქ მე თქვენ წინაშე გამოვდივარ არა მხოლოდ როგორც მწერალი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც პროფესიონალი მკითხველი (სხვათა შორის, ამ ტიტულით თავი „ლიტერატურული საქართველოს“ გვერდზე მოვინათლე ასევე ზუგდიდელი მწერლის გია ხუბუას მოთხრობების განხილვისას).

ჩვენ, პროფესიონალ მკითხველებს, ადამიანებს, ვისაც ლიტერატურა ძლიერ უყვართ, სხვანაირად – „ვასიკო კეჭერაძის სამოს“ წევრებს, ნაწარმოებისა და შემოქმედის შეფასების „ჩვენი მეთოდი“, უტყუარი მეთოდი, გვაქვს!.. ამ უტყუარი მეთოდის მიხედვით, შენ, ძმაო ლაშა, ჩვენთვის სანაქებო მწერალი, სანაქებო პოეტი ხარ!

ამ სამიოდე დღის წინათ „ფეისბუქზე“, სადაც ჩვენ, ბუნებრივია, ვმეგობრობთ, ლიტერატურის შესახებ შენი მოკლე შენიშვნა წავიკითხე, სადაც განსაკუთრებით ამახვილებ ყურადღებას ნაწარმოებში პიროვნების, მოვლენის, ფაქტის ფსიქოლოგიურ ნიუანსებში წვდომასა და შემოქმედის ზნეობრივ პოზიციაზე. პოდა, მივხვდი, რომ ჩვენ, არა მარტო ლიტერატურული გემოვნება, ლიტერატურული ლაბორატორიაც, „შიდა სამზარეულოც“ დაახლოებით მსგავს პრინციპებზე გვაქვს აწყობილი.

ეს ორჯო კარგი გვაერთიანებს!

სამწუხაროდ, ცუდიც გვაქვს საერთო:

**მე საკმაო ხნის წინათ, შენ ახლახან, მოულოდნელად დაგკარგეთ მამები, არადა, იმ დროს, როცა ჩვენ ყველაზე მეტად გვჭირდებოდა მათი ვაჟკაცური თანადგომა (უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური მომენტი მაქვს მხედველობაში!).**

რას ვიზამთ? წუთისოფლის ტრიალს ვერ შევცვლით, მაგრამ უფლება ხომ გვაქვს, არ შევეგუოთ, არ შევეპუოთ!

ჰოდა! ჩვენც ორმაგი, სამმაგი ძალით განვაგრძოთ დაწვებული შენობის აგება! ღმერთმა მოგცეს, ძმაო, ჯანმრთელობა, ძალა და ენერჯია, გამძლეობა ამ რთულ გზაზე!

მე თან წამოვიღე ასეთი პატარა „აგური“ – ერთი ქართველი მწერლის წიგნი, რომელსაც „დათვი“ ჰქვია. ვფიქრობ, მოგეწონება. დათვი აქ მტრის, წინააღობის, სიძნელის, სირთულის კრებსითი სიმბოლოა. იმედი მაქვს, ძმაო, სიძნელეებსაც გადალახავ და ეს „აგურიც“ ამ რთულ შენობას, რომელსაც აგებ, სადმე შეეხიდება!..

\* \* \*

ქალბატონებო და ბატონებო!

ახლა დარბაზს მივმართავ:

ამ ბოლო დროს ზუგდიდელი (მთლიან მხარეს ვგულისხმობ!) მწერლის წიგნის მესამე მოსაწონ(!) პრეზენტაციას ვესწრები, ერთზე კიდევ არ გავახსენდი, კიდევ ერთზე მე ვერ მივედი... ამას იმიტომ ვამბობ ასე დაწვრილებით, რომ ხაზი გავუსვა: ზუგდიდში, ჩვენს მხარეში ორსამეგრელოსა და ზემო სვანეთში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ისეთი მწერლებიც, რომლებიც დაამშვენებენ ნებისმიერ კულტურულ, ინტელექტუალურ საზოგადოებას, თვით ჩვენი დედაქალაქის ჩათვლითაც.

აი, სწორედ ამით (ამითაც!) უნდა ამაყობდეს და თავს იწონებდეს ზუგდიდი! ძირითადი აქცენტი კულტურაზე და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე უნდა იყოს აღებული. არადა, სამწუხაროდ, დღეს, როდესაც ზუგდიდის ცენტრში, სრულიად

შეუფერებელ ადგილას, მანქანების სადგომზე, სამხარეო ადმინისტრაციის შენობას მივადგილეთ „მაკდონალდსის“ რესტორანი, რითიც, ჩემი აზრით, არა მარტო დავამახინჯეთ არქიტექტურულ-ინჟინრული თვალსაზრისით თავის დროზე სანიმუშოდ დაგეგმარებული ეს ადგილი, არამედ გარკვეული პრობლემები შეექმნა ქალაქის ინფრასტრუქტურასაც, ამ დროს ზუგდიდელ მწერლებს, რომელთაც ადრე მწერალთა სახლიც ჰქონდათ, დღეს ერთი ხეირიანი ოთახი, სადაც დასხდებოდნენ და ახალი ნაწარმოების ავტორებზე იმსჯელებდნენ, არსად აქვთ.

არ გეგონოთ, რომ ამით საყვედურს ვამბობდეთ მხარის ან ქალაქის ადმინისტრაციის მისამართით, რომელთაც დიდ პატივს ვცემ...

უბრალოდ, ვიფიქრე, იქნებ, დარბაზში ზის ვინმე ინტელიგენტი ბიზნესმენი ან „ბიზნესმენი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს“, რომელმაც ქალაქის ცენტრში რესტორანი ისე დაგეგმოს, რომ ქვევით რესტორანი იყოს, ზევით მწერალთა კავშირი. ასეთი რეკლამა დიდ მოგებას (მატერიალურსაც და არამატერიალურსაც!) მოუტანდა მის რესტორანსაც და თავად მასაც! არ ვათქმევინოთ ირონიულად ვინმეს, ზუგდიდელები სმა-ჭამას უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე წიგნს და წიგნიერებას!

და კიდევ: ქალაქის ცენტრში, იქნებ, პატარა კუთხე გამოჩნდეს მიმზიდველი წარწერით: „ზუგდიდელი მწერლები“, სადაც ზუგდიდელი მწერლების წიგნები გაიყიდება. მერწმუნეთ, ეს ერთ დიდ პრობლემას მოაგვარებდა! ასე რომ:

ოცნებას კაცი არ მოუკლავს, მეგობრებო!“

ზუგდიდი, 22 სექტემბერი, 2016 წ.



ბობრონ ჯახია,

ეკონომიკის დოქტორი, სრული პროფესორი

**„ცადაღვლენილი ლეგენდების“  
აღმაფრენა**

ჩემი ყოველი სიტყვა, „ცადაღვლენილ ლეგენდებიდან“ აკრეფილი მარგალიტების პერიფრაზი, საამქვეყნო, სამუსიკო ნოტებია, დიდო მაესტრო, და მომიტევებთ, ალბათ, ასეთ კადნიერებას, რადგან მხოლოდ სიტყვის ასეთი დასტაქარი რჩება „ტკივილის არდავიწყებად“, ვითარც „უძილო ღამეს ცა ნაწამები, მოუფერები კოცნა შეყინულ ბლისფერ ლოყაზე...“. ის მაღალია, ვითარც ვარსკვლავი მიუწვდომელი და ოცნებების „სხივში მორთული, ამოვსებული შემოდგომის სავსე ბედელი“... და იყო ქარი... „ჟამის ველიდან განუპარველი და უსასრულო, ბედს დაბადებად, როგორც უფალი, ისე მფარველი და ამიტომაც მირჩევნია მგოსნის სიტყვა, მგოსნის ლექსი იყოს ჩემი აზრის ფარი, კალმის მახვილი.

ეს! როგორ მინდა შენს პოეზიას: გაღაღებული აზრების ფეთქვას, სიტყვის სიწრფელეს და მის ქროლას უსასრულო ლაბირინთებში, ცაზე მეხივით გაელვებას და ვულკანივით მისი სვეტების ამოდულებას, ამოლაგებას ერქვას „სიგიჟე და გიჟური აელვარება... ქარმოსვეული დილა მაისის ანგელოზური ნათელიანი, პოეტის სულით, კაცის გულით, მებრძოლის ძარღვით... „მოვარის თვალებით“ მარადჟამს იყო „აღამიანად ყოფნის თავდებად“ და თქვენი სწრაფვა... „სადაც ქარი და ღამეები ეძებენ სუნთქვას“ ან „მიუღწევი ცათა შინა სულის არია... რა უდაბნოა? რა სიყრუეა? ცხელი ქარია“, თქვენ მხოლოდ იქ ხართ „ცის ამოკემის“ დიდი სურვილით და ისევ ხატავთ ამ „სამყაროს მოწყენილი ყვავილის ფერით“.

კაცს, როცა ღამეს სიყვარულში ათევს, თვალწინ უდგას დემე, ეფერება თათეს, საზღაპრულ ქოხში სანთლებს მათზე ანთებს,

ესუტება დედას, ეცრემლება მამა, გულ-ღამწვარი უცქერს სასაფლაოს ნათელს, ემალება მზეს და ემალება მთვარეს, თავს ევლება იგი გულის სწორის თვალებს. სიყვარული გულზე სამშობლოსი აწევს, სულს გამოფენს ქარში, პოეზიის მართებს, ესუტება ყველას: ძე ცლომილს და მართლებს, დაიკიდებს სულს ზეცაზე, განიქარვებს დარდებს, ჩვენს ოცნებას და მომავალს გზად დაუფენს ვარდებს.

ხედავთ, მეგობრებო, რა ძალა აქვს პოეზიას, თუ ამ პოეზიის მეტრი შენი უძვირფასესი მეგობარია და ის ითხოვს:


„მოდი, მომაწოდე სულთათანა, მოდი, გალობაში შემიმხარდი, მოდი, მაგრძნობინე ზეცის ძალა, ასე უსასრულოდ მორიალე...“

ეჰ, ბატონებო, შინაგანი შფოთვა, სულის წრიალი, აზრთა ხეტიალი უსასრულოდ სადღაც ტრამალებში პოეზიისა, ადამიანს აქცევს ისეთს, როგორიცაა ბატონი ლაშა – რაღაცნაირად მოკრძალებული, აზრებით დამძიმებული, ზოგჯერ ტბასავით უწყინარი და მშვიდი, ზოგჯერ ზღვის ტალღებივით აფორიაქებული, მაგრამ მუდამ გაწონასწორებული კაცი დენდი, დიდი მაესტრო. გულწრფელად გეუბნებით, ვიფიქრე, რა დავარქვა ამ ურთიერთობას-მეთქი. გამოსავალი თავად მისმა ლექსმა მაპოვნინა: ამ სიყვარულს, მოდი, დავარქვათ მარადისობა, ჩუმი ნათელით მოფენილი დიდი ზღაპარი... რატომ ზღაპარი? პასუხიც იქვე აქვს: „ვეღარ გითვისა კაცმა, სოფელმა, სისხლი გდიოდა ლექსის რეფრენად და ხატკაცივით კეთილმყოფელმა ყოფას არჩიე ცაში აფრენა“. რატომ? უნდა ვისწავლოთ დიდი პიროვნებების სიცოცხლეში აღიარება, დაფასება, პატივისცემა და სიყვარული. მერე

რაა, რომ ჩვენ გვერდით დადიან, ნიკალაც ნამთვრალევი ხშირად უნახავთ სამიკიტნოში...რატომ? აზრადაც არ გაივლოს შემოქმედმა ეს სიტყვები: „მიყვარხარ! სევდამ მოიწველა დარდი და სევდა, მიყვარხარ, ნეტავ გაგქცეოდი გრძნობათ არიას, დღემ გადაუსწრო თვითმკვლელობის წკვარამეთს ბედად, თუმც მოუთმენელ ტკივილებით ესე ამრია“ და მაინც, ამ ამ საოცარ ლექსს ატორი ამთავრებს: „მიყვარხარ ძლიერ! მზემ შეასხა წკვარამეთს ფრთები“.

ისეთი ღრმაა თქვენი შემოქმედება და ისეთი ნათელია თქვენი ცხოვრება, დასრულებული დასასრულის არცერთ სიტყვას გაგრძელება არ უწერია: „ყველაზე მეტად მეშინია ჩუმი სიბერის,ოდეს შრიალი ყვაფილების ვერ შემაშფოთებს,დაეწრიტება მზეს სხივები ოქროცურიდან, კოჭლი ცხენივით დაილლება მოსაგონარი“.

მერწმუნეთ, ბატონო ღაშა, თქვენი შემოქმედება უკვე არის მარადიული, ქართულ პოეზიაში ჩაკირული საუნჯე,მას დავიწყება არ უწერია.



## ნათია ჯგუშია

## ცადაღვლენილი ლეგენდების რაინდი

„და სასიკვდილო განაჩენებით  
შეუძლებლობის უქონელ წვათი,  
ხანაც ჩორთით და ხანაც ჭენებით,  
ლექსო, ზეცისკენ, ზეცისკენ წადი...“

ეს ლაშა გვასალიაა – ცადაღვლენილი ლეგენდების რაინდი, უფლისგან ხელდასხმული ხელოვანი, ხალხის წიადში აღმოცენებული და გაზრდილი, ქართული მადლიანი მიწით ნასაზრდოები და ნასათუთევი, პოეტი ქართული ეშხითა და ლაზათით, მშობლიური მიწის სურნელით, შინაგანად ამადლებული, თავისთავადი.

ჭეშმარიტია ლაშა გვასალიას პოეზია, სუფთა მთის ანკარა წყაროსავით. შეუძლებელია ემოციების გარეშე ჩაიკითხო ლექსი „ერთხელ უნდა წამიყვანო სვანეთს“...

ერთხელ უნდა წამიყვანო სვანეთს,  
დამაჭიდო შენს ძმადნაფიც უჩას,  
სვიმი მასვა პეშვით, დამანახო  
თეთრი მკერდი თეთნულდს

როგორ უჩანს...

...წამიყვანე სად კრიალებს თოვლი,  
როგორც დედის მხეუძილო „ნანა“,  
მე სიკვდილსაც სიცოცხლისთვის ვეძებ  
და გაქრობას დავენებდები განა?“

ეს ლაშა გვასალიაა – პოეტი, რომელშიც ზეობს დაუმონავი სული, ბობოქრობს მუზა; პოეტი, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის განსაზღვრებას თავისებურად, დამაჯერებლად ხატოვნად გვაწვდის და გვარწმუნებს სულის მარადიულობაში, დიდოსტატის უკვდავებაში: – „სიკვდილი როგორღა აგაცილო, ოდეს სიცოცხლე მშობიარობს... ამბობს პოეტი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი, საყურადღებო და მრავლისმთქმელი განაცხადია.

ძალიან ლაღი, სუფთა, წრფელი და თა-

ვისუფალია მეგობრების ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები. მაგალითისათვის ლაშა გახარიასადმი მიძღვნილ ლექსში ვკითხულობთ: „ხარ სიტყვისა და სუნთქვის მახარა, დადიხარ ტანზე ვახახვეული და ბედისწერამ ვედარ დახარა, სხეული შენი ლექსით სნეული“.

უაღრესად ემოციურია რენე კალანდიასადმი მიძღვნილი ლექსის ბოლო კუპლეტი:

„კვლავაც სიტყვებს და ბგერებს დავეძებ  
სასაფლაომდე ვერმიღწეული,  
სიკვდილ-სიცოცხლის თეთრი ლეგენდა,  
უკვდავ სიმღერად გაგრძელებული“.

პოეტის სამყარო დიდია, დაუსაბამო. მას უყვარს, მას უხარია, მას სწყურია; არის მომენტები, როდესაც პოეტი თავად გვეკვლინება თავისი ლექსის ჭირისუფლად:

„რას გაიგებს სამყარო

ჩემეული ლექსების

უსაბამო შტრიხებით

გიჟურ აელევარებას.“

უაღრესად ნატიფია პოეტის სატრფიალო ლირიკა: „უშენობა“, „მიყვარხარ“, „ოდესმე“, „მომენატრე“, – ეს ის ლექსებია, სადაც იგრძნობა სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალა-გრძნობა, რომელმაც რაინდი ჩვილ ბავშვად აქცია, რომელმაც დაგვანახა, გაგვიხსნა ლაშა გვასალიას პირთვნილი მე.

უაღრესად მშობლიური ლექსია „ანთეოსი“, შეუძლებელია ემოციების გარეშე ჩაიკითხოთ სტროფები:

„ვედარ გავყიდი წინაპრების

ფიქრთა გრაგნილებს“.

„დედის და მამის ნაფეხურებს

გავყიდი როგორ“.

„ლოცვებს რა ვუყო, დედაჩემის  
წინსაფრის სიბოძს“.

„მამის სათუთ და სიყვარულით  
დაღვრილ ღიღინებს“.


„მსხლის ხეს რა ვუყო, უსაბამო  
ზღაპრულ გენიას“.

ამ სტრიქონების წაკითხვისას დიდი ილიას ფრაზა გამახსენდა: – „შვილმა უნდა იცოდეს, სად შეჩერდა მამა“ – დიას, ლაშა გვასალიამ იცის, სად შეჩერდა მისი საყვარელი, მშრომელი, პატიოსანი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მამა. დიას, ლაშას შვილებს ეცოდინებათ თუ რას ნიშნავს ფუძის, კერის ერთგულება და ასე

გაგრძელება თაობიდან თაობამდე, ეს არის უკვდავება.

დასასრულ ლაშა გვასალიას კრებული „ცადაღვლენილი ლეგენდები“ ერთ-ერთი საუკეთესო კრებულია პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომელიც ახლახან შეემატა ქართული პოეზიის საგანძურს, ჩვენს ეროვნულ საუნჯეს.

კიდევ ერთხელ ვულოცავ და ვუსურვებ მრავალი ასეთი ბედნიერი საღამო, მრავალი წიგნი და მკითხველთა სიყვარული არ მოკლებოდეს ამ ღვთივსათნო და ღვთითნათელ ერისკაცს.





**მუხრან ზაქარაია**

**ეს დამოუკიდებელი საქართველოს  
ლეგიტიმური ისტორიაა\***

„რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამასახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია“  
ილია

„ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს“.

ივ. ჯავახიშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 25 წელი გავიდა, მიუხედავად ამისა, დამოუკიდებლობა, როგორც ერის თავისუფლების უმაღლესი ფორმა, დღემდე განსაცდელის წინაშეა, ამიტომაც მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლა გრძელდება, შესაბამისად, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ყველა კომპონენტს გაფრთხილება სჭირდება. ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული მტერი გვართმევს არა მარტო თავისუფლებას, წინაპართა სისხლით გაჯერებულ მიწა-წყალს, არამედ ანადგურებს ან ითვისებს ერის სიწმინდეებს, მის ისტორიას. ასეთ პირობებში დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის აშენების გზაზე შემდგარი ქვეყნისთვის რაღაც საეჭვო პოლიტიკურ თამაშებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი გამართული ისტორიის დაწერა.

ამ წერილით გვინდა საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ ამ 25-წლიანი ისტორიის იმ 12-წლიან პერიოდზე, როცა 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ვიდრე ე.წ. ვარდების რევოლუციამდე ქვეყნის ისტორია ორ პარალელურ ხაზად მიემართებოდა: კანონიერად არჩეული, ლეგიტიმური, მაგრამ დევნილი ხელისუფლებისა და გადატრიალების გზით დამკვიდრებული ოფიციალური ხელისუფლების (რადგან საერთაშორისო არენაზე აღიარებულ იქნა) ისტორიები.

თუკი ოფიციალური სტრუქტურების საქმიანობის ამსახველი ისტორიული მასალები ასე თუ ისე სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშაა, ამას ვერ ვიტყვით დევნილი ხელისუფლებისა და მისი მხარდამჭერი სახალხო მოძრაობის ამსახველ მასალებზე, ისინი უმოწყალოდ ნადგურდება, არადა, მათ გარეშე არ არსებობს და ვერც ვერასოდეს აღდგება დამოუკიდებელი საქართველოს სრულფასოვანი და „შეგნებული ისტორია“. ამ საკითხს არა მარტო ისტორიული, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

ამდენად, დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიმდინარე მძაფრი ბრძოლის პარალელურად, ჩვენი – საზოგადოების, ხელისუფლების – ძალისხმევა უნდა მიემართოს ახლად აღდგენილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ლეგიტიმური ისტორიის გადარჩენისკენ.

მეოთხედი საუკუნე მიილია მას შემდეგ, რაც XX საუკუნის ბოლო მეოთხედში ახლად აღორძინებული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ძალისხმევით დაძლეულ იქნა, როგორც კომუნისტური იდეოლოგიისა და რუსული საბჭოური იმპერიალიზმის, ასევე შიდა წინააღმდეგობანი და ქვეყანა შეუდგა სამოცდაათწლიანი ტყვეობიდან თავდასხნისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის მძიმე, ეკლიან, მაგრამ შეუქცევად გზას.

1990 წლის 28 ოქტომბრის საყოველთაო – დემოკრატიულ (მრავალპარტიულ) არჩევნებში გამარჯვებით დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიულად განახლების ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში.

კანონიერად არჩეულმა ხელისუფლებამ

\* შემოკლებული ვარიანტი დაიბეჭდა გაზეთ „საერთო გაზეთში“, № 18, 25 მაისი, 2016 წ.

ისტორიის მიერ მისთვის გამოყოფილ უმცირეს ვადაში ყველა საერთაშორისო ნორმის დაცვით შეძლო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დაფიქსირება და მისი ყველა ფორმალური ასპექტით ორგანიზება. კონკრეტულად: ქვეყნის უმაღლესი ორგანოს „საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს“ მიერ დანიშნული, 1991 წლის 31 მარტის საერთო სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე (ხმათა 98%-ით), იმავე წლის 9 აპრილს (საბჭოთა იმპერიის მიერ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის წლისთავზე) საქართველოს უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის“ აქტი. სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ, ასევე სახალხო დემოკრატიული არჩევნების გზით, არჩეულ იქნა საქართველოს პირველი პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია. იმავე პერიოდში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ჩატარდა სასამართლო ორგანოების რეფორმა და ა. შ. ეს იყო ტრიუმფალური სვლა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ფორმირების გზაზე. ამ პროცესებში სრულად წარმოჩინდა ქართველი ხალხის ეროვნული ენერჯია, მისი მარადიული სწრაფვა თავისუფლებისა და თვითიდენტობისკენ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობისკენ. ქართველმა ხალხმა, საქართველოს საზოგადოებამ დაამტკიცა, რომ მზადაა დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად.

საბჭოთა იმპერიისთვის, ქართული საზოგადოების ეს ურყევი ნება აღმოჩნდა ის წითელი ხაზი, რომლის გადალახვისთვის ის მზად იყო აემოძრაებინა თავის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი, აემოქმედებინა თავისი მოკავშირე ყველა შავბნელი ძალა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, თვით შეიარაღებული ძალების ჩათვლით. ამ მიზეზებით 1991 წლის აგვისტოდან შენეულა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ტემპი.

1991-92 წლების მიჯნაზე საქართველოს წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. საქართველოს

პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შეფასებით, ეს იყო „პუტჩი და სამხედრო გადატრიალება“, მოწყობილი კომუნისტური „პარტოკრატისა და მაფიოზური სტრუქტურებისა, რევანში მოსკოვის იმპერიალისტური ძალების, საქართველოს კვლავ ხელში ჩასაგდებად“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის დადგენილებაში ის კვალიფიცირებულია სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებად.

კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის ათწლიანი ბრძოლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 აპრილის დადგენილებით, ის შეფასებული იქნა, როგორც კანონიერი ხელისუფლების დამსობა და სამოქალაქო კონფრონტაცია. შესაბამისად, აღიარეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასეული შეფასება, რომ ეს იყო მოსკოვის იმპერიალისტური ძალების მიერ მართული კომუნისტურ-ნომენკლატურული რევანში. ასე დაიწყო უდიდესი ტრაგიკული პერიოდი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომლის შედეგებსაც დღემდე იმკის ქართველი ერი, საქართველოს საზოგადოება და ალბათ კიდევ დიდი ხნით შეგვახსენებს თავს მისი ავბედითი გამოძახილი.

ნეოკომუნისტური რევანშის განხორციელებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დასავლეთი თვითონაც არ იყო გარკვეული, თუ რა გზით განვითარდებოდა სსრკ-ში დაწყებული პოლიტიკური პროცესები, განსაკუთრებით ეროვნული თვითგამორკვევის საკითხში, ამიტომ 1992 წლის 6 იანვრიდან დაწყებული სისხლიანმა რეპრესიებმა და კანონიერი ხელისუფლების მომხრე უმრავლესობის დაუნდობელმა დევნამ მასობრივი ხასიათი მიიღო. იხვრიტებოდა მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლები თბილისში და მთელი ქვეყნის მასშტაბით, ეწყობოდა სამხედრო ხუნტის სადამსჯელო ეგზეკუციები, განსაკუთრებით სამეგრელოში, რომელიც დიდი ენთუზიაზმით გააგრძელა ედ. შევარდნაძის სახელმწიფო საბჭომ. საბოლოო ჯამში, ექვსჯერ იქნა დარბეული სამეგრელო.

ამ მძიმე ჟამს, როცა აგონიაში მყოფი საბ-

ჭოთა იმპერია აშკარად და დაუფარავად ჩაერთო დამოუკიდებელი საქართველოს შიდა საქმეებში, ხოლო შემდეგ მისმა მემკვიდრე კრემლის რეჟიმმა შეიარაღებული გზით დამხობილი ხელისუფლების სრულ განადგურებასა და მის უკან იმპერიაში შებრუნებას მიყო ხელი, ხოლო რუსეთის მოთვინიერებითა და მისი „გადემოკრატიების“ ილუზიით შეპყრობილი დასავლეთი დანაშაულებრივად გაჩუმდა. ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა ისევ თავის თავზე აიღო ქართველმა ხალხმა, საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ, მისმა უზენაესმა საბჭომ და პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

ამ სამართლიან ბრძოლაში კანონიერი ხელისუფლება და ქართველი ხალხის უმრავლესობა პირისპირ შერჩა გავეშვებულ იმპერიას და ძალადობრივად დამკვიდრებულ იმპერიის მორჩილ პროკომუნისტურ-კრიმინალურ ხელისუფლებასა და მაფიოზ რევანშისტებს. ეს არ იყო რიგითი მოვლენა, როცა დამხობილი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის დასაცავად იწყება მოძრაობა საერთაშორისო არენაზე, რომლის მსგავსი მრავლად იცის ისტორიამ. ჩვენ შემთხვევაში დამხობილ ხელისუფლებას და პრეზიდენტს უყოყმანოდ გვერდში დაუდგა საკანონმდებლო ორგანო – უზენაესი საბჭო, მისი უმრავლესობა, გარდა ცალკეული უღირსებო ელემენტებისა, და არ მისცა საშუალება ნეოკომუნისტ რევანშისტებს ე. წ. არჩევნების „კანონიერად“ ჩატარების გზით ლეგიტიმაციის მოპოვებისა, რაც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გარდაუვლად ჩამოშლას გამოიწვევდა. ამდენად, დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერად არჩეულმა ხელისუფლებამ თავისი ოთხივე შტოთი საბოლოოდ ჩაფუშა საბჭოთა იმპერიის განზრახულობა საქართველოს უკან, სსრკ-ში შებრუნებისა. ეს იყო სამართლიანი და უკომპრომისო ბრძოლა რუსული იმპერიალიზმის გაკლენისგან თავდასაღწევად, ჩვენი დამოუკიდებლობისა და ღირსების“ (ზვიად გამსახურდია) დასაცავად.

ამდენად, კანონიერების აღდგენისთვის

მიმდინარე ეს მრავალწლიანი მოძრაობა იყო ლეგიტიმური ბრძოლა ნეოიმპერიული რევანშიზმის წინააღმდეგ საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული პრინციპების გასამყარებლად.

ეს დიდი სახალხო მოძრაობა, ქართველი ხალხისადმი პრეზიდენტის 1992 წლის თებერვლის მიმართვის შესაბამისად, მიმდინარეობდა ნახევრად ლეგიტიმურად. „ნაწილი უნდა გადავიდეს იატაკქვეშეთში, ხოლო ნაწილმა უნდა იმოქმედოს ღია, ლეგალური, მეტოდებით“ – ეს თავისებურება ამ მოძრაობას ბოლომდე თან დაჰყვა, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ამ ბრძოლაში, თავისი სტატუსის შესაბამისად, აქტიურად ჩაერთნენ პრეზიდენტის ერთგული გვარდიული ჯგუფები. ამდენად, ის მრავალსახოვან, რთულ მოძრაობად იქცა.

ხუნტისა და მისი მემკვიდრე სახელმწიფო საბჭოს მიერ გაჩაღებული არნახული ტერორისა და დაუნდობელი, ადვირახსნილი რეპრესიების პროცესში მხოლოდ პრეზიდენტის უდიდესმა პუმანურმა ალლომ და შესაბამისმა სტრატეგიამ – „ჩვენ ყვავილები ვვსროლოთ“ - იხსნა ქვეყანა ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომისგან. მაშინ იმპერიამ ტაქტიკა შეცვალა, წინასწარდაგეგმილი სცენარით იქნა პროვოცირებული ომები აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რომელთა თავიდან აცილებისთვის მთელი თავისი შესაძლებლობებით იბრძოდა კანონიერი ხელისუფლება და მისი მომხრე ძალები. ამაზე მეტყველებენ პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს მიმართვები, პერმანენტული მიტინგები სოხუმში, აფხაზეთის ინტელიგენციის დიდი ნაწილის მოწოდებები თუ ცალკეული საგაზეთო სტატიები და ა. შ., რომელთა შინაარსი ასე შეიძლება იქნეს ფორმულირებული: „თუკი სამეგრელოში მიმდინარე სისხლიანი პროცესები (რეპრესიები) გადმოინაცვლებს აფხაზეთში და აქ თუნდაც ერთი ტყვია გავარდება, მაშინ ფართომასშტაბიანი ომი გარდაუვალი იქნება და აფხაზეთს სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც დავკარგავთ“.

სამწუხაროდ, ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ყურად არ იღო ხალხიდან წამოსული

ეს გაფრთხილებანი და არაფერი იღონა ომის პრევენციისთვის. პირიქით, არჩევნების ჩატარების ინსტრუქციის გზით ლეგიტიმაციის მოპოვების იდეით შეპყრობილი ედ. შვეარდნაძის მარიონეტული მთავრობა წამოეგო რუსული პროვოკაციის ანკეს და თვითონ მისცა საბაბი ომის გაჩაღებისთვის, რითაც არა მარტო პოსტსაბჭოურ სივრცეში, არამედ, საერთოდაც, ჯერაც წელმოშობაზე დამოუკიდებელი ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო და პირისპირ შეატოვა რუსულ იმპერიას, ამიტომ ამ „ომის“ საბოლოო შედეგი წინასწარ იყო ცნობილი, რომ ის დასრულდებოდა საქართველოს სამხედრო კრახით და რუსეთის მიერ ამ ე. წ. ავტონომიების დაუფლებით. მიუხედავად ამისა, კანონიერი ხელისუფლების მომხრე ძალების მოქმედების ეპიცენტრში – აფხაზეთში, ფაქტობრივად, რუსული იმპერიული ძალების მიერ ომის გაჩაღებამ, ხალხი, რომელიც ინტუიციურად გრძნობდა კარსმომდგარ ამ დიდ უბედურებას, იძულებული გახადა ამა თუ იმ ფორმით ჩართულიყო ამ ბინძურ ომში. ასე გადაენასკვა ერთმანეთს ეს ორი ურთიერთგანპირობებული პროცესი. დღეს უკვე არავისში იწვევს ეჭვს სახელმწიფო გადატრიალება, რომ არ მომხდარიყო, ახლად დაშლილი სსრკ-ს მემკვიდრე რუსული იმპერია, თვითონაც ძალზე დასუსტებული, ასე მოკლე ვადაში მაინც ვერ გაბედავდა ყოფილ ავტონომიებში აშკარა ომის გაჩაღებას, რადგან მაშინ ის დაიპირისპირებდა მთელ საერთაშორისო საზოგადოებას. მეორე მხრივ, სახელმწიფო გადატრიალებამ და შიდა კონფრონტაციამ, ფაქტობრივი ხელისუფლების სურვილმა, მოეპოვებინა ლეგიტიმაცია, როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთს მისცა საშუალება ისინი ჩაეთრია ძმათამკვლელი ომის გაჩაღებაში.

ამ ე. წ. ომის შედეგად მივიღეთ ეთნოგენოციდი და ნახევარ მილიონამდე დევნილ-ტოლვილი; დაკარგული ტერიტორიები; ძირფესვიანად გაპარტახებული ქვეყანა, სრულიად მოქცეული კრიმინალ-მაფიოზების ხელში; დსთ-ს სახით ნეოიმპერიაში შებრუნებული და დაშლილი საქართველო.

უდიდესი დარტყმა მიიღო ქვეყნის ერთადერთმა ლეგიტიმურმა ძალამ – კანონიერმა ხელისუფლებამ. ედ. შვეარდნაძის კრიმინალური რეჟიმის კიდევ ერთი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაიწყო რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენებით საერთაშორისო ხალხის წინააღმდეგ სისხლიანი ანგარიშსწორება, რასაც შეეწირა საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიცოცხლე. ეს იყო უდიდესი ტრაგედია ქართველი ერის ისტორიაში. რა თქმა უნდა, ამან თავისი დადი დაასვა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის მიმდინარე ბრძოლას. ერთი იყო ზვიად გამსახურდიას ირგვლივ კონსოლიდირებული ლეგიტიმური ხელისუფლებისა და მისი მომხრე ძალების ბრძოლა ძალადობრივად მოსული ნეოკომუნისტურ-კრიმინალური რეჟიმის წინააღმდეგ და სულ სხვა, მის გარეშე, მით უმეტეს, ძირუღლად შეიცვალა ვითარება აფხაზეთის „ომში“ დამარცხებისა და მისი რუსეთის მიერ ფაქტობრივი ოკუპირების შემდეგ.

\* \* \*

ნათელი გახდა, რომ შვეარდნაძის ნეოკომუნისტურ-კრიმინალური გარემოცვის მიზანი იყო მხოლოდ ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ხელში ჩაგდება, მისი გადანაწილება, ჩრდილოვანი ეკონომიკის აყვავება. შეიქმნა შვეარდნაძის ნათესაურ-კლანურ-ოლიგარქიული კასტა, რომელიც ყოველგვარი დემოკრატიული რეფორმების გარეშე მართავდა ქვეყანას. შეფერხდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის განვითარების არა მარტო დემოკრატიული, არამედ ბუნებრივ-საზოგადოებრივი პროცესებიც.

მიუხედავად ხელისუფლების პერმანენტული რეპრესიებისა, ვერ შეძლეს მათ მიერვე „ზვიადისტებად“ წოდებული კანონიერი ხელისუფლების მომხრე ძალების განადგურება, მათი სოციალურ მარგინალებად გადაქცევა. პირიქით, სულ უფრო გამწვავდა შიდასახელისუფლებო წინააღმდეგობა. სულ უფრო აშკარად იკვეთებოდა კრიმინალური ხელისუფლების ტრაგიფარსული სახე. საქართველოს მტრის – რუსული იმპერიის წინაშე მიწაზე გართხმული, მძარცველი, უავტორიტეტო,

მოღალატური და უღირსებო რეჟიმი, ისედაც ნახევრადლეგიტიმური (რადგან საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებდნენ), მხოლოდ არჩევნების გაყალბებით, მოსყიდვით, ძალადობით იხანგრძლივებდა თავის არსებობას. ქვეყანა გადაულახავი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, თუ ასე გაგრძელდებოდა, დსთ-ში შესული მყიფე სახელმწიფოებრიობის მატარებელი ქვეყანა, რომელსაც **ყველა ძალოვან მინისტრს კრემლი უნიშნავდა**, საბოლოოდ დაკარგავდა დამოუკიდებლობას.

ასეთ მძიმე პირობებში ისევ ხალხიდან, **კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მომხრე ძალებიდან წამოვიდა ინიციატივა ეროვნული თანხმობისა**, მაგრამ შევარდნაძის რეჟიმი მიზანმიმართულად ინარჩუნებდა ეროვნული უთანხმოების სიტუაციას, როგორც საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნების ბერკეტს. ამ მიზნით ის ხან ამწვავებდა, ხან ანელებდა დაპირისპირებას. ამდენად, ჯიხაშკარის პროცესამდე კარგა ხნით ადრე დაწყებული ეროვნული თანხმობის პროცესი შეგნებულად მუხრუჭდებოდა ხელისუფლების მიერ. მან „ეროვნული თანხმობის“ საზოგადოებრივ არსს დაუპირისპირა „შერიგებისა“ და „შემორიგების“ უპერსპექტივო პიროვნულ-ადამიანურ ურთიერთობათა მოგვარების ყალბი პათოსი. ეს მას სჭირდებოდა აფეთქების ზღვრამდემისულ სახალხო მღელვარებაში განხეთქილების შესატანად. ამიტომაც ის ხელს უშლიდა დიალოგის პროცესს და ოპოზიციურ ძალებს იერარქიულობის პოზიციიდან ელაპარაკებოდა. ის ამ მიზნით არ ერიდებოდა სისხლიან პროვოკაციებსაც. მაშინ, როცა საყოველთაოდ გაშლილი ეროვნული თანხმობის პროცესმა აპოგეას მიაღწია „დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს“, „ეროვნული თანხმობის დარბაზის“ და სხვა მრავალი ადგილობრივი ინიციატივის სახით, ხელისუფლებამ აფხაზეთის ქართველობის ჯერაც მოუშუშებელ იარაგს ახალი, ახლა უკვე თითქმის სასიკვდილო დარტყმა მიაყენა. 1998 წელს გაღში წამოიწყო შეიარაღებული ავანტიურა და რაიონი, რომელიც ასე თუ ისე ფეხზე იდგა, სადაც უნდა მომძლავრებული-

ყო ქართული მოსახლეობა და გამხდარიყო დანარჩენ აფხაზეთთან ურთიერთობის აღდგენის პლაცდარმი, რუსულ და სეპარატისტულ ძალებს მიწასთან გაასწორებინა. გადაწვეს ათასობით სახლ-კარი, ხელახლა გამორეკეს სანახევროდ უკან მიბრუნებული მოსახლეობა. იყო ადამიანთა მსხვერპლი. ეს მაშინ, როცა ეროვნული თანხმობის მზარდი პროცესის განვითარების შემთხვევაში მისი გადატანა თავისუფლად შეიძლებოდა აფხაზეთში. იმდროინდელ რუსეთში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით და საერთაშორისო ძალების მხარდაჭერით შესაძლებელი იყო ხელშესახები წარმატების მიღწევა ამ მიმართულებითაც. **ეს იყო აფხაზეთში ომის გაჩაღების ტოლ-სწორი დანაშაული**, რომელიც ხელისუფლებამ ჩაიდინა ეროვნული თანხმობის მზარდი პროცესების გასანეიტრალებლად და ხალხის ყურადღების სხვა, მისთვის სასურველი მიმართულებით წარსამართავად. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, თანხმობის პროცესები შენეულა. ხელისუფლება ზეიმობდა თავისი უბადრუკი მმართველობის გახანგრძლივებას. ის ცდილობდა ამ სისხლიანი ავანტიურის ფონზე ახალი არჩევნების მიფუჩქებას. მაგრამ სინამდვილეში საკუთარ საფლავს ითხრიდა.

ამ მიზეზებმა საბოლოოდ ჩააქნვეინეს ხელი დასავლეთს საქართველოს ხელისუფლებაზე, ედ. შევარდნაძის დემოკრატიულობაზე, რომელიც მერამდენედ იცვლიდა მაისურს. აშკარა გახდა, რომ ქართველ ხალხს არ ჰყავდა შევარდნაძის მარიონეტულ რეჟიმზე უფრო სახიფათო მტერი. არ შეიძლებოდა ამას არ მოჰყოლოდა სათანადო რეაქცია. ახლა უკვე არენაზე გამოდიან არა მარტო კანონიერი ხელისუფლების მომხრე ძალები ან ეროვნული თანხმობის პროცესების მონაწილე ჯგუფები და ორგანიზაციები, არამედ **ის იღებს საყოველთაო სახალხო ფორმას. პერმანენტულად იმართებოდა საპროტესტო აქციები, ხალხმრავალი მიტინგები, მანიფესტაციები, რომელთაც ენაცვლებოდა სამხედრო გამოსვლები. ძალაუფლება ქუჩაში ეგდო, საქმე ის იყო, თუ ვინ გამოიჩინდა მეტ ორგანიზებულობას, მოქნილობას და შეძლებდა**

**არა მარტო შიდა რევოლუციური ძალების მობილიზებას, არამედ მიიქცევდა საერთაშორისო დემოკრატიული ძალების ყურადღებას და დაიმსახურებდა მათს ნდობას.**

ფაქტი იყო, ძალადობრივად ხელისუფლებაში მოსული რეჟიმის წინააღმდეგ 12-წლიან პერმანენტულ ბრძოლაში, რეპრესიებით, დევნით, ემიგრაციით და შეიარაღებულ ბრძოლებში დაღლილ-დაქანცულ ლეგიტიმური ხელისუფლების მომხრე ძალებს, რომლებმაც დიდწილად შეამზადეს ეს რევოლუციური სიტუაცია, არ შესწევდათ ძალა ძალაუფლების ხელში აღებისა და სახელმწიფო ხელისუფლების სრული ლეგიტიმურობის აღდგენისა. მათ მტრობდა არა მარტო ფაქტობრივი ხელისუფლება, არამედ მას თავიანთ დაუძინებელ მტრად მიიჩნევდა რუსეთის იმპერია, ხოლო დასავლური სამყარო, თავისი ძველი შეცდომების ტყვეობაში მყოფი, მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვის პოზიციებიდან თუ შეაშველებდა ხელს. ის მასზე „სტაკას“ არ გააკეთებდა, მით უმეტეს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვერაგული მკვლელობის შემდეგ. ამიტომ ისტორიული კანონზომიერება იყო, რომ **არენაზე გამოჩნდნენ ახალგაზრდა ანტიიმპერიული და პროდასავლური ძალები, რომლებიც, მართალია, ნახევრადლეგიტიმური, მაგრამ მაინც არჩევნების გზით ცდილობდნენ ხელისუფლებაში მოსვლას.**

2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების მორიგი გაყალბების შემდეგ მათაც ირწმუნეს, რომ უპასუხისმგებლო, თავისი ბუნებით მოძალადე ხელისუფლება ამ ე. წ. არჩევნებით ძალაუფლებას არ შეელებოდა. ხელისუფლების დათმობა მას თვითმკვლელობად მიაჩნდა, რადგანაც კარგად უწყოდა ქართველი ხალხის, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მის მიერ ჩადენილი დანაშაულებების სიმძიმე. ასეთ ვითარებაში აშკარა გახდა რევოლუციური სიტუაციის სახალხო რევოლუციაში გადაზრდის გარდუვალობა, რადგან აშკარად გადაენასკვა ერთმანეთს სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოებრივი ფენისა და ორგანიზაციის ინტერესები. ამ ეტაპზე „თავისუფლების მოედანზე ეროვნული თანხმობის

პრობლემა თავად ხალხმა გადაწყვიტა“ (გ. გაჩეჩილაძე). შედგა თანხმობა შევარდნაძის ნახევრადლეგიტიმური, ნეოკომუნისტურ-კრიმინალური რეჟიმის სახალხო რევოლუციის გზით ხელისუფლებიდან ჩამოშორების თაობაზე, რაც აღსრულდა კიდევაც 2003 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, ე. წ. ვარდების რევოლუციით. ასე დასრულდა 1991-92 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გზით დამყარებული ნეოკომუნისტურ-მოდალატური ხელისუფლების არსებობა.

მიუხედავად კანონიერი ხელისუფლების თავდადებული, პერმანენტული წინააღმდეგობისა, რეჟიმმა ამ 12 წლის განმავლობაში იმდენი ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩადენა მოასწრო, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა თითქმის სრულად მოიშალა, დაიკარგა ტერიტორიები, მიიტაცეს ან გაანადგურეს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონეზე ძალაუფლება ხელში ჰქონდათ პროიმპერიულ კრიმინალ-მაფიოზებს და ა. შ. ამიტომ ამ დანაშაულთა შედეგების გასწორებას დიდი დრო დასჭირდება, თუკი საერთოდ მოხერხდება.

\*\*\*

ასეთია დამოუკიდებელი საქართველოს 25-წლიანი პერიოდის პირველი ნახევრის ისტორიის ზოგადი კონტურები. ესაა იმპერიული ტყვეობისგან თავდახსნისთვის მებრძოლი ერის ისტორიის ის ეტაპი, რომელიც ორ პარალელურ ხაზად მიემართებოდა და, როგორც დადებითი და უარყოფითი მუხტები, ერთმანეთს განიზიდავდნენ მანამ, სანამ მოხდებოდა სახალხო აფეთქება და რევოლუციური ტალღები არ წალეკავდნენ ძალადობრივად დამკვიდრებულ ანტიხალხურ რეჟიმს. ამის იქით დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია მეტ-ნაკლებად ერთიანი ხაზით მიმდინარეობს და ის ემთხვევა საკუთრივ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის განვითარების რთულ პროცესებს. რადგანაც ისტორიულად ცნობილია, რომ რევოლუციის გზით დამკვიდრებული ხელისუფლება, რანაირი დემოკრატიული გარდაქმნების

გატარებასაც არ მიეღწეოდა, გარკვეული დროით, რაღაც ეტაპზე უცილობლად უნდა ჩამოყალიბდეს მკაცრ სახელმწიფოებრივ რეჟიმად. სხვა საკითხია, რამდენად შეეძლო და შეძლო „ვარდების რევოლუციით“ მოსულ რეჟიმს ანტისახელმწიფოებრივ-კრიმინალური რეჟიმის დანაშაულებების გამოსწორება; მოშლილი სახელმწიფოებრიობის რაღაც დონით რეანიმაცია; რევოლუციურ მუხტზე გაერთიანებული საზოგადოების ერთიანობის შენარჩუნება და 1991-92 წლების გადატრიალების შედეგად დარღვეული დამოუკიდებელი სოციალ-პოლიტიკური განვითარების მიმდინარეობის სამართლიან და სწორ კალაპოტში ჩაყენება; ამ ახალი ერთიანობის შენარჩუნების სათუთი პროცესის სწორად წარმართვა და ამ გზით ძველი რეჟიმის ადეპტი კონტრრევოლუციური ძალების განეიტრალება; რევოლუციური გარდაქმნებისთვის დამახასიათებელი გარდაუვალი შეცდომების უკიდურესობამდე შეზღუდვა და საზოგადოებისთვის ჯერაც გაუცნობიერებელი და მტკივნეული ნახტომისებური პროცესების შენელება ანდა რაღაც დროით სულაც უკან დახევა და ხალხისთვის სულის მოთქმის საშუალების მიცემა; საერთაშორისო სარბიელზე საკუთარი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, დემოკრატიული ღირებულებების შესაფერისი პოზიციების დაფიქსირება და ა.შ. მაგრამ ეს სულ სხვა პრობლემაა, ეს სულ სხვა ისტორიაა!

\* \* \*

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ის თორმეტწლიანი ისტორია, როცა ახლადფეხადგმული დამოუკიდებელი ქვეყნის განვითარების მდინარეა ჩაიხერგა და გადაულახავი წინააღმდეგობა შეექმნა ქართულ სახელმწიფოებრიობას, როცა, ერთი მხრივ, ხალხისთვის ძალადობრივად, შეიარაღებული პუტჩის გზით თავსმობეველი რეჟიმი ქმნიდა თავის შავბნელ ისტორიას დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელით. ეს იყო არალეგიტიმური ხელისუფლების ფაქტობრივი ისტორია, რომლის ამსახველი მასალებიც წესისამებრ ალბათ შემოინახა სახელმწიფო საარქივო

თუ სხვა უწყებებმა; მეორე მხრივ, ამ თორმეტი წლის განმავლობაში, ამ ფაქტობრივი ხელისუფლების პარალელურად არსებობდა კანონიერი ხელისუფლება და ნახევრად არალეგალურ პირობებში აწარმოებდა თავის ლეგიტიმურ საქმიანობას. ეს იყო ნამდვილი სახალხო მოძრაობა, იქ იქმნებოდა დამოუკიდებლობისა და კანონიერების აღდგენისთვის მებრძოლი ქართველი ხალხის რეალური ისტორია.

ამდენად, თუკი ფაქტობრივი, მაგრამ არალეგიტიმური ხელისუფლების, საქმიანობის მომცველი მასალების (თუნდაც გამოსწორებული და შელამაზებული) დამცველად გამოდის სახელმწიფო, სულ სხვა, სავალალო ვითარებაა ლეგიტიმური ხელისუფლების ლეგიტიმური საქმიანობის (ნამდვილად სახალხო ისტორიის) მომცველი მასალების მოძიებისა და მათი სათანადოდ დამუშავების თვალსაზრისით. ასეთ პირობებში, დამოუკიდებელი საქართველოს, ამ ურთულესი პერიოდის ტრაგიკული ისტორიის „გაგება და სისწორით წარმოდგენა ადვილი საქმე არ არის“ (ივანე ჯავახიშვილი), მით უმეტეს, როცა დღესაც მრავლადაა ფაქტობრივი ხელისუფლების ანტიხალხური საქმიანობის შელამაზების, „ნამდვილი ისტორიის“ გაყალბების მოსურნე ძალები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. ასეთ შემთხვევაში, ივ. ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, ხშირად მიმდინარეობს, ერთი მხრივ, უგემოდ წარმოებული კვლევა-ძიება, მეორე მხრივ, მიმბაძველობა და სუბიექტურ რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი. პირველი თავის უსისტემობისა და ცალმხრივობის გამო „არც გულსა და არც გონებას არას ეუბნება“; მეორე კი, თუმცა შესაძლოა „თავისი აღნაგობით და გარკვეულობით“ გამოუცდელი მკითხველი მოხიბლოს, მაგრამ მავნებელია, რამდენადაც წარსულის ხორცშესხმული სურათის ნაცვლად რეალურ შინაარსს მოკლებული სქემა წარმოდგენილი.

ამდენად არის საშიშროება სწორედ ასეთი „არსებითად უგემოდ, შემთხვევით ხასიათის ისტორია“ შეგერჩეს ხელში, თუ დროულად არ მივიღეთ ზომები და საქართველოს და-

მოუკიდებლობისთვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ისტორიებიდან, მართლაცდა გამორჩეულად ტრაგიკულ პერიოდს ჩვენი უახლესი ისტორიისას სათანადო ყურადღება არ მიექცა და მასზე თავისი პასუხისმგებლობა არ აიღო, ერთი მხრივ, საზოგადოებამ, მეორემხრივ – სახელმწიფომ და არ დაიწყო ლეგიტიმური ხელისუფლების ეგიდით მიმდინარე ამ ჭეშმარიტად სახალხო მოძრაობის საქმიანობის მომცველი ფაქტების, დოკუმენტური მასალების, სამუზეუმო ექსპონატების, ეთნოგრაფიული თუ ხალხურ-შემოქმედებითი მასალების მოძიება და მათი სათანადოდ დამუშავება და შენახვა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია ნახევრად ლეგიტიმურ პირობებში გამომავალი ხელთნაბეჭდი მასალების, ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა საგამომცემლო მასალების შეგროვება და სისტემატიზება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. სპეციალური შესწავლის საკითხი უნდა გახდეს ის ვიდეო და აუდიომასალები, რომლებიც მიმობნეულია მთელი სამყაროს მასშტაბით. თამამად შეიძლება ითქვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ილია იტყოდა, ჩვენ მივიღებთ მეტად ბნელ და შეუქმნავებელ ისტორიას, რომელშიც სულ არ იქნება ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ ან, თუ იქნა, კანტიკუნტად, ისიც ძალზე საეჭვო.

თუკი „ჩვენი კულტურის სწორუპოვარი ბეჭადი და ხელმძღვანელი“ (ი. ჯ.) იმაზე დარდობდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია დაყენებული, ჩვენ ამ საშური და გადაუდებელი ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში აღმოვჩნდებით კატასტროფის წინაშე, მივიღებთ არა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქართველი ხალხის, საქართველოს საზოგადოების ისტორიას, არამედ სამოქალაქო დაპირისპირების გამწვანებელი, ტერიტორიების 25%-ის დამკარგავი ნეოკომუნისტური, კრიმინალურ-მაფიოზური ძალების შეღამაზებულ და „გასწორებულ“ ისტორიას, რომელსაც მშვენივრად გამოიყუ-

ნებენ პროიმპერიულ-სეპარატისტული თუ სხვა რჯულის ანტიქართული ძალები და ამ ყაღბი ისტორიის ფონზე დე-იურედაც დაეპატრონებიან ამ ოკუპირებულ ტერიტორიებს. მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები და კანონქვემდებარე აქტები, 12-წლიანი ბრძოლის მასალები მოიცავენ იმ წყალგაუვალ ფაქტებს, რომლის გვერდის ავლა ვერც კონსტიტუციური და ვერც საერთაშორისო ნორმების თვალსაზრისით არ ძალუძთ იმპერიას და მის ემისრებს.

ამდენად, ამ 12-წლიანი ლეგიტიმური ბრძოლის სრულფასოვანი შესწავლა ყველა არსებული მასალის ანალიზის საფუძველზე, არა მარტო ისტორიული სამართლიანობის დადგენის თვალსაზრისითაა აუცილებელი, არამედ ის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა ყოფილ ავტონომიებთან ურთიერთობის დასადაგებლად, რაც წინაპირობა იქნებოდა სახელმწიფო ერთიანობის აღდგენისათვის. მაშასადამე, რუსული იმპერიალიზმისგან საბოლოოდ თავდაღწევისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის უმძიმესი ისტორია „კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეთ“. ეს საჭიროა ჩვენი მომავლისთვის, ილიასეული „საერთო ნიდაგის“ თეორიის ამოქმედებისთვის, დასავლური ცივილიზაციის საფუძველზე ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის აშენებისთვის.

მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, „ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ადვილი საქმე არ არის,“ მით უმეტეს, ისეთი პერიოდისა, როცა საქმე გაქვს დევნილობაში მყოფი კანონიერი ხელისუფლების საქმიანობასთან, ნახევრად ლეგალურ პირობებში მიმდინარე ბრძოლასთან, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნის **ორ პარალელურ ისტორიასთან**.

ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფარგლებში წამოწყებულ იქნეს ამ ძალზე საშური და საქვეყნო საქმის განხორციელებისკენ მიმართული საქმიანობა, ვინაიდან ყოველი დღე და საათი ანადგურებს და სპობს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის-



თვის ეგზომ მნიშვნელოვან ფაქტებსა და საარქივო მასალებს. სულ უფრო თხელდება ამ ისტორიის შემოქმედთა რიგები, რომელთა ხელში იმყოფებოდა ამ პერიოდის ჩვენი ისტორიის ფასდაუდებელი დოკუმენტები. ბევრი უღირსებო ადამიანი ხელოვნურად ანადგურებს მათ, ბევრი კიდევ ამ საქვეყნო მნიშვნელობის საქმეში ჩაუხედაობით, თავისი ინდიფერენტულობით არაფერს აკეთებს მათ დასაცავად. ამასთან არ ჩანს არანაირი ინიციატივა არც საზოგადოების და არც შესაბამისი დარგის მკვლევართა მხრიდან. ივ. ჯავახიშვილი წერს ჩვენი ძველი ისტორიის შესწავლის თაობაზე: დასადგენია თუ რაა უპირველესად გასაკეთებელი და შესასწავლი, როგორი თანდათანობითა და რა საშუალებით უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უამრავი მასალა განხილული. დიდი მეცნიერის ეს მითითება სრულად შეესაბამება ჩვენ მიერ აქ დასმულ პრობლემას. სწორედ რომ, აუცილებელია უპირველესად განისაზღვროს, რაა გასაკეთებელი. სისტემაშია მოსაყვანი და გასაანალიზებელი მთელ დუნიაზე მიმოფანტული უამრავი მასალა, ამოსაწევი და შესასწავლია ფართო საზოგადოებისთვის ან სრულიადაც ყველასათვის დღემდე უცნობი ფაქტები და შესაბამისი მასალები და ა.შ.

\*\*\*

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებული სახელმწიფო ღონისძიებების ფარგლებში უნდა დაიწყოს ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. უპირანი იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის, საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებების და 2004 წლის ეროვნული თანხმობის დეკლარაციის საფუძველზე, შეიარაღებულ სამხედრო გადატრიალებად და კანონიერი ხელისუფლების დამხობად შეფასებული, **სამოქალაქო კონფრონტაციის 12-წლიან პერიოდში კანონიერი ხელისუფლებისა და მისი მხარ-**

**დამჭერი ძალების საქმიანობის ამსახველი ისტორიული და საარქივო-სამუზეუმო მასალათა შემგროვებელი და დამდგენი შერეული სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.**

პირველ ეტაპზე აუცილებელია ჩამოყალიბდეს აფხაზეთ-სამეგრელოს საზოგადოება, ცენტრით ზუგდიდში, როგორც კანონიერი ხელისუფლების მომხრე ძალების მოქმედების ცენტრში, რაც ასევე მნიშვნელოვანია აფხაზეთთან მისი ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე, თუმცა უმთავრესი მაინც ისაა, რომ სწორედ ამ რეგიონშია თავმოყრილი კანონიერი ხელისუფლების ეგიდით მოქმედი ნახევრად ლეგალური და იატაკქვეშა პოლიტიკური პარტიულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯგუფების, მრგვალი მაგიდის ადგილობრივი ორგანიზაციების, დაუმორჩილებლობის კომიტეტის, სახალხო კრებებისა თუ პერმანენტული მიტინგების მიერ მიღებული დოკუმენტები; აქვეა თავმოყრილი ნახევრად ლეგალურ პირობებში გამოძვალ პურნალ-გაზეთები თუ სხვა საგამომცემლო პროდუქციის უდიდესი ნაწილიც, რაც უეჭველია უმოწყალოდ ნადგურდება. მათ გარეშე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პერიოდის ისტორია ვერ დაიწერება. მათი გადარჩენა კი შესაძლებელს გახდის, როგორც ჩვენთვის, ასევე მომავალი თაობებისთვის შემუშავებულ იქნეს ამ ახლო წარსულის „მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი“ ისტორია. **წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ცილისმწამებლურ, ანტიეროვნული, პრომიპერიული პროპაგანდით გაჯერებულ, როგორც დიდი ილია აფასებდა „მეტად ბნელ“ ისტორიას.**

ამდენად, მართალია დიდი სისხლის ფასად, უზომო დანაკარგებით, მაგრამ მაინც, ჩვენ გადავარჩინეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ახლა კი, უნდა გადავარჩინოთ მისი ჭეშმარიტი ისტორია!

25-31. 03. 2016 წელი  
თბილისი

**ცისანა კვერნაძე-მიქაძე**

**ვარ მადლობელი!**

**(ბამონმაშრეპა ზაურ მოლაშხიას  
ერთობიერებაზე)**

ბატონო ზაურ, წიგნი რომ ავიღე ხელში, თვალი გადავკარ და... თითქოს არ ველოდი, მე აღმოვჩნდი უზარმაზარი შემოქმედების წინაშე. კკითხულობდი და მეხსენებოდა მთლიანი გზა თქვენი შემოქმედებისა და მიწადცხოვრებისა. მხოლოდ პოეტი შეიგრძნობ-შეიმეცნებს მეორის ფიქრთა, განცდათა მიმოხრას. ის გაიგონებს გმინვას საამ-და-საიმსოფლიო მიზეზთა და მიზეზთა გამო, და თუ ალალია, ბოლომდე აღიარებს მას..

მიმოვდიოდი ამ დეითთ განათებულ პოეტურ საუფლოში და წინ მშვენიერება მეგებებოდა – წინა ხაზზე, ყველგან თქვენ მიერ შექმნილი კოსმოსის „შესაქმეს გვირგვინი“ – ადამიანი იდგა, სიყვარულით თუ სიბრალულით ნაქანდაკები.

წლიდ-დიდ პოეტ-ყარიბთაც გასცვეთიათ ლექსით-სიტყვა. გასცვეთიათ წუთისოფლის აღმართ-დაღმართებზე თუ საკუთარ შინამოში ხეტიალით ხამლი. როცა თავს იტყვდღიურ პურზე საზრუნავით შეჭირვებული, უცებ აღმოაჩენ, რა უეცრად გამდიდრებულხარ, როცა ასეთ კაც-პოეტს იძენ („მდიდარში“ ჩემს თავს ვგულისხმობ). გოეთეს უთქვამს, პოეზია ის არის, რაც პროზად ტრანსფორმირების შემდეგ რჩებაო. მომიტევენ ვაიმარელი ბრძენი, თუ ვიტყვი: სწორედ რომ პირუკუ! პოეზია ის არის, რაც პროზად არასგზით არ „ითარგმნება“. მიდი, და, თუ ბიჭი ხარ, სულ უბრალო, ჩვეულებრივი სიტყვა ზუსტად თითო ცნებით თარგმნე – „შემოგვეღე“ „დაჟამკარება“ „თავისუფალი“ და ა. შ. ახლა ფრაზები?! „მთამ შემოიდნო

ჭაღარა“ „ცის სხივები მიწამ ამოდ მოწველა“, თუნდაც ვაჟას „ვარსკვლავთ ჟიკჟიკი“ და ვინ დაითვლის ზღვაში ქვიშას?!

პირველ ლექსსა – პირველ სიტყვასა მოვიდეთ! როგორც მუხა ნაფოტში, ისე იცნობა პოეზიის ღრმა წიაღში მორკალული პოეტი „ემბრიონი“.

სიტყაბუკე – ჟამი ძიების! ბოლო არ უჩანს სიცოცხლეს! „გული ღიმილს ითხოვს“, ჟამი, როცა, თუ შენში პოეტი თვლემს, ყველაფერი გადგება ენაზე: „მივდივარ გზაზე, ლექსებს ესაუბრობ და როგორც შეშლილს მაკვირდებიან“. გინდა, მთელი სამყარო ჩაიკრა გულში, როგორც მეტრფემ – მონატრებული სატრფო. დრო დუდილის, ქუხილის, ნუ დაარქვამ სარქველს, თორემ ქვევრი კედლებს გამოხეთქს! ენუ მოაბამ საბელს, თორემ გაწყვეტს მკვიდრად ნაჭედ ჯაჭვსაც, „რადგან თავაწყვეტილი გაქროლება“ სწადია, რადგან მარადი ზეცა ვარდისფერით მოქსოვილა! იქვეა: გარდასულ ადამიანთა სიყვარული. მათ წინაშე თავდადრეკა გვმართებს, რომელნიც თავის დროში ქვეყნის ხვალეებს ქვამყარ სვეტებად შეჰყუდებიან.

გულშივე ერთიანდება ორთავ საქართველო – მიწისა და ზეცისა („ქიანა“). იბადება პირველი პროტესტი სიკვდილის გამო, რომელმაც მამა-საყრდენი გამოგაცალა! და... ყმაწვილკაცობაშივ იწყება სჯანი მარადიულ თავსატეხზე – სიკვდილ-სიცოცხლის ორთაბრძოლაზე. მაშ, რისთვის გაჩნდა, თუ უნდა მოკვდეს... იბადება სამოთხის მონატრება! ემაგრამ დახეთ, სიკვდილს მიწაზე რამოდენა საქმე ჰქონია („შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე შევნობს შენითა“. ვაჟა!)

უპირველეს ყოვლისა, იგი უკვდავებისკენ გაჭრილი გზაა. ის გმირთა, კაი ყმების დამბადია, შავლეგების, მითების, ლეგენდების შთაგონებაა, და, ბოლოს და ბოლოს, მაღალი პოეზიის ერთი ძალუმი მუხტია –

**„ჩემშიც შემოვა დროის სუსხები...  
ვიცი, სისრულით ასე თვითრჯული,  
ბოლოს სირუმით მოვინუსხები“.**

უნდა ტალანტი ამრავლო, უჯიათი შრომა გასწიო, რათა „ხმელი ფოთოლივით არ დაგივიწყო“.

რამდენი დიდი მწერალი აუტანია სამშობლოს სიყვარულის ჟრუანტელს! რამდენი შერკინებია ამ ღმერთივით უძლეველ მეტოქეს... მაგრამ მხოლოდ იშვიათებს მიმადლებია, ეთქვა ამ მხრივ სულისშემძვრელი რამ და ეს, უწინარეს ყოვლისა, ქართველი ხალხის გენია იყო „შაი ოდი, შამორირა შაირა“... ამ სულისშემძვრელი რამის ქმნალობის ნიჭიც მას ხელეწიფა, ვინც იმ ხალხის გენიის ბილიკებითა და ძნელად ფეხმოსაჭიდი გზაწერილით იარა. ვიდოდა იგი „შხელდასა და უშგულს“ თუ „ტკბილ სამეგრელოში“, ყველგან „დაუღლელი მზე“ უნათებდა სავალს. „ამიტომ უკვდავებაც არ უნდოდა (არ უნდა) სხვაგან“. შენც ჭაბუკი ბრძენკაცივით აქადაგდები: „მარადიულს ჰგავხარ გოლგოთას“. პოეზია ხომ მართლაც გოლგოთაა, მაგრამ ჭეშმარიტი ქართველი პოეტისთვის თმის ძირებამდეა შეცნობილ-შეგრძნობილი ამ „გოლგოთის საკუთარი მისტერია“. სიჭაბუკეშივე იჭედება ურყევი კრედი: ღმერთი, სამშობლო, პოეზია! ცხოვრებაგამოვლილი კაცივით აღმოგხდება: „ქვეყანა ბნელი საწყრობილეა“, როცა გამოუთქმელ უსამართლობას შეეხლები... მერე კი: ტანჯვა სამშობლოს დასაზღვრულ სივრცესაც გასცდება, თუმცადა ამ ტანჯვის ამოთქმა „მოკვდავ ენას“ არ ძალუძს. ემაგრამ პოეტს სხვა ინსტრუმენტი – კალამი უპყრია ხელთ – „შემოდგომის მზეა“ „სამყაროს ელვარე დარდი“. „ამ დიდ ჭირშია ჩართული ერთი პატარა, მაგრამ უშველებელი ჭირი: ბაზალეთი! აი, გმინვა უკუნებელი. როგორ გინდა აქ გმირად მოკვდე?! რას ვიფიქრებდით, თუ ჩვენი დროის ბაზალეთსაც მოვესწრებოდით?!

მივეყვებოდი პოეტური ცხოვრების ქორნიკონს და ვხედავდი, როგორ იზრდებოდა ლექსი სიმაღლეში (სიღრმეშიც!) (... როდის იგრძენი ძმობა მხეცებთან?) როცა ნიადაგ ამისკენ იღვწი... სიმღერა ტვიფარიც“ უთუოდ მოვა (მოსულა კიდევც!) და სტრიქონში ყოველისმძლე „სიყვარულის ჰანგიც“ დავანებულა („მზეს გიგზავნი“):

**„მე უშენობით უშვებოს,  
უშენოდ სევდა მდაღაგდა,  
მოვედი, გნახე გეტრფე და...  
ტრფიალში შემომადამდა“.**

ეს ხომ მშვენიერებაა და მაშ რაღად: საკუთარი თავის „უარყოფით უარყოფა“?! ძნელია „წუთისოფლის ხაროდან“ ამოღწევა?! „ხეცის ქალაქი“ რაგვარი და რაფერია?! მოდი, არ ვთქვათ, „დიდი მსაჯულის გულხენეშობა“...

პოეტი ხომ თვითონ ჰგავს „ჭის მთხრელს“, რომელსაც „ჯიუტი ჯიშისა“ და იმ დიდი წყურვილის ძალით მიწიდან „სიცოცხლის წყარო“ ამოჰყავს!

„ლაქარდიან ენისა და ფიქრის სწავლა?!“ ნუ, ნუ ვიზამთ ამას! და ვერც ვიზამთ.

ჰო, „ტანჯვა ძირით უნდა ამოძირკვო“, რომ „ბოლოში პასუხი“ იყოს ღირსი მიღებისა, მაგრამ რითა და როგორ?! არის ხსნა: თუ მატიტელას ციცქნა ზარები უფლის ხმობად არ მივითვალეთ, რაა სამყარო?! რაა სრული გალაკტიონი?!

„კვლავ ჩამომღერებენ გიჟმაჟი გაზაფხულები“. მაგრამ... ვისთვის? თქვენი განაწესით (განაჩენით), ყველასთვის. მზე ხომ (ხილულიცა და უხილავიც) „ყველას სწორად მოეფინება“, თუმცადა ზოგჯერ „ღრუბლის კარავში დამალობანას თამაშობს“. რა გულმხურვალედ ემუდარებით მამაზეციერს, ყველა ანუგეშოს. ძველას გულში ის ღვთიური ნაპერწკალი ააალოს, თვითონ რომ ჩათესა და გიკვირს, რატომ არ ესმის... ჩანს, ჩვენ მოგვანდო ამის ასრულება და ჩვენც, ვი-

დრე ჩვენი „მზე სახეზე ღამეს აიფარებდეს“, მახვილის პირზე უნდა ვიაროთ.

არ დავტოვოთ „ცხენი უმხედროდ და უპატრონოდ“. ლურჯა ცხენებსა და მერანს ოცდამეერთე საუკუნის პოეტი-მხედარი უნდა ისეთი, თავისი ტაიჭი საკუთარი ფრთებით დაფრინოს. საკუთარი ძარღვის მათრახით.

რა სიმაღლეში აიჭრები, როცა გვერდით ყმაწვილები გიდგანან „მოცინარი ფესხაც-მელებით“, მანქანის ფერთა და უფერობით დამწუხრებული უსულო ადამიანის საპირის-პიროდ! „მიღმიეთის ბუნების“ კვლევა შორს წაგვიყვანს (ორი გაგებით). ვინ თქვას: როცა ლხინიც და ვარამიც კაცს მოჰბეზრდება, საუკეთესო გამოსავალია?! –

**„წინ ღიაა ვარსკვლავების ტალანი,  
წინ ვარსკვლავთა ქალაქები ბრწყინავენ!“**

კი! კი და კი!

ვაი მას,ვისაც „ვიდრე ცოცხალ ვართ,ხორცქმნილნი“, წინ ის „ერთადერთი სანთელი არ უნთია“...

თქვენი წიგნი – უსაზღვრო ფიქრის ნაყოფი, ნაყოფი ტკბილი და მაწიერი!

აქ დრო – თქვენი აწმყოა და დრო დაუსაბამო, სივრცე – საკუთარი „ფშანიდან“ დანახული სრულიად სამყარო (ცა-მყარი და ქვეყანა – ქიანა!).

უცხოელები მაგანს დიდ პოეტად რომ მიიჩნევენ, ჩვენი საშუალო პოეტი იმას წყალზე ჩაიყვანს, წყალს არ დააღვეინებს და ისე ამოიყვანს. ხოლო ზაურ მოლაშხიასთანას სახელს მთელ დუნიასზე „გააუღარუნებენ“. ნამდვილ პოეტს არ სჭირდება თავის „პრეზენტაცია“. იმითაც ბედნიერია, რომ ამ სიმდიდრის პატრონია. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენში არიან ადამიანები, რომლებიც ამ „საძოვარს“ დამშეულივით რომ ეტანებიან. თქვენი ლექსების კითხვისას ვგრძნობდი, როგორ უმნიშვნელოა ყოველდღიური საზრუნავი (კაცს შიგნიდან რომ ჭამს).

**„ოქროს ნამგლით განთიადი ღამეს მკიდა,  
მზემ სხივები მთა-გორ-სერებს მიაყარა,  
ახტა ვაშლი, თავის ტოტზე დაეკიდა,  
– გათენდაო, შაშვმა ტყე-ველს მიახარა“.**  
ვარ მადლობელი!

თბილისი, მკათათვე, 2016



„ინეზა“



ამ პატარა წიგნში ავტორი – სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **რევაზ ხაჩეზაძე** მეუღლესთან თანაცხოვრების ისტორიას ყვება. ორი ადამიანის თითქოსდა ჩვეულებრივ ურთიერთობაში არაჩვეულებრივი უფრო მეტია – საოცრად ამაღელვებელი, ფაქიზი და გულწრფელი სიყვარული, ბედნიერების და ნეტარების განცდა, ყოველდღიურობასთან და ყოფით პრობლემებთან თავდაუზოგავი, იშვიათი ბრძოლისუნარიანობა. განსაკუთრებული სიმხნევის უნარი, რაც ამ წყვილს აკავშირებდა, უთუოდ მიიქცევს მკითხველის ყურადღებას, საკუთარ სულში ჩაახედებს, გარდასულ დღეთა ლაბირინთებში ხელახლა გამოატარებს, დააფიქრებს ადამის მოდგმის ამქვეყნიურ მისიაზე და დიდ სოფელში გამგზავრებამდე კეთილისმყოფელად განაწყობს.

# მამაზუ...



28 სექტემბერს მამა 70 წლის გახდებოდა!..

უბედური ვარ იმით, რომ მამა მაშინ წავიდა ამა სოფლიდან, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა და უფრო მეტად მძაფრად მინდოდა მასთან ყოფნა. ორივეს დაგვიგროვდა ერთად ყოფნის გამოცდილებით გამზეკაბანებული საგულსამყო, რისი დახარჯვა ნახევრამდეც კი ვერ შევიძელით. არადა, როგორ ძალუმაღ გვწადდა! წუთისოფელი ეგრეა, მას თავისი საავანჩავანო კანონები აქვს და სხვისას რას დაგიდევს?!

ბედნიერი ვარ იმით, რომ მამას შევესწარი, ის კი არადა, მან გამზარდა, გამომაკაცა, სადღენიადაგო შრომით გამომძერწა და სულიერადაც განსხეულდა ჩემში და ხორციელადაც. ამიტომაც ის ჩემში აღმართულა, როგორც ძეგლი მარადიული სიყვარულისა.

ძალიან ბევრს მამა საერთოდ არ უხილავს, ანუ მამა არ შესწრებია მათ დაბადებას, ან მეტად მცირე ასაკის შვილს განშორებია ნაადრევად. ამაზე დიდი საწუხილო არაფერია. თქვენს მონა-მორჩილს, ამხელა კაცს, ბოლომდე ჯერაც ვერ შესძლებია უმამოდ

ყოფნის რეალობის აღქმა და ჯერაც მამის უმშობლიურესი სურნელი დაკრავს და მშობლის ყველაფრობით მოპირთავებული დაიარება.

გალაკტიონს, ჩვენს უდიდეს გალაკტიონს მამა არ უნახავს, ვაჟის დაბადებას არ შესწრებია მომავალი გენიოსის მამა. უმამოდ გაზრდილი პოეტი მარადის ობლობას განიცდიდა და ყველგან მამის ლანდს დაეძებდა. ცდილობდა აკაკი წერეთელი (და არა მარტო) მამად წარმოესახა, ფიზიკურადაც კი დამსგავსებოდა მას.

ხატავდა მამის ცოცხალ სურათებს. „მოხუცი მამა, მოხუცი მამა სასხლავით ხელში დადის ვენახში“. წარმოიდგენდა, წარმოისახავდა, ქარგავდა და აცოცხლებდა. რა იყო გასაკვირი ამის დამწერისგან: „რუსთაველი მე მინახავს ბავშვი...“

ჩემი ზნემაღალი მამა წელს, ანუ 2016 წლის 28 სექტემბერს 70 წლის გახდებოდა, იმ ასაკისა, როცა ბიოგრაფიით დამწვენებულსა და გამოცდილებით დახუნძლულს უფრო თამამად შეეძლებოდა თხრობა და ბუბუნი...

ჩუმად წავიდა მამა, უკანა ეზოდან გასული, ტყისკენ მიმავალი, გზასწორთან, ცითა და ხეებით შემოქობილი გარდაიცვალა. ვერ დაითმინა სულმა და აჰყვა ჰაერეთს მაღლა, სადაც თავისი საოცრად თბილი და ტკბილი ხმით აღწევდა ხოლმე. ერთგან ვწერდი: სტოიკოსის სიმშვიდით შეხვდა-მეთქი სიკვდილს და ეგრეც იყო. მარტო ყოფნა სასტიკად სძაგდა, სულ ჩვენთან, ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან იყო. სიკვდილს კი განმარტოებით, მარტოსულად შეხვდა... მისი და მიქელ-გაბრიელის ბოლო ამქვეყნიური შეყრის წამები მაინტერესებს. რა უთხრა ანგელოზმა და რა უპასუხა მამამ?

ადამიანი ყველაფერს ეგუება, თუნდაც თვალშეუწვდენელ კლდედ აღმართულ უბედურებას. ჰოდა, ნელ-ნელა მეც შევეჩვიე მწუხარებას ჩემსას და ვარ ჩვეულებრივ,

ყოველგვარი მოჩვენებითობის გარეშე, რაც სასტიკად მძაგს. ერთ კაცს ვიცნობდი, მასაც ჩემსავით მამა გარდაეცვალა. დარდიანობდა, მწუხარე სახის რაინდის პოზები ეჭირა, ამ დროს თურმე, მანქანაში რომ ჩაჯდებოდა განმარტოებით, ისეთ მუსიკას ჩართავდა, ცეკვა-თამაში მოგინდებოდა. ასეთ რამეებს ვერ ვეგუები. მამაჩემსაც ჭირივით სძაგდა თვალთმაქცობა და მოჩვენებითობა. სამსახურიდან გამომდინარე, საყვარელი მშობლების სამგლოვიაროდ შავებიც არ ჩაუცვამს, მე კი ყველაფერს გადავაბიჯე და ჯერაც თალხი ფერებით დავიარები. განა რამეს ნიშნავს, განა რამეს შეცვლის, მაგრამ რაღაცნაირად თავს უკან ვხევე, ღიმილსა და სიმჩატეს ამით ვაშინებ. მამას თქმა რომ შეეძლოს, მისებურად მომხიბლავად ჩაიღიმებდა და მეტყოდა: კაი რა, რა დროს ეგეთებია, არ გრცხვენიაო? – არ დამეჩაგროს შვილიო და ამიტომაც მეტყოდა ასე.

სშირად მესიზმრება, არ მშორდება, იქიდანაც მწყემსავს... სულ ნაღვლიანია. ეტყობა უჭირს უჩვენობა. მთელი ცხოვრება მკერდზე მიკრული ვყავდით ყველა. ჩვენით ცოცხლობდა და ჩვენთვის სუნთქავდა. ყველაფერი გააკეთა ჩვენს დედასთან ერთად, რომ პატიოსნებითა და ღირსებით თვალდასარჩენი, განათლებითა და მამულისადმი თავდადებით

გამორჩეული შვილები ჰყოლოდა. მასსოვს, სტუდენტობის დროს „დონკისოტის“ ორივე ტომი რომ შეუძენია და როგორი სიხარულით დამირეკა: – აი, უკვე სათხოვარი აღარ გექნებაო. ასეთი იყო, შვილების, ოჯახისა და ახლობლების გახარებისთვის დაბადებული კაცი.

სამოცდაათის შესრულებას ვერ მოესწრო. როგორ უნდოდა ეს თარიღი განსაკუთრებულად აღენიშნა, უხაროდა, ბავშვივით უხაროდა, მაგრამ ვერა და არა...

არ ვიცი, რატომ, მისი ერთი საყვარელი სიმღერა გამახსენდა, მისეული ხმატკბილობითაც ჩამწვდა ყურში:

„რა ლამაზი ვარდის შტო ხარ,  
მებრალეები, მარტოდ რომ ხარ,  
ვარი და ლალო,  
ვარი, ვარალო, ვარალო და...“


უსდებოდა სიმღერა, ქეიფი, შრომა, ურთიერთობა, ღიმილი და სიყვარული...

სავსე კაცი იყო რომან გვასალია, სავსე ქართული მშვენიერებით!..

ნეტა იცოდე, როგორ მაკლიხარ, როგორ მენატრები, ჩემო უკეთილშობილესო და უღამაზესო მამა!..

დაბადების დღეს გილოცავ!..

**ლავა გვასალია**





**გარეკანის**

**I გვერდზე:** ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლა;

**II გვერდზე:** ფოტოკომპოზიცია „თავისუფალი აწმყოსთვის“ – ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის პირველკლასელი დემეტრე გვასალია; მომავალი პირველკლასელები: თამაზ მაღანია (ფოთი) და თათე გვასალია (ხობი);

**III გვერდზე:** თბილისის 111-ე საშუალო სკოლის პირველკლასელი ქრისტინე გუნაგა; თბილისის 167-ე საშუალო სკოლის პირველკლასელები ბარბარე გაბელია და ლუკა ლაბაძე მეექვსეკლასელ ბადრი გაბელიასთან ერთად.

**IV გვერდზე:** დედაენის ძეგლი თბილისში.

**ტექნიკური რედაქტორი:** ლუარა გამყრელიძე

**კომპიუტერული მომსახურება:** თეანა ზაქარაია

**დიზაინი:** ირაკლი უშვერიძე

ავტორებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ მასალების ელექტრონული ვერსია

---

აიწყო და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“

☎ ტაშკენის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2380311




დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com



## ცოდნის კარებთან



## ტკბილო დედაქართულო!

„დედაენავ“, დედანიგნო,  
ტკბილო დედაქართულო,  
ანო, ბანო, ასოებო,  
ვაზში გადახლართულო,

ბრძენთა აზრის გამომთქმელო,  
შოთას კალმის მშვენებავ,  
საქართველო შენი მადლით,  
აღარ გადაშენდება!

ნუ მოგვშლოდეს მშობლიურად  
ლაპარაკიც, მღერაცა,  
ვეთაყვანოთ, ვუერთგულოთ  
ქართულს, დედაენასა!

ჯემალ შონია





რაღას უნდა მიველტვოდეთ, რაღას უნდა მოვანძაროთ ჩვენი სიცოხ-  
ლე?... აზროვნების სიწმინდესა და სიწრფელეს, საზოგადო საქმის სამ-  
სახურს, უტყუარ სიტყვას და სულის ისეთ განწყობილებას, რომელიც სი-  
ხარულით იღებს ყველაფერს, როგორც გარდუვალს, როგორც საცნა-  
ურს და საერთო საწყისისა და წყაროსაგან წარმოდინებულს.

ავრელიუსი